# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 18 აგვისტო, 2006 წელი.

№ 160 (5501)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# თურქეთში მომხდარი ტრაგედიის მძიმე შედეგი

## დაიღუპა საქართველოს 4 მოქალაქე, დაშავდა – 14













გუშინ საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის „03“-ის ოთხი რეანომობილი გააგზავნა სარფში, საიდანაც ავტომანქანებით 16 აგვისტოს თურქეთში მომხდარი ავტოკატასტროფისას დაღუპული საქართველოს მოქალაქეების ცხედრები თბილისში გადმოასვენეს. როგორც ცნობილია, 16 აგვისტოს თურქეთში, ანკარა-სამსუნის გზატკეცილზე, სოფელ თექქესთან, ფირმა „მახმუდ ოღლუს“ კუთვნილი სამგზავრო ავტობუსი, რომელიც სტამბული-თბილისის რეისს ასრულებდა, ავტოკატასტროფაში მოჰყვა.

ავტოკატასტროფის შედეგად საქართველოს ოთხი მოქალაქე დაიღუპა, 14 კი დაშავდა.

## რეჯებ ერდოღანმა მიხეილ სააკაშვილს სამძიმარი გამოუცხადა

თურქეთის პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს შორის სატელეფონო საუბარი შედგა, რომლის დროსაც რეჯებ ერდოღანმა მიხეილ სააკაშვილს 16 აგვისტოს თურქეთში სტამბული-თბილისის სამგზავრო ავტობუსის ავტოკატასტროფისას საქართველოს მოქალაქეების დაღუპვის გამო სამძიმარი გამოუცხადა.













**ოპოზიციას ვერ გადაუწყვეტია**

## მოკლევადიანი ბლოკი და არაპარტიული კანდიდატი?

**ზაფხულის სიცხეების გამო ოპოზიციური ბლოკის შექმნასთან დაკავშირებული კონსულტაციები თვის ბოლოსთვის გადაიდო. ამ ეტაპზე მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ოპოზიციას ვერ გადაუწყვეტია, როგორ ჯობია: ბლოკი მხოლოდ ადგილობრივი არჩევნებისთვის, თუ უფრო გრძელვადიანი, მაგალითად, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის შეიქმნას. შესაბამისად, ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ კონკრეტული კანდიდატების დადგენის დროს, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ბლოკი ამ არჩევნებისთვის იქნება გათვლილი თუ საპარლამენტო არჩევნებისთვის. მათი აზრით, თბილისის მერის პოსტზე თუ პარტიული კანდიდატი დასახელდა, მაშინ უნდა გაკეთდეს გრძელვადიანი ბლოკი, ანუ მომავალი საპარლამენტო არჩევნების ჩათვლით, ხოლო თუ ადგილობრივ არჩევნებზე იქნება გათვლა, მაშინ შეთანხმებას არაპარტიულ კანდიდატზე ამჯობინებენ, ანუ არაპარტიის წევრ, საზოგადოებისთვის მისაღებ კანდიდატზე, რომელიც პრაიმერით ან ბლოკში მიღებული გადაწყვეტილებით შეირჩევა.**

ამ იდეის ავტორი „მემარჯვენეები" არიან. მოკლედ, ისინი ოპოზიციურ ისტებლიშმენტს სთავაზობენ არჩევანს: თუ იქნება პარტიული კანდიდატი, მაშინ იყოს გრძელვადიანი ბლოკი. თუ იქნება მოკლევადიანი ბლოკი, მაშინ იყოს არაპარტიული კანდიდატი. გრძელვადიანი ბლოკის არჩევის შემთხვევაში „მემარჯვენეები" ალბათ, საკუთარ კანდიდატურას დაასახელებენ, მაგრამ მაინც მიაჩნიათ, რომ ასეთი ვარიანტისთვის განსაკუთრებული მზადყოფნაა საჭირო, რისთვისაც შეიძლება ეს პარტიები ამ ეტაპზე მზად არ იყვნენ. ამიტომ „მემარჯვენეები" აქცენტს მაინც მოკლევადიან ბლოკსა და არაპარტიულ კანდიდატზე აკეთებენ. ეს არის მათი მოსაზრება, თუმცა მეორე მოსაზრებასაც არ უარყოფენ. ერთი სიტყვით, ოპოზიცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, საერთო ნიშნულამდე ჯერ არ მისულა. ჯერჯერობით ჩანს, რომ ყველა პოლიტიკური ძალა, ანუ ცნობილი შვიდეული, შესაძლოა არ გაერთიანდეს. მოგეხსენებათ, ლეიბორისტები არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ, ან კიდევ, არჩევნებში მონაწილეობას მარტო მიიღებენ. 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს კოკო გამსახურდიას პარტიაც. როგორც ცნობილია, ბოიკოტის მომხრე თავიდან სხვა პარტიებიც იყვნენ, მაგრამ სალომე ზურაბიშვილის გამო თავიანთი გადაწყვეტილება შეცვალეს.

– ადგილობრივი არჩევნების ბოიკოტი ყველაზე რეალური იქნებოდა, მაგრამ როცა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებდა არჩევნებში, ჯაჭვური რეაქცია წავიდა და სხვებმაც გადაწყვიტეს მიეღოთ მონაწილეობა. ორჭოფობდნენ მრეწველებიც. აღმოჩნდა, რომ ჩვენ და ლეიბორისტები ვრჩებოდით. ეს კი არ იქნებოდა საკმარისი მიზნის მისაღწევად – აღნიშნავს მემარჯვენე მანანა ნაჭყებია.

ოპოზიციას ვერ წარმოუდგენია როგორ უნდა მოხერხდეს მაღალმთიან რეგიონში, ვთქვათ, წალკაში, ონში, სვანეთში, ხულოში ან ყაზბეგში დეკემბერში არჩევნების ჩატარება. რაიონული ცენტრიდან 60-70 კილომეტრზე როგორ უნდა აიტანონ ბიულეტენები, ან როგორ უნდა იმუშაონ საუბნო კომისიის წევრებმა? ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატების" თავმჯდომარის მოადგილის რატი სამყურაშვილის აზრით, ვერსიები იმასთან დაკავშირებით, რომ დეკემბერში არჩევნების ჩატარება ხელს შეუშლის ამომრჩეველთა აქტივობას, საფუძველს მოკლებულია. „ჩვენ გვახსოვს საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც 4 იანვარს ჩატარდა და ის, თუ როგორი იყო ამომრჩეველთა მოსვლის მაჩვენებელი. ამდენად, ვერ ვიტყვით, რომ დეკემბერში არჩევნების ჩატარებას რამენაირად შეიძლება საფრთხე შეექმნას. მით უფრო, როდესაც საუბარია დეკემბრის დასაწყისზე", – განმარტავს იგი.

რაც შეეხება საპარლამენტო საქმიანობას, შეწყდება თუ არა ბოიკოტი და აპირებს თუ არა ოპოზიცია საშემოდგომო სესიაზე სხდომებზე დაბრუნებას, ამ საკითხთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი ბოიკოტის შეწყვეტას ითხოვს, ზოგი გაგრძელებას. მაგალითად „მემარჯვენეები" მხოლოდ თავიანთი პარტიული და ფრაქციული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, აცხადებენ, რომ აგვისტოს ბოლოს შეიკრიბებიან და პირველივე განსახილველი საკითხი ეს იქნება.

**მზია გელენავა**

**ოჰ, ეს საბაჟო ტარიფები**

## ცქიტიშვილი კი იმედოვნებს, მაგრამ ვნახოთ...

**პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრი ზურაბ ცქიტიშვილი იმედოვნებს, რომ ახალი შემცირებული საბაჟო განაკვეთები ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის ევროპული საქონლის შემოტანას და დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულ ნედლეულს ჩაენაცვლება. მან განაცხადა, რომ მოსალოდნელია, ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ ქართული სამეწარმეო ინტერესები ევროპის ბაზარზე გადაინაცვლებს და ამ ურთიერთობას 12-პროცენტიანი საბაჟო გადასახადის სახით ზედმეტი ხარჯი მოეხსნება. „ადგილობრივი მწარმოებლები შეეცდებიან ნედლეულის მომწოდებლები დასავლეთის ბაზრებზე მოძებნონ და თვითონაც უკეთესი პროდუქცია გამოუშვან" დარწმუნებულია ცქიტიშვილი.**

მისივე შეფასებით, საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაცია სწორი გადაწყვეტილებაა და ცოტა დაგვიანებულიც კია. „რუსეთთან, უკრაინასთან, სომხეთთან და დსთ-ს ბევრ სხვა ქვეყანასთან ნულოვანი სავაჭრო რეჟიმი დიდი ხანია გვაქვს. ამ დროს ევროპიდან შემოტანილი პროდუქტი აქამდე 12-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება. ეს უსამართლოა. გამოდის, რომ ჩვენ უპირატესობას ვანიჭებდით დსთ-ს ქვეყნების პროდუქტს, რომელიც ხშირ შემთხვევაში უხარისხოა და ევროპულთან ვერც სანიტარიული უსაფრთხოების თვალსაზრისითაც და ხარისხითაც ახლოს ვერ მივა. ამიერიდან დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულ ნედლეულს მაღალი კლასის ევროპული საქონელი ჩაენაცვლება", - მიიჩნევს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრი.

საბაჟო ტარიფების ახალი შემცირებული განაკვეთები 1 სექტემბრიდან შევა ძალაში. რამდენიმე ათეული განაკვეთის ნაცვლად, იმპორტიორებს მხოლოდ სამი - 12, 5 და 0-პროცენტიანი საბაჟო გადასახადის გადახდა მოუხდებათ. საბაჟო გადასახადი მთლიანად გაუქმდება პროდუქციის დიდ უმრავლესობაზე, მათ შორის მანქანა-დანადგარებზე, ხე-ტყეზე, ყავასა და საფუარზე, რძის ფხვნილზე, კაკაოზე, ცოცხალ თევზზე, ცოცხალ ხეებსა და სხვა მცენარეებზე, ყველა სახის თესლზე და სათესლე მასალაზე, ფოტო და კინო საქონელზე, აბრეშუმის, ბამბისა და მატყლის ძსოვილის ნედლეულზე, დაუმუშავებელ ტყავზე, ნატურალურ და ხელოვნურ ბეწვზე, იარაღსა და საბრძოლო მასალებზე, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ყველა სახის საათებზე, სათამაშოებზე და სპორტულ ინვენტარზე.

**ინტერპრესნიუსი**

**მხარდამჭერი გრანტები**

## ფული უკვე ხაზინაშია

**საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში ქვეყნის ხელისუფლებასა და კომპანია „ბი-ტი-სი კო"-ს შორის საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში 11 მილიონი დოლარი ჩაირიცხა.**

საქართველოს ხელისუფლებამ და „ბი-ტი-სი კო"-მ საქართველოსთვის გრანტების გადაცემის ახალი პროგრამის შესახებ შეთანხმებას ხელი 2004 წლის ოქტომბერში მოაწერეს.

„ბი-ტი-სი კო" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განმახორციელებელი კომპანიაა, ხოლო მისი ოპერატორი კომპანია „ბი-პია".

2006 წლის 26 ივლისს განახლებული საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმად, ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავს ხარჯების პუნქტს, რომელსაც „ბი-ტი-სი კო" დააფინანსებს. ხარჯების შესახებ ინფორმაცია კომპანიას წერილობითი სახით მიეწოდება.

პროგრამის მთლიანი დაფინანსება 2010 წლამდე 40 მილიონ დოლარს შეადგენს. 2010 წლის შემდეგ კი ნავთობსადენის ექსპლუატაციის დამთავრებამდე ყოველწლიურად მილიონი დოლარი გამოიყოფა. საქართველოს მთავრობამ 9 მილიონი დოლარის ოდენობის პირველი ტრანში 2005 წელს მიიღო, მიმდინარე წელს კი ტრანში 15 მილიონ დოლარს შეადგენს.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში ხელისუფლების პრიორიტეტების მხარდამჭერი გრანტები მთელი კრიტიკული პერიოდის მანძილზე გამოიყოფა, ვიდრე ნავთობსადენიდან მიღებული მოგება მაქსიმუმს არ მიაღწევს.

**მედიანიუსი**

**ინფორმაცია**

## ამერიკელ ექსპერტთა ვიზიტი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია რუსთავში ქართველ მეწარმეებს შეხვდა, რომლებიც პროფესიული ცენტრების კურსდამთავრებულებს დაასაქმებენ და პარალელურად თანამედროვე სასწავლო გეგმების განახლებაშიც მიიღებენ მონაწილეობას.**

**დამსაქმებლებთან საუბარში ლომაიამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო და მისი საგანმანათლებლო პროგრამები მეწარმეთა დაკვეთას შეასრულებენ, რის შედეგადაც ათასობით მაღალკვალიფიციური ადამიანი დასაქმდება.**

**პრეზიდენტის ახალი ეკონომიკური ინიციატივის განსახორციელებლად საქართველოში გრძელვადიანი ვიზიტით პროფესიული განათლების ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფი იმყოფება.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## მერე ჰაერის ჯერიც მოვა?



**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დასრულებისთანავე თბილისში წყლის ტარიფი გაიზრდება. ამის შესახებ „ლეიბორისტული პარტიის" მდივანმა პაატა ჯიბლაძემ „თბილისის წყლის" ოფისთან გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, დედაქალაქის ბიუჯეტის 2007 წლის პარამეტრებში მხოლოდ რამდენიმე სიტყვითაა აღნიშნული, რომ თბილისის წყალმომარაგებაზე, წყლის ტარიფის გაზრდის გათვალისწინებით, 5 მილიონი ლარია გამოყოფილი.**

**მან ასევე აღნიშნა, რომ ხელისუფლება წყალს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გააძვირებს და გაზრდილ ტარიფში შადრევნების მიერ გახარჯული წყლის თანხებსაც მოაქცევს.**

**ინტერპრესნიუსი**

**შეგვჭამა და ეგ არის**

# ეს ამერიკული პეპელა რა ყოფილა...

## მწერების საწინააღმდეგო ღონისძიებები სოფლის მეურნეობაში დიდ ეკონომიურ ზარალს აგვაცილებს

**სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური უკვე მერამდენე თვეა ამერიკულ თეთრ პეპელას ებრძვის. პეპელა მეტად საშიში საკარანტინო მავნებელი აღმოჩნდა, რომელიც 300-მდე სახეობის მცენარეს აზიანებს, მავნებლის მატლი გამოყოფს სითხეს და ქმნის აბლაბუდის ქსელს, რომლის ბუდეშიც ფოთლების უმრავლესობას აქცევს, აზიანებს ფოთლის ძარღვებს, ფირფიტას, რის შედეგადაც მცენარე ფაქტიურად შიშვლდება, ირღვევა მისი სიცოცხლისუნარიანობა.**

ამერიკული თეთრი პეპელა ევროპის ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული, მათ შორის, სამწუხაროდ, საქართველოშიც, სპეციალისტების მიერ მაღალი რისკის ზონებად მიჩნეულია ზუგდიდი, ფოთი, ოზურგეთი, ლანჩხუთი და აჭარის ა/რ, საშუალო რისკის ზონებია აბაშა, ხობი, მარტვილი, სენაკი, ჩხოროწყუ, ჩოხატაური, დაბალი რისკის ზონას მიეკუთვნება ხონი, ხარაგაული.

I თაობის მატლები მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში ჩნდებიან.

**მარინე ღვინეფაძე, მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი:** პირველი თაობის წინააღმდეგ ჩვენმა სამსახურმა დასავლეთ საქართველოს შესაბამის რაიონებში ივლისის თვეში უკვე ჩაატარა სათანადო ქიმიური წამლობა, რის შედეგადაც მაღალი რისკის ზონის რაიონებში საკმარისი ფართობები დამუშავდა. აქედან ეროვნულმა სამსახურმა საკუთარი სახსრებით ზუგდიდში 120 ჰა და ფოთში 80 ჰა მიწის ნაკვეთის დამუშავება უზრუნველყო. წამლობისთვის გამოვიყენეთ ულტრა მცირემოცულობიანი აგრეგატი. რაც მთავარია, ფართობები „ცხელი ნისლის" ტექნოლოგიით დამუშავდა, ეს ნიშნავს იმას, რომ გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით, მაგრამ ადამიანისა და გარემოსთვის ნაკლებად საშიშია.

მეორე თაობასთან ბრძოლა უკვე 15 აგვისტოდან განვაახლეთ. სენაკი-ფოთის ტრასის მონაკვეთზე, ასევე ფოთის, ხობისა და სენაკის დასახლებულ რაიონებში ქიმიურ წამლობას თავად ჩვენი სამსახური აწარმოებს, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებისთვის მოსახლეობას საჭირო რაოდენობის პესტიციდი გადაეცა.

როგორც ქალბატონი მარინე ამბობს, აუცილებელია სწორად შეირჩეს მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური, ბიოლოგიური და ქიმიური ღონისძიებები. ამისათვის უპრიანია გავეცნოთ ეროვნული სამსახურის რისკის მართვისა და კომუნიკაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მანანა გაბრუაშვილის რეკომენდაციებს:

**ბრძოლის აგროტექნიკური ღონისძიებებიდან აუცილებელია:**

მცენარეული ნარჩენების შეგროვება და დაწვა, ან ჩახვნა ჭუპრის განადგურების მიზნით, გაზაფხულზე მცენარეთა გასხვლა, განასხლავის შეგროვება, გატანა და დაწვა.



**ბიოლოგიური ღონისძიებებიდან:**

პრეპარატი ბიტოქსიბაცილინი ტიტრით 45 მილრდ სპორა 1 გრ. პრეპარატში. ხარჯვის ნორმა 1 კგ/ჰექტარზე.

პრეპარატი დიპიდოციტი ტიტრით 100 მლრდ. სპორა 1 გრ. პრეპარატში. ხარჯვის ნორმა 1 კგ/ჰექტარზე.

**ბრძოლის ქიმიური ღონისძიებებიდან:**

პრეპარატი დეცისი ხარჯვის ნორმით 100 ლ/30.50 გრ. პრეპარატის გამოყენებისას მოსახლეობამ უნდა იხმაროს დამცავი საშუალებები. პესტიციდებთან მუშაობისას აკრძალულია სიგარეტის მოწევა, წყლის დალევა, საკვების მიღება. პესტიციდი თავისთავად შხამია და მასთან მეტისმეტად დიდი სიფრთხილე უნდა დავიცვათ.

ფინანსურად რა სახსრებით ხდება წამლების შეძენა და დღეისთვის რა დონეზეა ამერიკულ თეთრ პეპელასთან ბრძოლა, ამ საკითხზე კომენტარი სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის უფროსმა ლევან ორკოშნელმა გააკეთა:

120 ათასი ლარი – ჩვენი სამსახურის კუთვნილი ბიუჯეტიდან გამოიყო, აქედან პესტიციდების შესაძენად 113 ათასი ლარი უკვე ათვისებულია. როგორც თქვენთვის ცნობილია, 15 აგვისტოდან დავიწყეთ მავნებლის მეორე თაობასთან ინტენსიური ბრძოლა. ამჟამად მძიმე მდგომარეობაა ზუგდიდის რაიონში. ამიტომ მათ პირველსავე დღეს გადავეცით 400 ლიტრი დეცისი ქიმიური წამლობის ჩასატარებლად, გარდა ზუგდიდისა, ხობის რაიონს გადაეცა 300 ლიტრი, ფოთს – 180, ოზურგეთს – 120, ლანჩხუთს 240 ლიტრი. აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს რაიონებს – 200-200 ლიტრი, აფხაზეთის მხარეს გადაეცა 800 ლიტრი პესტიციდი გალის რაიონში შესატანად.

გარდა საწამლავისა, სამეგრელო-გურიის რეგიონში გაიგზავნა 28 შემასხურებელი, ზურგსაკიდი აპარატი. იმ ადგილებში გამოსაყენებლად სადაც მანქანებით შეწამლვა შეუძლებელია, ხოლო ქალაქებსა და ტრასებზე მიმდინარეობს მანქანებით შესხურება, აქედან ორია ტიფას ტიპის შემასხურებელი და ერთი ფულვოგის ტიპის სადეზინფექციო შემასხურებელი აგრეგატი.

ჩვენმა ეროვნულმა სამსახურმა სამჯერ გაგზავნა სამუშაო ჯგუფი სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში, ადგილზე არიან აგრეთვე და მოსახლეობის ყოველმხრივ დახმარებას უწევენ ეროვნული სამსახურის ადგილობრივი სამმართველოების, აგრეთვე გამგეობების წარმომადგენლები.

პირველ თაობასთან ბრძოლა ძირითადად პროფილაქტიკურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ჩატარებულმა წინასწარმა ღონისძიებებმა შესაძლებლობა მოგვცა მეორე თაობის წინააღმდეგ უფრო შემტევად გვემოქმედა, რის გამოც ეფექტს უფრო დიდი დოზით მოველით.

მთელი ძალების მობილიზებით, დარწმუნებული ვარ, ამერიკული თეთრი პეპელა ჩვენთან ვერ გაიხარებს.

**ნაზი იმნაიშვილი**

◉ მაინც რა ხდება?

# 10 დღეში 10 ადამიანის სიცოცხლე ძალიან, ძალიან, ძალიან ბევრია!

***საქართველოს ციხეებში პატიმართა სიკვდილიანობა გახშირდა. მარტო აგვისტოს პირველი 10 დღის მანძილზე 10 პატიმარი გარდაიცვალა — იტყობინებიან საინფორმაციო საშუალებები. შემაშფოთებელი ცნობაა. 10 დღეში 10 ადამიანის სიცოცხლე ძალიან, ძალიან, ძალიან ბევრია, ძვირფასო მკითხველო?!***

***— მაინც, რა ხდება, რატომ იხოცებიან პატიმრები? — ამ შეკითხვით მივმართეთ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრს ქალბატონ ნაზი არონიას.***

— ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ საპყრობილეები გადატვირთულია. მე მინახავს, მაგალითად, როგორ ზის რვაკაციან საკანში 20 პატიმარი. სიცხე, უჰაერობა და ცუდი პირობები მათ სიკვდილიანობას იწვევს.

სამწუხაროდ, პენიტენციური სისტემის რეფორმა დროში გაჭიანურდა. თუმცა, ყველამ იცის, რომ ეს საკითხი ჩვენთვის პრიორიტეტულია. თუ დამიჯერებთ, ჩვენი კომიტეტის ერთი სხდომაც არ ჩატარებულა ისე, რომ ამ საკითხზე არ გაგვემახვილებინა ყურადღება. პრეზიდენტსაც ხშირად უთქვამს, რომ რეფორმა პენიტენციურ სისტემაში აუცილებელია, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება, ღირსეულად მოიხადოს სასჯელიო. ამას სჭირდება უპირველესად დრო, შემდეგ კი — ხარჯები.

**— მაინც როგორია ნორმა, როგორი უნდა იყოს მინიმალური საარსებო პირობები საპატიმროში?**

— თითო პატიმარს ეკუთვნის დაახლოებით 2 კვადრატული მეტრი საკანში. ჩვენს საპყრობილეებში ეს ნორმაც დარღვეულია. ერთადერთი, რაც ამ სიტუაციაში შეიძლება მოხერხდეს, პატიმართა გადანაწილებაა. სამწუხაროდ, ყველა ქუთაისში ვერ იქნება. იქ არის ინდივიდუალური სველი წერტილები და ყველა ის ნორმა დაცულია, რაც მიღებულია ცივილიზებულ ქვეყნებში. არა უშავს ზუგდიდის ციხესაც. რაც შეეხება ძველ ციხეებს, ესენია საუკუნის წინათ აშენებული ამორტიზებული შენობები, სადაც ელემენტარული პირობების შექმნაც კი შეუძლებელია. ამჟამად ახალი საპყრობილეები შენდება თბილისსა და რუსთავში.

**— ქალბატონო ნაზი, დაბეჯითებით ამბობენ, რომ ციხეებში ისევ ხდება პატიმართა ცემა და წამება...**

— მე ხშირად მიწევს საპყრობილეების მონახულება. ვერ დაგიდასტურებთ, რომ იქ პატიმრებს აწამებდნენ, ან მათ ვინმე ცუდად ექცეოდეს. თუ არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, ჩვენ მზად ვართ, გადავამოწმოთ ინფორმაცია. ასეთი რამ ხშირად რომ ხდებოდეს, ასე ადვილად ვერავინ დამალავდა. თვით სოზარ სუბარის მოხსენებაშიც კი, რომელიც ძალზე კრიტიკული იყო, არ ყოფილა ნახსენები ფაქტები პატიმართა ცემისა და წამებისა.

**— განა წამება არ არის, რომ ზოგიერთ საკანში 50 კაცი ერთად ზის?**

— როგორც უკვე აღვნიშნე, ამის მიზეზია სასამართლო რეფორმის გაჭიანურება. ამ ადამიანთაგან უმეტესობა განსასჯელია. ისინი ელოდებიან განაჩენს. დაგროვდა უამრავი განსახილველი საქმე, რის გამოც განსასჯელთა რაოდენობა დიდია.

**— საქართველოში იურისტები მაინც გვყავს ბლომად...**



— ყველაფერი ასე მარტივად არ ხდება. ჩვენ საკმარისი რაოდენობით არა გვყავს მოსამართლეები, მაგალითად, თვით თბილისის საქალაქო სასამართლოც არ არის ჯერ ბოლომდე დაკომპლექტებული. თითო მოსამართლეს ზოგჯერ 20 საქმე აქვს ერთდროულად განსახილველი.

განსახილველ საქმეთა დაგროვება — ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რაც მოხდება.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◉ ინფორმაცია

## ნეტავ, სად გარბოდა?

**თურქეთში, ანკარა-სამსუნის გზატკეცილზე სამსუნის ვილაეთის სოფელ თექქესთან მომხდარი ავტოკატასტროფის შემდეგ სამგზავრო ავტობუსის მძღოლი ნიკოლოზ ტუკვაძე მიმალვას ცდილობდა, თუმცა მგზავრებმა დააკავეს. 16 აგვისტოს გაიმართა დაკავებული მძღოლის სასამართლოც, სადაც მას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. მის დანაშაულს კიდევ უფრო ამძიმებს მიმალვის მცდელობა. სავარაუდოდ, მძღოლი გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა და საჭე ვერ დაიმორჩილა.**

**მგზავრები აცხადებენ, რომ ავტოკატასტროფის დროს ისინი უფრო მეტად დააზიანა იმ გარემოებამ, რომ ავტობუსის სკამებს შორის კიდევ ჩამატებული იყო სკამები, თანაც ავტობუსი მგზავრებით გადავსებული იყო.**

## პური ჩვენი არსობისა

**იმის გამო, რომ საქართველოში იმპორტის სახით ხორბლის ძირითადი ნაწილი რუსეთიდან შემოდის და წელს რუსეთში ცუდ მოსავალს ელიან, შესაძლოა, ამან ქვეყანაში პურის ფასზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს, — აცხადებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასურსათო უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი ომარ კაჭარავა.**

**ხორბლის ადგილობრივი წარმოება ქვეყნის მოთხოვნილებას 20-25 პროცენტით აკმაყოფილებს, ამიტომ საჭირო რაოდენობის ხორბალი უცხოეთიდან შემოდის.**

**ჯი-ეიჩ-ენი.**

◉ ეს იყო, იყო

# გენერალური რეპეტიცია საბჭოთა იმპერიის დაშლის წინ

**თხუთმეტი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვში ცნობილი პუტჩი მოხდა.**

**ნათქვამი, „ისტორიას ხალხი ქმნის, ხოლო ბელადები მას აჩქარებენ ან ანელებენო", ზუსტად მიესადაგებოდა მ. გორბაჩოვს, როგორც იმ პერიოდის ლიდერს, რომელმაც დაანგრია ტოტალიტარული სისტემა, დააჩქარა სოციალისტური ბანაკის დაშლა, დააჩქარა და მოსპო სოციალიზმი აღმოსავლეთ ევროპაში, დააჩქარა კომუნისტური პარტიის ავანგარდული როლის წაშლა და მრავალპარტიულობის შემოღება. თუ ეს ყველაფერი ზოგიერთებმა მ. გორბაჩოვის მოღვაწეობის დადებით მხარედ ჩათვალა, მაშინ უარყოფითსაც უნდა გავუწიოთ ანგარიში, მის დროს დაიწყო და გამწვავდა ეთნოკონფლიქტები, გაჩაღდა ძმათა შორის სისხლისმღვრელი ომები, ძალზე შენელდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარება, საბოლოოდ გაღატაკდა ისედაც დამშეული და გამათხოვრებული ხალხი.**

მართალია, „პერესტროიკის" მთავარი ავტორი და შემოქმედი მ. გორბაჩოვი იყო, მაგრამ აქ არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ „ახალი აზროვნების" დარგში მას მრჩევლები და დამრიგებლები ბევრი ჰყავდა. მის მთავარ კონსულტანტებად შეიძლება ჩავთვალოთ რონალდ რეიგანი, ჯორჯ ბუში (უფროსი), მარგარეტ ტეტჩერი, ფრანსუა მიტერანი, ჰელმუტ კოლი და... რაისა ტიტარენკო-გორბაჩოვა.

აქ, ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ აშშ-ის იმჟამინდელი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1988 წლის ნოემბერში გამართულ საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიის დროს: „... მე ყველაფერი გავაკეთე ჩემი პრეზიდენტობისას (1980-1988 წ.წ. — **გ.ჩ.**), „ბოროტების იმპერიის" დასაშლელად. ამჟამად კი საჭიროა, დაწყებული საქმე ბოლომდე მივიდეს. ამისთვის მხარი უნდა დავუჭიროთ ჯორჯ ბუშის კანდიდატურას, იგი პრეზიდენტად ავირჩიოთ, რომ ჩემი დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს". აშშ-ის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ჯორჯ ბუშმა ყველაფერი გააკეთა თავისი წინამორბედის მიერ დაწყებული საქმის ლოგიკურ დასასრულამდე მისაყვანად.

მ. გორბაჩოვი წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სტავროპოლის მხარეში, ხოლო 70-იანი წლების ბოლოს ის უკვე სკკპ-ის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი იყო. აქვე დავსძენ, რომ სტავროპოლის მხარედან იყვნენ წარმოშობით მიხეილ სუსლოვი და იური ანდროპოვი, სწორედ მათი რეკომენდაციებით გადაიყვანეს მ. გორბაჩოვი სკკპ-ს ცენტრალური კომიტეტის მდივნად სოფლის მეურნეობის დარგში.

აი, რას წერს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი უფროსი რობერტ ჰეიტსი (ის რეიგანის პრეზიდენტობისას მოღვაწეობდა ამ თანამდებობაზე) თავის მემუარებში: „1983 წლის დამდეგიდან გორბაჩოვის გამოჩენას, როგორც ანდროპოვის პროტეჟეს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო თავიდანვე ენთუზიაზმით მოეკიდა. მის შესახებ ჩვენ ბევრი რამ ვიცოდით. მიუხედავად ამისა, რამდენიმე წელი დაგვჭირდა, რათა შეგვეფასებინა მისი სითამამე და გამბედაობა, საზღვრები სითამამესა და გამბედაობას შორის, აგრეთვე მისი წინააღმდეგობრიობა... რამდენიმე წლის შემდეგ მისმა მოწინააღმდეგეებმა კონსერვატიული ბანაკიდან დაიწყეს მტკიცება, რომ ის და მისი თანამოაზრე იაკოვლევი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებს წარმოადგენდნენ..."



მაშინ, როცა გორბაჩოვის მიმართ აშშ-ის ცსს-ს თავისი შეხედულებები ჰქონდა და დასკვნებიც არსებობდა, ბორის ელცინი მათთვის გამოუცნობ და მოუხეშავ პერსონად რჩებოდა. ამის დასადასტურებლად კვლავ მოგვყავს რობერტ ჰეიტსის სიტყვები: „1989 წლის სექტემბერში შეერთებულ შტატებში ელცინის მგზავრობამ მის რეპუტაციას კარგი ვერაფერი შესძინა. როგორც ჩანდა, ის ძალზე ბევრს სვამდა. ჯონ ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას უხეირო შთაბეჭდილება დატოვა და ცუდად აღზრდილად გამოიყურებოდა..." აქ, კომენტარი ზედმეტია.

1991 წლის აგვისტოს პუტჩამდე ორი თვით ადრე ელცინი ამერიკას მეორედ ეწვია, აი, რას წერს ამის შესახებ ჰეიტსი: „1991 წლის 20 ივნისს ელცინი შეხვდა ბუშს. ეს უკვე „ახალი ელცინი" იყო. ის გაიზარდა თავის პასუხისმგებლობასთან ერთად. კარგად იყო ჩაცმული და მისი საქციელი ანგარიშგასაწევი გახდა, სოლიდური და სერიოზული იყო საქმისათვის მისი დამოკიდებულება..." იმ მომენტისთვის უკვე ჩანდა, რომ ცსს-ის ჰქონდა ყველა საჭირო ინფორმაცია და საფუძველი, რომ საბჭოთა კავშირში მოხდებოდა გადატრიალება, რის შესახებაც ამერიკის მთავრობა მორალურად მზად იყო.

რობერტ ჰეიტსი იგონებს: „... ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ, პრეზიდენტს და მის მთავარ მრჩევლებს აცნობა, რომ გორბაჩოვის ლიდერობა საბჭოთა პოლიტიკურ სცენაზე დამთავრდა და უკვე აღარ აღდგება..." მიუხედავად ამდაგვარი არაერთი გაფრთხილებისა, აშშ-ს მთავრობა ინერციით მაინც უჭერდა მხარს გორბაჩოვს და იგი თავის კაცად მიაჩნდა. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა მოვიყვანოთ დიდ ბრიტანეთში იმჟამინდელი საბჭოთა კავშირის ელჩის ლეონიდ ზამიატინის მოგონებიდან ზოგიერთი ძალზე ყურადსაღები ფაქტი: „1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტჩამდე ერთი თვით ადრე, 1991 წლის 16-17 ივლისს, ლონდონში გაიმართა ე.წ. „შვიდეულის" ლიდერთა თათბირი, სადაც მიიწვიეს მ. გორბაჩოვი. იმ მომენტისთვის მას ძალზე სჭირდებოდა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი აშშ-ის მხრიდან. თავის მხრივ ჯორჯ ბუშმა გორბაჩოვისადმი მხარდაჭერის სანაცვლოდ წამოაყენა ექვსი პირობა: 1. საბჭოთა კავშირი დემოკრატიული ქვეყანა უნდა გახდეს; 2. საბჭოთა კავშირი უნდა იყოს ფედერაციული სახელმწიფო; 3. საბჭოთა კავშირში უნდა დაფუძნდეს საბაზრო ეკონომიკის დასავლეთთან დინამიური ინტეგრირებით; 4. საბჭოთა კავშირი და აშშ ერთმანეთის მოწინააღმდეგეები არ უნდა იყვნენ და ამ ორი ქვეყნის ხალხებს ერთმანეთთან ომის გაჩაღების არ უნდა ეშინოდეთ; 5. რეგიონალურ საკითხებში ორივე მხარემ გააგრძელოს თანამშრომლობა; 6. ორივე მხარემ უნდა გადალახოს 50-იან და 60-იან წლების მემკვიდრეობა და მინიმუმამდე დაიყვანონ ურთიერთშორის უნდობლობა".

ამ საუბრის შემდეგ ერთი თვე გავიდა და მოხდა ის, რაც უკვე წინასწარ იყო განსაზღვრული. 1991 წლის 19 აგვისტოს მოსკოვში მოხდა გადატრიალება, რომლის მთავარი მონაწილეები აღმოჩნდნენ საბჭოთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი იანაევი, პრემიერ-მინისტრი პავლოვი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ლუკიანოვი, სუკ-ის თავმჯდომარე კრიუჩკოვი, თავდაცვის მინისტრი იაზოვი და შინაგან საქმეთა მინისტრი პუგო. რობერტ ჰეიტსი აღიარებს, რომ 19 აგვისტოს დილით ისინი ვერ ხვდებოდნენ, თუ რა ხდებოდა საბჭოთა კავშირში. „რატომ არ არის დაპატიმრებული დემოკრატიული „ოპოზიცია" ქვეყანაში და თვით მოსკოვში?" — პათეტიკურად სვამდა იგი კითხვას. ამ დროს მ. გორბაჩოვი იალტაში, ფოროსში ისვენებდა, ხოლო პუტჩის ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზატორები დააპატიმრეს, გარდა პუგოსი, მან მანამდე თავი მოიკლა.

გვახსენდება გორბაჩოვის ჩამოფრენა ფოროსიდან, რასაც პირდაპირ გადასცემდა მოსკოვის ტელევიზიის პირველი არხი. აეროპორტში ერთ-ერთმა კორესპონდენტმა გორბაჩოვს მიმართა — „რას იტყვით ედუარდ შევარდნაძის განცხადებაზე, რომ გორბაჩოვი პუტჩის მონაწილეა?!" გორბაჩოვმა დაუფიქრებლად უპასუხა: „ეს სისულელეა. ეს ყავის ფიალაში მარჩიელობაა".

რატომ მოხდა პუტჩი და რატომ დააპატიმრეს პუტჩისტები?! იმიტომ, რომ პუტჩისტები მოატყუა და შეცდომაში შეიყვანა გორბაჩოვმა. მან თავის „როლი" მშვენივრად გაითამაშა და მისია ბოლომდე შეასრულა. ასეთი აზრის დასაზუსტებლად საკმარისია მოვიყვანოთ მოსკოვის საგამოძიებო იზოლატორის „მეზღვაურული სიჩუმის" („მატროსკაია ტიშინა") იმჟამინდელი „მობინადირს" ვ. იანაევის ინტერვიუდან ერთი ადგილი: „... გამცემლობის გადატანა ყოველთვის მძიმეა, მით უფრო ძნელია, როდესაც გამცემლობა ყველაზე მაღალი რანგის ხელმძღვანელის მხრიდან მომდინარეობს. გორბაჩოვმა „გაითამაშა" სამოკავშირეო ხელშეკრულებით და ჩვენი ხელით უნდოდა გადაეწყვიტა თავისი და ქვეყნის პრობლემები".

**რობერტ ჰეიტსის სიტყვებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ პრეზიდენტ ბუშის ახლო გარემოცვის თაობაზე ალაპარაკდნენ მხოლოდ 1991 წლის 5 სექტემბერს, პუტჩიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ. ჰეიტსის აზრით, იმ დროს ყველაზე აგრესიულად იყო განწყობილი იმჟამინდელი აშშ-ის თავდაცვის მინისტრი დიკ ჩეინი (ამჟამინდელი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი), რომელმაც შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „საბჭოთა კავშირის დაშლა ჩვენს ინტერესებში შედის. თუ დაშლა ნებაყოფლობითია, მაშინ შესაძლებელია რესპუბლიკების რაიმე გაერთიანება. თუ დემოკრატია წააგებს, ჩვენთვის ხელსაყრელია, რომ საბჭოთა კავშირისგან დარჩეს პატარა ნაკვეთები". იმჟამინდელი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი კი საწინააღმდეგოს ამბობდა: „მშვიდობიანი დაშლა ჩვენს ინტერესებშია, მაგრამ არა იუგოსლავური ტიპის".**

**ასე და ამგვარად დაინგრა და დაიშალა საბჭოთა იმპერია, რის შედეგადაც დასრულდა ცივი ომი, როგორც კომუნიზმის და კაპიტალიზმის ხანგრძლივი და უკომპრომისო დაპირისპირება.**

**გურამ ჩხიკვაძე**

◉ პენიტენციალური სისტემა

*დემოკრატიულობაზე პრეტენზიის მქონე ქვეყნებში უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი ღირებულება ზოგადად ე.წ. ადამიანის უფლებებია, რომელთა შორის მთავარი სიცოცხლის უფლებაა. შემდეგ მოდის შრომის, სამედიცინო მომსახურების, დასვენების, ღირსეული პენსიის და ა.შ. სხვა მრავალი. ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი დასავლეთის დემოკრატიის ქვეყნებში ისიც არის, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქვეყნის პენიტენციურ სისტემაში, ანუ, უფრო გასაგებ ენაზე თუ ვიტყვით, ციხეებში ან კოლონიებში.*

*ზემოთ ნახსენებ პრეტენზიის მქონეთა რიცხვს, ყოველ შემთხვევაში დეკლარირებული, გინდა ფორმალური სახით, საქართველოც მიეკუთვნება. ნაციონალ-დემოკრატების (ასე შევარქვი ვარდოსან ხელისუფლებას!) მამებს რომ ჰკითხო, ჩვენში დემოკრატია ყვავის, იფურჩქნება და საცაა ნატო-ევროპა ჩაგვიხუტებს გულში. წინამდებარე წერილში მხოლოდ საქართველოს საპატიმროებში არსებულ გაუსაძლის მდგომარეობაზე მსურს ლაპარაკი, ჩემი ინფორმირებულობიდან გამომდინარე, რითაც მინდა მკითხველი ამ თავითვე დავარწმუნო, ერთობ მრავალმხრივია. რატომ მაინც და მაინც პატიმრები? თუნდაც იმიტომ, რომ პატიმრები ღვთით მინიჭებული თავისუფლებააღკვეთილი ხალხია. იმის მიუხედავად, ვინ რისთვის არის დაპატიმრებული, ყველა მეტნაკლებ სიბრალულს იმსახურებს ყველა ნორმალური ადამიანის გულში. „პატიმარი ვარ და მინახულე“, თუ არ ვცდები სახარებაში სწერია. ისიც ხშირია ჩვენს სინამდვილეში, როცა აქლემის ქურდი ნემსის ქურდს იჭერს. ან სულაც უდანაშაულოს.*

# 15-16 წელიწადია, დემოკრატიას ვაშენებთ, „გუბერსკი“ კი არ შეცვლილა

## ციხეს რად უნდა რკინის კარები?

**კითხვის ნიშანი იმად დავსვი, ვინმემ არ იფიქროს, ერთი ცნობილი „ბლატნოი“ სიმღერის გაგრძელებას ვაპირებ – „მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები“ და ა.შ. რკინის კარიც უნდა ჰქონდეს მაგრად ჩაკეტილი და, ციხის ჟარგონით თუ ვიტყვი, „რეშკებიც“, ანუ ცხაურიც საკნების ფანჯრებზე. მაგრამ არა ისეთი, როგორიც დღემდე ჰქონდა „გუბერსკის“, ორთაჭალის ციხეს კომუნისტების დროიდან შემორჩენილი – რკინის გისოსებზე გარედან ფოლადის ფურცლები აქვს ისე აკრული, რომ პატიმარი საკნიდან ცის პატარა ნაგლეჯს თუ ხედავდა, როგორც ცხონებული ნოდარ დუმბაძე ამბობდა.**

15-16 წელიწადია, რაც დემოკრატიას „ვაშენებთ“. რამდენი მთავრობა შეიცვალა კომუნისტების მერე, მაგრამ ორთაჭალის ციხე გარეგნულად არ შეცვლილა, რამდენი შინაურ-გარეული რეკომენდაცია არ მიიღეს, მაგრამ მაინც. ამბობენ, მხოლოდ ახლა, გაგანია ზაფხულის პაპანაქებაში მოხსნეს ფოლადის ფურცლები საკნებს, მას შემდეგ, რაც 10 დღეში 9 თუ 9 დღეში 10 პატიმარი ჩაძაღლებულა სიცხისა და უჰაერობისგან. ჰო, ჩაძაღლებულა და არა გარდაცვლილა, როგორც ეს ელენე თევდორაძემ გვაუწყა. გარდაცვალება ადამიანზე შეიძლება თქვა და თუ ვინმე იტყვის ჩვენს პატიმრებზე, ადამიანურ პირობებში იხდიან სასჯელსო, ეს ამის მთქმელის სინდისზე იყოს. რა თქმა უნდა, პატიმართა უმრავლესობას ვგულისხმობ თორემ, სანდრო გირგვლიანის მკვლელებს საკანში პირობები აქვთ, პირადად მე და საზოგადოების უმრავლესობას „გარეთ“ სანატრელი შეიძლება გვქონდეს.



ამით თავმოწონება, ამის აფიშირება ცოტა უხერხული მგონია. თანაც, სანამ ააშენებ, იმდენი უნდა დაიჭირო, რამდენი ვაკანსიაც გაქვს საკნებში. თუ არა და ავტომატურად უნდა გაანთავისუფლო ძეხვის თუ ქათმის წვრილმანი ზაცაცები და ამ გზით განტვირთო პენიტენციური სისტემა. საერთოდ, მსგავსი დანაშაულებისთვის, წვრილმანი ხულიგნობის ჩათვლით, დასავლეთის ქვეყნებში საერთოდ არ აპატიმრებენ. მაქსიმუმ – ფულადი ჯარიმა, ან, გადახდისუუნარობის შემთხვევაში, საზოგადოებრივად სასარგებლო იძულებითი შრომა! ზედმეტი პატიმარი, ანუ ერთ „ნარზე“ ორი ხომ წარმოუდგენელი რამ არის დასავლეთის დემოკრატებისთვის. თუმცა „რა ატამი, რი ატამი“, როგორც კახელი იტყოდა, დასავლეთი არა „იხვის ტოლმა“. ჩვენი პენიტენციური სისტემა ისე მიდის ევროსტანდარტებისკენ, როგორც კომუნისტები მიდიოდნენ კომუნიზმისკენ. თუმცა კომუნისტებსაც არ ჩაუდენიათ ის (ყოველ შემთხვევაში საქართველოში ბოლო 40 წლის მანძილზე, რაც ჩემი მახსოვრობის ხანგრძლივობაა ალბათძ ამათმა, ბაჩო ახალაიმ რომ ჩაიდინა, როცა ე.წ. ციხის ბუნტის დროს საკნებში ჩაცხრილეს უმწეო პატიმრები.

შუალებისა, როგორიც მშრალი დეზადორი, ილლიაში გამოსასმელი საშუალებაა. მოკლედ აყროლდი ამ სიცხეში ზეზეულადო და ეგ არის!

სწორედ ამ „სანიმუშო“ ციხეში დაუწყიათ პატიმრებს შიმშილობა არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გამო, არამედ იმიტომაც, რომ ახლობლებთან პაემანი თითქმის გამო-



რიცხული რამ არის. არა, ევროპულად კი მოუწყვიათ მცირე პაემანის ოთახები, სადაც, თუ გეღირსა, ახლობელს, როგორც კინოში გვინახავს, მინიდან ხედავ, მაგრამ ტელეფონების დაყენება დავიწყებიათ და ერთმანეთს რამე რომ გააგებინონ, ან იმხელა უნდა იყვირო, ყველამ გაიგოს, ან მუნჯურად, ხელის ჟესტებით უნდა ისაუბრო. როგორც ამ წერილის წერის დროს შევიტყვე, ერთი ქალბატონისგან, რომელიც ტელევიზიით აჩვენეს, ღამის 2-3 საათზე სპეცნაზი შეჰყავთ რუსთავის ციხეში და მიდის პატიმრების ცემა-ტყეპა. ეს ფაქტი არ დაადასტურა სახალხო დამცველის წარმომადგენელმა, რომელმაც თქვა, პატიმრები ამის შესახებ არაფერს ამბობენო??? იტყვიან და კაი ტურას დააჭერინებენ იმ დროს, როცა სუზარის ხალხი ფერად სიზმრებს ნახულობს.

**ამბობდნენ ხელისუფლების მამები დაუფარავად – კი, ვიცით, რომ ის ბიჭი უდანაშაულოდ მოკლა რევოლუციის პირველ წლისთავზე გალეშილმა პატრულის ოფიცერმა, ისიც ვიცით, იარაღები „ჩაუდეს“, მაგრამ ახლა ამის აღიარება პატრულის იმიჯს, პრესტიჟს შელახავსო. ჰოდა, იმ დღიდან დაიწყო პატრულის „გაშმატრულება“. ამის შემდეგ მოკლეს სანდრო გირგვლიანი, რომელსაც პატრონი აღმოაჩნდა, ამიტომ ატყდა ხმაური და ამიტომ გახდა ამირან რობაქიძის ამბავიც ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. ვინ იცის, რამდენი მსგავსი ფაქტია უცნობი, ჯერჯერობით ამ პატრულის, თუ სხვა უწყების პრესტიჟის შენარჩუნების გამო?**

აგერ კიდევ ერთი – გიორგი მიქიაშვილი, რომელსაც მე არ ვიცნობ, მაგრამ ვიცნობ მის დას, ჩემს კოლეგას ნინო მიქიაშვილს „რეზონანსიდან“ და მისი მჯერა, რომ გიორგი მიქიაშვილი – 21 წლის სპორტსმენი, პატრულის პრესტიჟს შეეწირა თავის დროზე, ახლა კი ჩვენი სასამართლოს, შსს პრესტიჟს ეწირება. ე.წ. „რეზბალნიცაზე“ იმდენჯერ სცემეს პატიმრებმა, რომ სიგიჟის პირამდე მიიყვანეს, მასზე ფიზიკურ-მორალური ზეწოლა მას შემდეგ გახშირდა, რაც მისმა დამ მოახერა და ძმის საქმე სტრასბურგის სასამართლომ მიიღო წარმოებაში.

რომელი იდიოტი დაიჯერებს იმას, რომ ერთ ბედქვეშ მყოფი პატიმარი მეორე პატიმარს, იმის გამო სცემდეს, რატომ არ გამოგაქვს საჩივარი სტრასბურგიდან, ანუ თავის მართლებას რატომ ცდილობო? ეს ხომ ნონსენსია და ჟარგონით თუ ვიტყვით „არ მოსულა“ პატიმრებს შორის.

**ეჰ! რით გიშველო ჩემო ნინო? ამ უსამართლო ქვეყანაში ჩემი ეს წერილი რამეს გააწყობს? თუმცა შენ რა, ვაი თუ შენს საყვარელ ძმას ამ სადისტებმა უსაშველო დამართეს უკვე და მაშინ სტრასბურგიც უაზრობაა. ერთი რამ გრჩება ასეთ შემთხვევაში – პირადად იძიო შური შენი ძმის მტარვალებზე, როგორც ამას აპირებს მგონი ამირან რობაქიძის მამა, რომლის შვილის მკვლელს ცინიკურად მხოლოდ 4 წელი მიუსაჯეს. რომ იტყვიან, მარჯვენა შერჩეს ასეთ დასაც და მამასაც! დასაძრახები ისინი კი არ არიან, ვისაც იძულებულს ხდიან შური იძიოს, არამედ ისინი, ის მაღალჩინოსნები, რომლებიც კანონს ფეხქვეშ თელავენ მირაჟული პრესტიჟებისთვის და შედეგად შუა საუკუნოებრივი შურისძიებისკენ უბიძგებენ XXI საუკუნის ცივილიზებულ ადამიანს.**

## ნულოვანი ტოლერანტობის მძიმე შედეგი

**არა, ნამდვილად მარტო პრეზიდენტ სააკაშვილს ვერ დავაბრალებ იმას, რასაც მძიმე შედეგებში ვგულისხმობ. ანუ, ჩვენი ციხეები რევოლუციამდეც გადავსებული იყო. ახლა რომ აცხადებს იგივე ელენე თევდორაძე, ამა თუ იმ საპატიმროებში ნორმით გათვალისწინებულზე ორჯერ, სამჯერ თუ ოთხჯერ მეტი პატიმარიაო, ეს არ ახალია. სააკაშვილის მოწოდებამ ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ წვრილმან დანაშაულზეც, არსებული სიტუაცია უფრო დაამძიმა. პატიმრებს რიგრიგობით სძინავთ. ამას კიდევ აიტანს კაცი, მაგრამ რიგრიგობით ხომ ვერ ისუნთქებენ და, ალბათ, ამიტომ დაიხოცა პაპანაქებაში ამდენი ხალხი. ერთიც კიდევ – ყველა რევოლუციას, როგორც წესი, საყოველთაო ამნისტია ახლავს თან. „ვარდების რევოლუცია“ ამ მხრივ გამონაკლისია მსოფლიო რევოლუციების ისტორიაში. უფრო მეტიც – ერთ-ერთი საამაყო ისიც აქვს ამ ხელისუფლებას რუსთავის და ქუთაისის ახალი საპყრობილეები ავაშენეთო და კიდევ ბევრის აშენების სოცვალდებულებას კისრულობენ.**

არა, იმას არ ვამბობ, ციხეები არ უნდა ააშენოს სახელმწიფომ, მაგრამ

## მოსაკითხები და გაწამებული ჭირისუფალი

**ანუ, პატიმრის პატრონი. გახსოვთ, ალბათ, დღევანდელმა პრეზიდენტმა, მაშინ იუსტიციის მინისტრმა სააკაშვილმა, მინისტრობის მეორე დღესვე როგორ დააწიოკა მაშინდელი ორთაჭალის ციხის ადმინისტრაცია. როგორ თუ ამანათების, „პერედაჩების“ გადაცემისთვის ხალხს ფულს სძალავთ და ამერ-იმერ საქართველოდან ჩამოსულ პატიმრის პატრონს რიგში დგომით ტანჯავთო. მეორე დღეს რიგგამქრალი ამანათების ოთახიც დააპიარა „რუსთავი-2“-მა. გაიარეთ ახლა და ნახავთ რა რუზრუზი, ჟყლეტა-ჯგლეთაა იმავე ადგილზე!**

ამას წინათ სააკაშვილის აშენებულ რუსთავის ახალ ციხეში მომიწია რამდენჯერმე მისვლა „პერედაჩის“ გადასაცემად. იქაც იგივე მდგომარეობაა. შიგნით რომ შევაღწიე, აღმოჩნდა: 6 თუ 7 სარკმლიდან, საიდანაც ამანათებს ღებულობენ, მხოლოდ 1 მუშაობდა. გარეთ კი – ათობით მომლოდინე ჭირისუფალი. ეგ კიდევ არაფერი. აკრძალულ პროდუქტთა სიაში აღმოჩნდა: ნიორი, ხახვი, კიტრი, პამიდორი... ჩემთვის აუხსნელი მიზეზების გამო კიდევ ბევრი რამის შეგზავნა არ შეიძლება. თუნდაც ისეთი ჰიგიენური სა-

## გიორგი მიქიაშვილი – პატრულის პრესტიჟის კიდევ ერთი მსხვერპლი

კიდევ ერთი იმიტომ, რომ პირველი ამირან რობაქიძე იყო და როგორც თინა ხიდაშელმა თქვა, თურმე მაშინ

**დავით მხეიძე.**

*P. S. „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“, ძველებს უთქვამთ. არ ვიცი, იქნებ ვინმემ, ეს წერილი ე. წ. კრიმინალური მენტალიტეტის გამოვლინებად ჩამითვალოს, მაგრამ რა ვქნა – ამ ქვეყნად პატიმარი ყველაზე მეტად მეცოდება. პატიმარს, პატიმრობა უნდა ვაკმაროთ. ეს არის და ეს ამ წერილის მთავარი თეზა. ვისაც ამ აზრის ჰუმანურობაში ეჭვი ეპარება, ან „სახელმწიფოებრივად აზროვნებს“ და ფიქრობს დღეს ამის დრო არ არისო, ეს უფრო დიდი პრობლემა მგონია, ვიდრე ყოველივე ზემოთ თქმული.*

**დ. მ.**

◉ ინფორმაცია



## ტრაგედიის მძიმე შედეგი

**გუშინ საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის „03“-ის ოთხი რეანომობილი სარფში გააგზავნა, საიდანაც ავტომანქანები 16 ივნისს თურქეთში მომხდარი ავტოკატასტროფისას დაღუპული საქართველოს მოქალაქეების ცხედრებს თბილისში გადმოასვენებენ. სულ სარფში ოთხი რეანომობილი გაიგზავნა. როგორც ცნობილია, 16 აგვისტოს თურქეთში ანკარა-სამსუნის გზატკეცილზე, სოფელ თექქესთან ფირმა „მახმუდ ოღლუს“ კუთვნილი სამგზავრო ავტობუსი, რომელიც სტამბული-თბილისის რეისს ასრულებდა, ავტოკატასტროფაში მოჰყვა.**

**ავტოკატასტროფის შედეგად საქართველოს ოთხი მოქალაქე დაიღუპა, 14 კი დაშავდა.**

## მსხვერპლთა გვარები გამოქვეყნდა

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთში მომხდარი ავტოკატასტროფის დროს დაღუპული მოქალაქეების გვარები გუშინ გამოაქვეყნა. საქართველოს 4 მოქალაქიდან ამ დროისთვის ცნობილია, მხოლოდ 3 დაღუპულის ვინაობა – ციცინო დემეტრაშვილი, მარიამ კრაველიშვილი, ნუგზარ კესეჯი. დაღუპული მეოთხე პიროვნების ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, მისი იდენტიფიკაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა.**



## ყვავილების გვირგვინი კანცელარიასთან

**აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანებმა 17 აგვისტოს სახელმწიფო კანცელარიასთან ყვავილების გვირგვინი მიიტანეს. მათი თქმით, ისინი ამ ფორმით კანცელარიაში სინდისის გარდაცვალებას აღნიშნავენ. ვეტერანების მთავარი მოთხოვნა ჯანდაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის მიერ ხელმოწერილი დადგენილების გაუქმებაა, რომლის მიხედვითაც ომში დაღუპულთა ოჯახების შრომისუნარიან წევრებს შეღავათები უუქმდებათ. „ეს არის სააკაშვილის კურსი, დემოგრაფიული გენოციდი, ეს გვირგვინიც მათ გარდაცვლილ სინდისს მოვუტანეთ“, – აცხადებენ ვეტერანები.**

ინტერპრესნიუსი

## ◎ უყურე შენ!..

*რუსი იგორ გუბკინი (ფსევდონიმი — ეგორ ჩუდნოვსკი) 41 წლის თაღლითი და გაიძვერა, ტოტალური კომუნისტური სიცრუის ერთ-ერთი ბოლო მსხვერპლი გახდა.*

*არადა, ჩვენი, ქართველი აფერისტებისა არ იყოს, ვერაფერს შეამჩნევდი. როგორც რუსული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, იგორს ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდა, მხოლოდ რესტორნებში სადილობდა და რუს ლამაზმანებში ძვირფასი მუსიკალური აკომპანიმენტით ერთობოდა. გონებაც უჭრიდა და კალამიც, ბოლო ხანს გაზეთ „მალადოი კომუნისტს“ რედაქტორობდა, გაზეთს ძალით ავრცელებინებდა და პუტინის რეჟიმის წინაალმდეგ საბრძოლველად საჭირო ფულს მხოლოდ „კეთილსინდისიერად, იდეოლოგიური მიზნებისთვის“ მოიპოვებდა.*

# თაღლითები არ ცხრებიან




რამდენიმე წლის წინათ იგორ გუბკინმა „რევოლუციური სამხედრო საბჭო“ ჩამოაყალიბა, რუს კომუნისტთა ბელადს გენადი ზიუგანოვს დაუახლოვდა და რეჟიმის წინაალმდეგ გააფთრებული ბრძოლა დაიწყო... პირველად ერთ-ერთი მოსკოველი პროკურორის შეურაცხყოფისთვის 1997 წელს ჩააყუდეს. მერე, რუსეთის მეფეების — პეტრე I-სა და ნიკოლოზ II-ის ძეგლების, აგრეთვე მოსკოვის ლიუბერეცკის რაიონის გაზგამანაწილებელი სადგურის აფეთქების მცდელობისთვის. რადგანაც ტერაქტები ვერ შედგა, „რევოლუციისთვის წამებული რაინდი 2000 წელს გაანთავისუფლეს. რამდენიმე თვეში, 2001 წლის 15 მაისს, იგორ გუბკინმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ვლადივოსტოკის მრავალდარგოვანი კომპანია „დალტისის“ მთავარი მენეჯერი ბორის ეგოროვი. მიზეზს არ იკითხავთ? — ეგოროვმა, რომელიც ძირითადად ზღვის პროდუქტებით ვაჭრობდა, კატეგორიული უარი განუცხადა გუბკინს „რევოლუციურ მხარდაჭერაზე“ და ერთი მანეთიც არ მისცა მას. ბრალდებული ვლადივოსტოკიდან გაიქცა, მოსკოვში დაიჭირეს, ისევ მკვლელობის ადგილზე ჩაიყვანეს და 14 წელიწადი მიუსაჯეს... ახლახან ვლადივოსტოკიდან ისევ მოსკოვში ჩამოაბრძანეს უფრო ძველი ცოდვების შესახსენებლად და „სროკის“ დასამძიმებლად. თურმე, 1996 წელს იგორ გუბკინს „რუსეთის ფედერაციის ახალგაზრდათა საცხოვრებელი კომპლექსის საინიციატივო ჯგუფი“ ჩამოუყალიბებია და მასში, ბინის უტყუარი მიღების „გარანტიით“ მინიმუმ 50000 კაცი გაუერთიანებია. როგორც ახლა მოსკოვის საქალაქო სასამართლო ამტკიცებს, მოტყუებულთა ძირითადი ნაწილი ცნობილი ქარხნის, ზილის მუშა-მოსამსახურეები გახლავთ. სწორედ აქ გაითამაშა იგორ გუბკინმა სწორუპოვარი აფერისტის, ფულის „იდეოლოგიურად“ მოხვეჭის უცნაური როლი: ბინის თითოეულ მსურველს აუცილებლად უნდა გაესაღებინა გაზეთ „მალადოი კომუნისტის“ 200 ეგზემპლარი ან გირაოს წესით თითო გაუსაღებელ გაზეთზე ერთი ათასი „ძველი“ რუსული მანეთი გადაეხადა. რეჟიმის წინაალმდეგ მებრძოლ რევოლუციონერს ხალხმრავალ მიტინგებზე მიუსვლელობისთვისაც უმკაცრესი სანქციები ჰქონდა დაწესებული — ან 100 გაზეთის შეძენა, ან 100 მანეთის ჯარიმა!.. ბოლოს, გუბკინმა შეადგინა „წყალგაუვალი“ დოკუმენტი, რომლითაც რუსეთის ბიუჯეტიდან ვითომცდა სახელმწიფომ დააფინანსა 370 კეთილმოწყობილი ბინის შეძენის ოფიციალური გადაწყვეტილება... მაგრამ, ცალკეულ მოზინადრეზე აუცილებელი დოკუმენტების გასაფორმებლად გუბკინმა უმნიშვნელო თანხა — 9 ამერიკული დოლარი მოითხოვა.


აფერისტ გუბკინს ძალიან უყვარდა იარაღით „მარიაჟობა“

გაზეთების გაყიდვით, ჯარიმებით, დოკუმენტებისთვის აუცილებელი თანხით, სხვა ათასი ჯურის მაქინაციით და თაღლითობით, კარგი ცხოვრების მოტრფიალე გუბკინმა სულ მცირე 400 მილიონი რუბლი მიითვისა.

მოსკოვის სასამართლოში ახლა გუბკინი და მისი მხარდამჭერები ანგარიშმიუცემლად გაიძახიან, — რევოლუციისთვის წამებულ კაცს რეჟიმის წინაალმდეგ ბრძოლის მოტივით უმატებენო სასჯელს. თვითონ მსჯავრდებული უტიფრად გაიძახის: თუ გამათავისუფლებთ, ყველა ჩემს ბინას, უძრავ-მოძრავ ქონებას გავყიდი და დაზარალებულებს აუცილებლად დავაკმაყოფილებო. მოსკოვის მთავრობის საბინაო დეპარტამენტის ცნობით კი იგორ გუბკინს არც არასდროს ჰქონია და არც დღეს აქვს რაიმე საკუთრება. მის ანგარიშზე კი მხოლოდ 699 რუბლი (დაახლოებით 115 ლარი) ირიცხება.

აფერისტი გუბკინი ბოლო დრომდე, თურმე, იმასაც გაიძახოდა, გენადი ზიუგანოვის საარჩევნო კამპანია დავაფინანსეო. რუსი კომუნისტების ლიდერმა და მისმა წარმომადგენლებმა გუბკინი მოიკვეთეს და ერთ მშვენიერ დღეს, წითელ მოედანზე, მის თანამოაზრეებს დამპალი პომიდვრებიც დაუშინეს...

***როგორ მაგონებს ეს აფიორა, ძვირფასო მკითხველო, ათი-თორმეტი წლის წინათ საქართველოში გათამაშებულ ეგრეთ წოდებულ ფულის დაგროვების ზღაპრულ პირამიდებს. რამდენმა აფერისტმა და ნაძირალამ გააცუცურაკა მაშინ პატიოსანი ხალხი. ოდენ გია ზუბაშვილის (ისიც რედაქტორი იყო!) ბანკი „გზა“ რად ღირს, ასობით კოლეგას და თბილისელს რომ აუბნია თავგზა... ან ამირან ქადაგიშვილის „სასკო“ და მისი პარტნიორები, „კავკასიურ ბირჟაში“ რომ გაერთიანდნენ და ხალხის მილიონები გაფლანგეს. მერე ამირანი ვიცე-პრემიერიც გახდა! ბოლოს მოსკოვში გააპარეს...***

***იქნებ, გუბკინთან ძმაკაცობდა კიდეც?!***

***„ოქროს თასის“, „აჩის“, „ოქროს საწმისის“ და სხვა მათი მსგავსი უზნეო კომპანიების ცოდვებიც ხომ გახსოვთ?***

***ეჰ, მართლაც რომ ჯოჯოხეთია მოსაგონებლად!***

***სპარტაკ ქობულია***

## ◎ აფორიაქებული განწყობით

# ნამდვილად ხდება რაღაც...

**ბევრს, ძალიან ბევრს საუბრობენ:**

**ბაღებზე.**

**პარკებზე.**

**სკვერებზე.**

**წესით და რიგით, თბილისი უკვე ბაღნარად უნდა იყოს ქცეული.**

**უნდა იყოს.**

**ხვალ.**

**ზეგ.**

**ჯერ არ არის.**

დანამდვილებით შეიძლება თქმა: იქნება, უსათუოდ იქნება, რადგან არის სურვილი, მონდომება, ენერგია.

მოინახება ყველაფერი: ფული, მასალები და ასე შემდეგ.

ჭკვიან კაცსაც ასე უთქვამს: თაფლი იყოს და ბუზი სტამბოლიდან მოვაო.

თაფლი ამჯერად სამუშაოა უსაქმოდ დარჩენილი თბილისელებისათვის. ვისაც შრომა არ ეზარება და არც შავ სამუშაოს თაკილობს ბუნდოვანი და გაურკვეველი მომავლის მოლოდინში.

სამუშაო ადგილი ნიშნავს ფულს, ფული კიდევ საარსებო საშუალებას. არსებობს კიდევ გრძელი, ძალიან გრძელი ჯაჭვი, რომელსაც ცხოვრება ჰქვია და ათასგვარი რამე-რუმეებით არის სავსე.

ამ საუბრებში საჩოთიროა ერთი რამ: შეესევიან ხეებს ეს ხერხიანი კაცები და აძრობენ ტყავს. უფრო ზუსტად აგლეჯენ ტოტებს, თანაც ისე გულდაგულ, რომ საეჭვოა ოდესმე ახალმა ყლორტმა ისურვოს იქ ამობრძანება.

შესაძლებელია მთლად ასეც არ იყოს. ალბათ, არიან ადამიანები, რომლებმაც რიგიანად იციან რა და როგორ, როდის უნდა გაკეთდეს. ძნელი დასაჯერებელია თუნდაც ხის ავკარგის მცოდნე ადამიანიც სანთლით იყოს საძებარი ამხელა ქალაქში.

განსაკუთრებით ამდენი უმაღლესი სასწავლებლის პატრონ ქვეყანაში.

სულო ცოდვილო, ერთი შეხედვით მართლა ძალიან ლამაზად გამოიყურებიან საცეკვაოდ გაწკიპული გოგონებივით ტანკენარი ჭადრები.

როგორღაც გაფართოვდა სამხედველოც. თვალიც პოულობს სახილველს.

ჟანგბადის ოდენობა ნამდვილად შემცირდა ამ პაპანაქებაში, მაგრამ არ ვიცი, თუ რამდენად. ისედაც რა დროს ჟანგბადია ამ ხვატში, როცა ფილტვების დანიშნულებაც კი ავიწყდება სულშეხუთულ ადამიანს და საკმაოდ ბევრი უქონელი შენატრის კონდიციონერიან შენობებს, რომლებიც არც ისე ცოტანი არიან საერთოდ ქალაქში

უბნებში.

ესე იგი, ხალხს რაღაც საშუალება მაინც აქვს.

ღია.

ფარული.

ალალი თუ არამი.

ყველაფერთან ერთად სპორტული მიღწევებითაც იწონებენ თავს იერარქიული კიბის თავში ნაადრევად ასული ახალ-უხლები.

შედეგები ნამდვილად არ ჩანს ჯერ.

ფეხბურთი მოკვდა.

„დინამო“ მისთვის სრულიად შეუფერებლად თამაშობს.

არც კალათბურთელები ბრწყინავენ.

სხვებიც არ კაშკაშებენ, სამწუხაროდ.

პატარ-პატარა, მაგრამ ლამაზი სტადიონები ნაღდად შენდება. თითქმის ყველა უბანში გამოჩნდა ერთიორი ხელოვნურსაფარიანი მოედანი, სადაც პატარებს შეუძლიათ თამაში, სულ ცოტა დროის უბრალოდ მოკვლა მაინც. სხვა თუ არაფერი, ხაშხაშისთვის არ იქნებიან განწირულები.

ყოველ შემთხვევაში ასეთი ინფორმაციები მოდის სულ ზემოდან.

ხშირად საიერსახოდ გამიზნულები, მაგრამ არც ყოველთვის ბუშტებივით გაბერილები.

ძალიან მცხელა, მაგრამ, რა ვქნა, წარა-მარა გავრბივარ შვილიშვილების სანახავად. სადაცაა გავლენ ქალაქიდან, მერე კვირაში ერთხელ თუ მომიწევს მათთან სტუმრად ხლება...

იმ დღესაც ვეწვიე.

შინ იყვნენ..

უფროსი მეექვსეკლასელია, უმცროსი სულაც სამი წლისა და ერთი თვის.

ნია და ანი!

ვერცხლისწყალივით მოუსვენრები.

მტაცეს ხელი.

გამაქანეს სადღაც.

გავცდით ეზოს.

მრავლის მეტყველად სდუმდნენ დები.

ნიას უფრო ღირსეულად ეჭირა თავი. ანის თვალებიდან ნაპერწკლები ცვიოდა. ძლივს აკავებდა ამოსახეთქად გამზადებულ სიტყვას.

ტუჩებზე იფარებდა ხელს.

მივედით. შორიდანვე დავინახე მათი სიხარულის მიზეზი.

არაფერი შევიმჩნიე.

გულდაგულ დავათვალიერე ყველაფერი.

სპორტული სკოლის მოსწავლეებისათვის დიდი ხნის წინ მოწყობილი სტადიონის გვერდით ადრე პატარა მინდორი იყო შალაფა ბალახით დაფარული.

ახლა იქ პატარა გოგო და ბიჭი თამაშობდა ფეხბურთს. კივილით იკლებდნენ იქაურობას, მაგრამ ასი მეტრის სიახლოვეს სახლი არ იდგა, გამოსულიყო ვინმე და ხმაური დაეშალა ონავრებისთვის.

ნია და ანიც დაუყოვნებლივ „ჩაებნენ“ საქმეში.

ვიჯექი.

ვუყურებდი.

ვუსმენდი.

დამხდურთა მეტყველებამ დამაეჭვა, რაღაც მომაგონა. სოხუმიდან ლტოლვილები აღმოჩნდნენ. მშობლიური უბანი არც ახსოვდათ თბილისში დაბადებულ-წამოჩიტულებს. ეტყობა, გენმა იძალა და არ მოაშლევინა საუბრის თავისებური მანერა.

სათამაშო მინდორზე ლტოლვილთათვის არაფერი მიკითხავს.

დღესავით ნათელი იყო: მარტო ამ ორის სიხარულისთვის ღირდა ხელოვნური საფარის დაგება და მავთულხლართით შემოკავება.

დიდი-დიდი ორი-სამი კაცის მოცდენა იყო საჭირო ქვა-ღორღის გასატანად, ნიადაგის მოსასწორებლად.

ერთიცა ვთქვათ ბარემ;

ფართო, ძალიან ფართო ლაშქრობა დაიწყო ქალაქის დასასუფთავებლად: მალე თბილისიც დაემსგავსება რაღაცას. ხელის ერთი მოსმით ვერ გახდება სისუფთავით ეგზომ სახელგანთქმული სინგაპური, მაგრამ ვენასაც რომ გაუტოლდეს, ესეც არ იქნება ურიგო, თუმცა ახლა სულ სხვა რამეზე მინდა ყურადღების გამახვილება. ქალაქის დამსუფთავებლებად შეირჩნენ მეტად ახალგაზრდები-სტუდენტები. ლამაზფორმიანი, დარჩეული გოგო-ბიჭები იტრიალებენ დედაქალაქში, სამას მანეთს მიიღებენ ხელფასად.

ფული ფულად.

სამასი ლარი არ არის უზომო თანხა. მაგრამ ეს როდია გადამწყვეტი. სხვა რამეა მთავარი:

**ახალგაზრდობა არ თაკილობს ფიზიკურ შრომას. ერთი-ორი ისეთიც მეგულება, სულაც რომ არ ადარდებს ლარი. უბრალოდ საკეთებელი, საკეთებელი თუ არა, ხალხში ტრიალი ეხალისება.**

**საქმეა ეს, სერიოზული საქმე.**

**ორგანიზაციული:**

**ზნეობრივი:**

**აღმზრდელობითი, უპირველეს ყოვლისა.**

**ორი აზრი არ არსებობს:**

**ხდება რაღაც.**

**ზევით.**

**ქვევით.**

**როგორც ჩანს, მართლა არ წვიმს ისე, როგორც ქუხს და არც ისე თოვს, როგორც იღრუბლება ხოლმე გრძელი ზამთრის ცივ საღამოს.**

**რობერტ ძერია**



◎ დაკვირვება



ამერიკელი ფრენსის ფუკუიამა წერს: „არგაგებას იმისა, რომ ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველი ცნობიერებასა და კულტურაში ძევს, მივყავართ იმ ფართოდ გავრცელებულ ცდომილებამდე, როცა მატერიალურ მიზეზებს მიაწერენ იმ მოვლენებს საზოგადოებაში, რომელიც თავისი ბუნებით ძირითადად განეკუთვნება სულიერების სფეროს“. მართლაც, მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სიმდიდრის 75 პროცენტს სწორედ ადამიანური კაპიტალი შეადგენს და არა ფინანსები.

ჯერ კიდევ ძველი ელინები ბარბაროსებად თვლიდნენ იმ ხალხს, სადაც საპატიო საქმედ მიჩნეული იყო ძალადობა და ანგარება და არ ცნობდნენ ცოდნის, სიტყვის ძალას, ადამიანის პიროვნულ თვისებებს. ყველაზე მაღლა აყენებდნენ სულიერი კულტურის შემოქმედ ადამიანებს და ეს კანონით იყო განმტკიცებული. ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ცდილობდნენ ქვეყნის გონიერი მმართველები თავისი სახელმწიფოს ინტელექტუალური პოტენციალის გადიდებას (და ასევე გენოფონდის გაკეთილშობილებასძ სხვადასხვა ხალხის ხარჯზე. ამჟამად ეს პროცესები უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს მაგ. ამერიკაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხდება ტვინების გადინება, რასაც ცხრილიც თვალნათლივ აჩვენებს:

| | |
|---|---|
| აშშ-ში სამეც. კვლევებზე წელიწადში იხარჯება | 315 მლრდ. ევრო |
| გერმანიაში - - - - - - - - - - - - | 52 - - - - - - - - - - |
| საფრანგეთში - - - - - - - - - - - | 33 - - - - - - - - - - |
| ინგლისში - - - - - - - - - - - - - | 30 - - - - - - - - - - |

განათლების საკითხი თანამედროვე საზოგადოებისთვის ეს არის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ინტელექტს შესაფერისი აღზრდა და განათლება სჭირდება. „იცხოვრე როგორც მოკვდავმა, ისწავლე როგორც უკვდავმა“ – ასე არიგებდა 1240 წელს ოქსფორდის პროფესორი ედმონდ ჰადმინგტონი თავის სტუდენტებს. ინგლისის მეფემ იაკობ პირველმა ერთხელ ქვეშევრდომებს თავისი დიდი სურვილი გაანდო – ყველაფერზე მეტად ოქსფორდის სტუდენტობას ვინატრებდიო. რვა საუკუნეა, რაც ოქსფორდი ტალანტის და ცოდნის ოლიმპად, ტრადიციების ბასტიონად, პარლამენტის მომავალი წევრების, საზოგადო მოღვაწეთა და გამოჩენილ ადამიანთა სამჭედლოდ ითვლება (ცნობილია, რომ ინგლისის სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებს აქ იშვიათად წყალობს ბედი. ოქსფორდის ბარიერი რვა საუკუნის განმავლობაში მათი ოჯახის წევრს იშვიათად თუ გადაულახავს. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია პრინცი ჩარლი). მიუხედავად იმისა, რომ აქ მკაცრად იცავენ ტრადიციებს, ჯენტლმენურ კოდექსებს, პიროვნებაში ყველაზე მაღლა არაორდინარულ აზროვნებას, უშუალობას, სისადავესა და თავისთავადობას აფასებენ, რადგან სწამთ, რომ ჭეშმარიტი **ბედნიერება მხოლოდ განათლებულ და სრულყოფილ ადამიანთა ხვედრია.** ამიტომაც არის, რომ ინგლისის არისტოკრატია ბავშვის დაბადებისთანავე ცდილობს, მას კეთილშობილური აღზრდა და განათლება მიაღებინოს (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასაკთან ერთად გენეტიკური ფაქტორების გავლენა ძლიერდება, ხოლო ალზრდისა კლებულობს).

ამერიკის შრომის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით უმაღლესი განათლების შედეგად ქვეყანაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა არანაკლებ 20 პროცენტით. ამასთანავე, უმაღლესი განათლების მქონე ამერიკელთა შემოსავლები დაახლოებით 60 პროცენტით აღემატება საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შემოსავლებს. ამერიკის ფედერალურმა მთავრობამ დაისახა ამოცანა, უმაღლესი განათლება ისეთივე ხელმისაწვდომი გახდეს ყველასათვის, როგორც საშუალო განათლება. რათა დაიმკვიდრონ მსოფლიოში პირველი ადგილი სტუდენტთა მიღწევების მიხედვით მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებში.

იაპონიის წარმატებებს მეცნიერები პირდაპირ უკავშირებენ ამ ქვეყნის მთავრობის დროულ ფსონს განათლების დარგზე. შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ აღმოსავლეთის „დრაკონთა ხუთეულის“ ქვეყნებში (ჰონკონგი, სინგაპური, ტაივანი, სამხრეთ კორეა, იაპონიაძ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ყოველთვის არიან წარჩინებული და ოლიმპიადაზე გამარჯვებული მოსწავლეები და სტუდენტები. მათი სურათებით არის აჭრელებული ქუჩები, ჟურნალ-გაზეთების გარეკანი და ა.შ.

თანამედროვე გამოკვლევებით დადგენილია, რომ დაბადებიდან 12 წლამდე ინტელექტი ძალიან სწრაფად იზრდება, შემდეგ ტემპები მცირდება. მაქსიმუმს 15 წლის ასაკში აღწევს. გარკვეულ პერიოდამდე ამ დონეს ინარჩუნებს და შემდეგ თანდათან მცირდება. ვისაც დაბალი ინტელექტის კოეფიციენტი აქვს, ეს განვითარება უფრო ადრეულ ასაკში უმთავრდება და შემცირებაც უფრო მკვეთრად გამოხატულია. მედიკოსები ასევე გვაფრთხილებენ, რომ არ შეიძლება ადამიანის ორგანიზმის, როგორც ფიზიოლოგიური, ასევე გონებრივი შესაძლებლობების ფორსირება და მათი ხელოვნური მეთოდებით გაზრდა. ჩვენს ორგანიზმში ყველაფერი ბალანსირებულია, მათ შორის გონებრივი და ფიზიოლოგიური შესაძლებლობანი.

ცნობილი მეცნიერი რასელ აკოფი მრავალწლიანი გამოკვლევის საფუძველზე ასკვნის, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვები არნახული შემოქმედებითი ნიჭით გამოირჩევიან, რომელიც შემდეგ სკოლის პერიოდში სადღაც იკარგება. იგი ერთიდაიგივე კითხვებს უსვამდა თავის თანამშრომლებს, სტუდენტებს და სკოლამდელი ასაკის ბავშვებს. ამ უკანასკნელთა პასუხი გაცილებით უკეთესი იყო. იმდენად ინტელექტის გაზრდა კი არ უნდა ვეცადოთ ბავშვებში, რამდენადაც ალზრდის მეთოდების სრულყოფასა და განვითარება, რათა ბავშვის ცნობისმოყვარეობას თავისუფლად განვითარების შესაძლებლობა მიეცეს. მეტი დრო დაეთმოს მათ თამაშობა-გართობის ფორმებს, ნაკლები – ტელევიზორსა და კომპიუტერთან ჯდომას (რეკომენდებული არ არის კვირაში 5-6 საათზე მეტი ტელევიზორსა და კომპიუტერთან ყოფნა. 10 წლამდე ბავშვების სკოლის ჩანთის წონა თავის შიგთავსით არ უნდა აღემატებოდეს 1,5 – 1,8კგ-ს და ა.შ.ძ. ადამიანის ტვინს 3-ჯერ მეტი ჟანგბადი და საკვები სჭირდება, ვიდრე სხვა ორგანოებს. და როცა არასაკმაო რაოდენობით იღებს საჭირო საკვებს, მას სხეულის სხვა ორგანოებსართმევს. მოხრილობა, კანის სიფერმკრთალე, გადაღლა, ყოველივე ეს ჟანგბადის უკმარისობის ბრალია, ამიტომ სუფთა ჰაერი, სწორი სუნთქვა არა მარტო კვებავს სხეულს, არამედ ერთ-ერთ ძლიერ გამწმენდ აგენტსაც წარმოადგენს.

დაბოლოს, ნებისმიერი სეგრეგაცია (დაყოფაძ საშიშია საზოგადოებისათვის, მათ შორის „ჭკვიანებად“ და „უჭკუოებად“. თუ ბავშვს დაბალი ინტელექტის კოეფიციენტის მაჩვენებელი აქვს, ეს უპირველეს ყოვლისა, იმის მაჩვენებელია, რომ უნდა შეიცვალოს მისი სწავლების სტრატეგია და ტაქტიკა. სწავლულთა აზრით, იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მაღალი ინტელექტის დონე, საჭიროა გონების ყოველდღიური ვარჯიში (აკადემიკოსი ლ. ლანდაუ ყოველდღიურად, როგორც წესი, 5 ინტეგრალს ხსნიდაძ. ხშირად ამოვხსნათ კროსვორდები, შევისწავლოთ უცხო ენა, ზეპირად დავისწავლოთ ლექსები, ციტატები, დავუკრათ ინსტრუმენტზე, ვწეროთ (ხელის ფაქიზი მოძრაობები ავარჯიშებს გონებასძ, ზეპირად ვიანგარიშოთ, ნაკლებად გამოვიყენოთ კალკულატორისა და კომპიუტერის მზა პასუხი, იშვიათად ვუყუროთ ტელეგადაცემებს, რადგან მათ ყურებას ტვინის განძრევა არ სჭირდება, უმოქმედო ტვინი კი უფრო მალე იწყებს დეგრადირებას, ვიდრე ჩვენი კუნთები.

ლუის კეროლის ზღაპრის გმირი შავი დედოფალი ამბობს: იმისათვის, რომ ადგილზე დარჩე, მთელი ძალით უნდა ირბინო, ხოლო თუ გინდა წინ წახვიდე, ორჯერ მეტი სიჩქარით უნდა გაიქცე. დროის გასწრების ყველაზე უნივერსალური საშუალებაა ახალი იდეებით შეიარაღება, მათი დროული მხარდაჭერა და ცხოვრებაში გატარება. მაშასადამე, მთავარი აქცენტი უნდა გადავიტანოთ სკოლამდელი ასაკის ბავშვის კვებაზე, ბაგა-ბაღების ქსელების გაფართოებაზე და სიცოცხლის პირველი დღეებიდან მომავალი ადამიანის პიროვნული თვისებების აღზრდასა და მათ სრულყოფილ განვითარებაზე. ჩინური ანდაზა ამბობს: ვინც ერთი წლით წინ იხედება, ბრინჯს თესავს, ვინც 10 წლით – ხეს რგავს, ვინც 100 წლით – ბავშვის აღზრდაზე ზრუნავს.

საქართველოს დღეს არა აქვს სტაბილური განვითარების სტრატეგია, რადგან მისი შემუშავება მხოლოდ ხელისუფლების საქმე არ არის. ეს მთელი საზოგადოების, მისი თითოეული წევრის მოთხოვნილება უნდა იყოს. ხალხი მომავლით ცხოვრობს, ბრბო კი – ყოველდღიური პრობლემებით. ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი გუშინდელ დღეს მისტირის, უდიდესი ნაწილი ლუკმაპურის შოვნით არის დაკავებული, და ძალიან მცირე ნაწილი ხედავს, თუ რა ხდება სინამდვილეში და მომავალში იყურება.

უცხოური მასალების საფუძველზე მოამზადა
**მედეა თავდიშვილმა**

# სიღარიბის დაძლევას ფორმულა უშველის, თუნდაც უნივერსალური?..



დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 159.

**წარმოგიდგენთ 1945 წლიდან მოყოლებული აშშ პრეზიდენტთა ინტელექტის კოეფიციენტის მონაცემებს (გაზეთი „BILD“ძ.**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ბილ კლინტონი (დემოკრ. პარტია) | -182 და მეტი |
| 2. | ჯიმი კარტერი (დემოკრ. პარტია) | -175 |
| 3. | ჯონ კენედი (დემოკრ. პარტია) | -174 |
| 4. | რიჩარდ ნიქსონი (რესპ. პარტია) | -155 |
| 5. | ფრანკლინ რუზველტი (დემოკრ. პარტია) | -147 |
| 6. | ჰარი ტრუმენი (დემოკრ. პარტია) | -132 |
| 7. | ლინდონ ჯონსონი (დემოკრ. პარტია) | -126 |
| 8. | დუაიტ ეიზენჰაუერი (რესპ. პარტია) | -122 და მეტი |
| 9. | ჯერალდ ფორდი (რესპ. პარტია) | -121 |
| 10. | რონალდ რეიგანი (რესპ. პარტია) | -105 |
| 11. | ჯორჯ ბუში უფროსი (რესპ. პარტია) | -98 |
| 12. | ჯორჯ ბუში უმცროსი (რესპ. პარტია) | -91 |

ეს ცხრილი აშკარად გვიჩვენებს, რომ ცალკეული პიროვნების წარმატება ნაკლებად არის დამოკიდებული მის ინტელექტის კოეფიციენტის მაჩვენებელზე (მაგალითად, რეიგანი აღიარებულია აშშ ერთ-ერთ დიდ პრეზიდენტადძ, თუმცა თუ გინდათ, რომ გახდეთ ამერიკის პრეზიდენტობის პრეტენდენტი დემოკრატიული პარტიიდან, ინტელექტის კოეფიციენტი აუცილებლად მაღალი უნდა გქონდეთ. კალიფორნიელმა მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ამერიკელთა სიმპათიები [illegible] არის დამოკიდებული მათ ინტელექტის კოეფიციენტზე. რაც უფრო ნაკლებია ამომრჩეველთა ინტელექტის კოეფიციენტი, მით უფრო მეტად მოსწონთ ბუში.

◎ ინფორმაცია

## ქიშმარიას „ბინძური“ ფიქრები

ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის წარმომადგენელ რუსლან ქიშმარიას 17 აგვისტოს განცხადებით, აფხაზური მხარე ქართული მხარისგან წინა დღით კოდორის ხეობის შესასვლელში აღმოჩენილი სამალავის არსებობის შესახებ ახსნა-განმარტებებს მოითხოვს. მისი თქმით, იარაღის სამალავში აღმოჩენილი იყო 5 ნაღმტყორცნის ჭურვი, 6 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, ასაფეთქებელი ნივთიერებები და სხვა საბრძოლო მასალა.

„გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინათ აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩვენ ოთხი შეიარაღებული ქართველი დავაკავეთ. ყოველივე კი გვიბიძგებს, ვიფიქროთ იმაზე, რომ საქართველო აფხაზეთში სერიოზულ დესტაბილიზაციას მართლაც გეგმავს“, – განაცხადა ქიშმარიამ.

## რა არ მოსწონთ აფხაზებს?

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მამუკა კუდავას განცხადებაზე საპასუხო კომენტარს აკეთებს და ამბობს, რომ კუდავა აცხადებს, რომ კოდორის ხეობაში მძიმე ტექნიკის შეყვანა საქართველოს სუვერენული უფლებაა, ამით კი „საქართველო უკვე მერამდენედ ადასტურებს, რომ იგი ხელმოწერილი შეთანხმებების შესრულებას არ აპირებს“. აფხაზურ საგარეო უწყებას იმ ხელმოწერილ შეთანხმებათა ჩამონათვალი მოჰყავს, რომლის მიხედვითაც, მათი განმარტებით, კოდორის ხეობის ზედა ნაწილის დემილიტარიზებაა განსაზღვრული.

„საქართველოს ხელისუფლება კი ყველაფრის მიუხედავად აგრძელებს იქ საბრძოლო ტექნიკის თავმოყრას. მივიჩნევთ, რომ კოდორის ხეობის ზედა ნაწილის მონიტორინგი, რუს დამკვირვებელთა მონაწილეობით რაც შეიძლება მალე უნდა ჩატარდეს.

აფხაზური მხარე კი ამ მონიტორინგის ჩატარებისა და მისი რეზულტატების ცნობის შემდეგ, კოდორის ხეობის ქვედა ნაწილის მონიტორინგზე თანხმობას განაცხადებს“, – ნათქვამია სერგეი შამბას უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## ქართველები სომხეთში

სომხეთში ეთნიკური ქართველების რიცხვი ძალიან მცირეა და 200-ზე ოდნავ მეტია. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სომხეთში რევაზ გაჩეჩილაძემ სააგენტო „ნიუსარმენიასთან“ საუბრისას. მისივე თქმით, სომხეთში მცხოვრები თითქმის ყველა ეთნიკური ქართველი შერეული ოჯახის შვილია და მათი შთამომავლობაც სომეხი ეროვნების იქნება.

„1897 წელს მხოლოდ ერევანში, სადაც მთელი მოსახლეობა 29 ათასი იყო, 142 ქართველი ცხოვრობდა, რომელთა უმრავლესობა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოხელე იყო. სადღეისოდ კი თითქმის მილიონიანი მოსახლეობის მქონე ერევანში ქართველთა რაოდენობა არ გაზრდილა“, – განაცხადა ელჩმა.

ცნობისთვის: მოსახლეობის აღწერის ბოლო მონაცემებით საქართველოში 249 ათასი სომეხი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს. აფხაზეთის ტერიტორიაზე, აღწერის მონაცემების არარსებობის გამო, მათ რიცხვს 40-50 ათასამდე ვარაუდობენ.

ჯი-ეიჩ-ენი.

## ჩხარტიშვილი განაჩენს აპროტესტებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა გუშინ [illegible]

მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ [illegible]

ინტერპრესნიუსი

◎ დავა

# ბ ! – ...

**სიმართლე გითხრათ, ასეთი შინაარსის წერილი რედაქციაში აქამდე არც შემოსულა. ვგულისხმობ იმას, რომ სასულიერო პირებზე, ჩვეულებრივ, უფრო სამადლობელი წერილები მოგვდის ხოლმე.**

**საქმე შეეხება ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში. მისი სიმაღლე 50 მეტრია, სწორედ ამ „თეთრი გედივით“ მდგარი სასწაულის გარშემო ატეხილ აურზაურზეა საუბარი.**

ტაძარი დიდი ხანია, რაც შესაკეთებელია. ამჟამად იქ მიმდინარე სამუშაოებს აწარმოებს საეკლესიო ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის ხელმძღვანელი, ალავერდელი მიტროპოლიტი მეუფე დავითი.

სწორედ მეუფე დავითის წინააღმდეგაა მიმართული რედაქციაში მოსული წერილი, რომელსაც ხელს აწერს კავშირის „კახეთის ეროვნული მემკვიდრეობა“ – თავმჯდომარე მარიამ ცუცუნაშვილი.

**წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „კომპლექსმა ბოლო დროს დაკარგა პირვანდელი სახე. სრულიად სახეშეცვლილია სამონასტრო სენაკები, მარნიდან ქვევრებია ამოღებული, დაბეტონებულია და ზედ საპირფარეშოა დაშენებული... სიწმინდეები შელახულია, შენდება ახალი ტიპის ღვინის ქარხანა, რაც ყოვლად დაუშვებელია...**

მეუფე დავითთან შეხვედრის დროს კი: **„წონასწორობადაკარგული გვიყვიროდა უშვერ სიტყვებს: უგუნურებო, უვიცებო, შეგაჩვენებთ... მოვუწოდეთ სიმშვიდისკენ, თუმც უსიამოვნოდ დავ-**



**ცილდით. მას შემოფარგლული აქვს გარკვეული ტერიტორია, სადაც არავის აძლევს უფლებას იხილოს მიმდინარე მშენებლობა და ყველას ატყუებს, ვითომც ისევ არქეოლოგიური გათხრებია და ამიტომ დაცულია მიმდებარე ტერიტორია“.**

**„მეუფე დავითს აქვს თავის მიერ შესრულებული ღვინის ქარხნის პროექტი, რომელსაც „მარანი“ ეწოდება. ამ სახელს ამოფარებული ყველას ატყუებს, რომ ძველი მარანი უნდა აღადგინოს... ანალოგიური სიტუაციაა შუამთის ძველ მონასტერში. ისტორიული ქვევრი ქვიშითაა ამოვსებული...“**

**„ჩვენ მოვახერხეთ ჯერ შეულახავი მარნის ფოტოზე აღბეჭდვა. თუმც, შემდეგ მხოლოდ გარედან შევძელით გადაღება, რადგან მეუფე მლოცველებს ფეხდაფეხ დაჰყვებოდა და არაფრის საშუალებას არ აძლევდა...“**

რომ იტყვიან, ამ ამონარიდებითაც კარგად ჩანს, თუ როგორ ხედავს ალავერდში მიმდებარე სარესტავრაციო სამუშაოებს კავშირი „კახეთის ეროვნული მემკვიდრეობა“.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული წერილი გავაცანით საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსს, გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქტორს ზურაბ ცხოვრებაძეს და საქმის არსში გარკვევაც ვთხოვეთ, რაზეც მან გვიპასუხა:

– ეს არის, პირდაპირ გეტყვით, ძალზე არაობიექტური წერილი. მისი ავტორის უკან გარკვეული ძალები დგანან, რომელთაც არ სურთ, კარგი საქმე კეთდებოდეს. იშვიათია მეუფე დავითზე უფრო წესიერი და პროფესიონალი პიროვნება. უფრო მეტიც, ის თავგადაკლული პატრიოტია. საპატრიარქოს ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების საბჭოსაც ამიტომ ხელმძღვანელობს და საკმაოდ წარმატებითაც.

გარდა ამისა, მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ვიდრე სასულიერო აკადემიას დაამთავრებდა, მეუფე პროფესიით სწორედ არქიტექტორი გახლდათ. ის თავისი საქმის პროფესიონალია.

ამაზრზენია წერილში მოყვანილი ცილისწამებანი. განა შესაძლებელია მლოცველებს მღვდელმთავარი ფეხდაფეხ დასდევდეს? – ეს ხომ სრული მკრეხელობაა! რამდენი ხანია, ალავერდის ტაძრის კომპლექსი რესტავრაციას საჭიროებს. ახლა უდიდესი საქმე კეთდება და არ მესმის, რა უნდა ამ ხალხს. როგორც ჩანს, ვიღაცას ეს არ მოსწონს. აშკარად ტენდენციური წერილია.

ჩვენ, რაღა თქმა უნდა, დავინტერესდით თვითონ მეუფესთან საუბრით, მაგრამ ამჟამად ის ალავერდში არ იმყოფება – ათონის მთაზე მოსალოცადაა წასული. ბატონ ზურაბს კი იქ მყოფი მონაზვნები ესაუბრნენ, რომლებმაც თქვეს:

– ეს ბრძოლაა ალავერდის რეკონსტრუქციის წინააღმდეგ. არადა, ძველი ხომ უნდა აღსდგეს! ეს საქეიფო-საპარპაშო ადგილი იყო. ცხვრებს კლავდნენ, ღრეობდნენ, რაც მიუღებელია მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის... მეუფე დავითი დახვეწილი გემოვნების ადამიანია. ის მაღალ დონეზე აკეთებს საშვილიშვილო საქმეს. მალე ალავერდის ტაძარს მართლაც დაუბრუნდება ძველი დიდება, მეუფე დავითს უთანასწორო ბრძოლაში იწვევენ. ასეთი ყალბი სამხილებით კი ფონს ვერავინ გავა. ვიცით, რომ მოწინააღმდეგეების უკან არაპოზიტიური ძალები დგანან. ისეთ საშინელებებს წერენ, ვერც გავიმეორებთ! ებრძვიან ამ პროცესს. ეს არის სწორედ ბრძოლა ალავერდის რეკონსტრუქციის წინააღმდეგ, მაგრამ ღმერთი ყველაფერს ხედავს და მისი ნებით კეთდება ყველაფერი...

**ჩვენ შევეცდებით, როგორც კი მეუფე დავითი ათონის მთიდან დაბრუნდება, შევხვდეთ და მისი აზრი გადმოგცეთ. ის უკეთ ახსნის სიტუაციას. ასე რომ, ამ თემას ჩვენი გაზეთი კვლავ მიუბრუნდება. მართლაც არასასიამოვნო ფაქტია, როდესაც მეუფეს ასე მიმართავენ. და ეს მაშინ, როცა ქართულმა ეკლესიამ, მისმა წინამძღვარმა და სასულიერო პირებმა შეძლეს აურაცხელი მრევლის შემოკრება კომუნისტური ათეიზმის შემდეგ... ისიც ცხადია, რომ სასულიერო ღვაწლის შეფასებისას ხალხი ზუსტი სასწორია და თანაც, „წყალიც არ დაკარგავს თავის ნაკვალევს!..“**

**ლია ჭილლაძე**

◎ ეკლესია

# იყალთოს გორაზეც დაინთო სანთლები

**2000 წლიდან მორწმუნე მოსახლეობის სურვილისამებრ, დეკანოზ არჩილის (მინდიაშვილი) მეცადინეობით, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, იყალთოს გორაზე ჯვართამაღლების ეკლესიის მშენებლობა დავიწყეთ.**



მრავალეროვნული არაერთგვაროვანი მოსახლეობის ნაწილს მრევლის გულისთქმა არ მოსწონდა, სკეპტიკურად უყურებდნენ მოვლენების განვითარებას, შემოწირულობის შეგროვების პროცესს, მშენებელთა ბრიგადების, ენთუზიასტთა ჯგუფების შექმნას...

მაგრამ ჩვენი მამების – დეკანოზ თეოდორეს (გიგნაძე), დეკანოზ გიორგის (უგრეხელიძე), მღვდელი ლევანის (მექოშვილი), მორწმუნეთა დაუღალავი შრომის შედეგად ეკლესია განსრულდა, გამშვენდა და ამჟამად ქვის პერანგით იმოსება. (არქიტექტორია ნიკოლოზ ლასარეიშვილი).

ჯვართამაღლების ეკლესია რწმენის, სიკეთის, თანადგომის, ეროვნულობის ჭეშმარიტი ტაძარი გახდა. ჩვენ და ჩვენი შვილები წმინდა წერილს, მართლმადიდებლობის ისტორიას, წმინდათა ცხოვრებას ვეცნობით და რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, მოვლენების სულიერი თვალით შეხედვას, ცოდვების გულწრფელი მონანიებით მადლის მიღებას, ქრისტიანულ შემეცნებას ვეზიარებით.

ჩვენი ტაძარი არის სულიერების და რწმენის ცენტრი საკმაოდ მრავალრიცხოვან უბანში, ნიშანდობლივია, რომ ეკლესიამ ნარკომანიით დაავადებული ახალგაზრდებიც მიიზიდა და მშენებლობაში, ეკლესიურ ცხოვრებაში ჩართვით, მათი საშინელი სენისაგან განკურნების პროცესი დაიწყო. ეკლესიასთან შეიქმნა მგალობელთა გუნდები, ახალგაზრდული ჯგუფები, რომლებიც ავადმყოფებს უვლიან. წმინდა ტაძრის ზარები მოსახლეობას ამხნევებენ. დავრდომილებს კი, ვისაც ეკლესიაში მოსვლა უჭირთ, მამა თეოდორეს ბრწყინვალე ქადაგებანი შეუძლიათ მიკროფონის საშუალებით მოისმინონ. ზარები ძალას მატებენ, ნუგეშს აძლევენ, ამხნევებენ...

ჩვენი ეკლესიის მრევლის სახელით, რომელიც საოცრად გაიზარდა და გაძლიერდა, გაუწყებთ, რომ ჯვართამაღლების ტაძარი უბნის სულიერების ცენტრი და მშვენება გახდა, რისთვისაც ვმადლობთ უფალს, ჩვენს დედა-ეკლესიას და ყველა შემომწირველს, რომლებმაც თუნდაც მცირეოდენი გაიღეს. ამ ტაძრის არსებობა მოსახლეობის ძალისხმევის გაერთიანების და ლოცვის ხილული ნაყოფია და სამაგალითოა მთელი ერისათვის, თუ როგორ დაიძლევა ნებისმიერი სიძნელე რწმენით, იმედით და ერთიანობით.

დაე, მოეფინოს ეკლესიების ზარების და ქართული მრავალხმიანი გალობის ხმა მთელ საქართველოს.

**თბილისის ჯვართამაღლების ეკლესიის მრევლის სახელით**

**ნიკოლოზ ამირეჯიბი;**
**ია ბაგრატიონ-მუხრანელი;**
**გოჩა აბაშიძე**

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– მინდა ვისარგებლო კუთვნილი შვებულებით. ფაქტობრივად ჩემი მუშაობის დაწყებიდან გავიდა 11 თვეზე მეტი, მაგრამ იმის გამო, რომ ნედლეული არ ჰქონდათ, რამდენიმე თვე ვიყავით იძულებით მოცდენაზე.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო ანაზღაურებადი შვებულება?**

**მალხაზ კორძაია.**

– კანონის თანახმად, შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო.

ამასთან ერთად, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში არ ითვლება დასაქმებულის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის ან 7 სამუშაო დღეზე მეტი ხნით ანაზღაურების გარეშე შვებულებაში ყოფნის დრო.

* * *

**– თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, როგორია ახალი კანონით ჩვილბავშვიანი დედისათვის შვებულების მიცემის წესი ბავშვის მოვლის გამო?**

**ლია მეშველიანი.**

– შრომის კოდექსის 30-ე მუხლის შესაბამისად, დასაქმებულს, თავისი თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს 5 წელი შეუსრულდება.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულება, შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს.

* * *

**– ვმუშაობ კერძო სტრუქტურაში („შპს“-ში). 7 წელია ვარ დაოჯახებული, მაგრამ, მკურნალობის ძვირადღირებული კურსის ჩატარების მიუხედავად, შვილი მაინც არ მეყოლა. ამ რამდენიმე დღის წინათ შვილად ავიყვანე ჩვილი ბავშვი.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენი დღის უხელფასო და ანაზღაურებული შვებულება მეკუთვნის?**

**ნინო გომიაშვილი.**

– დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო – ბავშვის დაბადებიდან 365 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე.

* * *

**– ვარ საფინანსო დარგის მუშაკი. მაინტერესებს, რომელი სახსრებიდან ანაზღაურდება შვებულება ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო?**

**ელზა კაციტაძე.**

– ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო კანონით გათვალისწინებული შვებულებები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. შრომის კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

* * *

**– თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, რა იგულისხმება „დამსაქმებლის მითითების უფლებაში“, ასევე შრომის ხელშეკრულების პირობების არარსებით და არსებით შეცვლაში, რომლის შესახებ აღნიშნულია ახალ შრომის კოდექსში.**

**ნესტორ ხომერიკი.**

– დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულისათვის მითითებით დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოება, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს.

შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა მითითებით.

თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელშეკრულების პირობების არაარსებით შეცვლად მიიჩნევა:

– დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ სახელმწიფოსადმი სატრანსპორტო საშუალებით საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილზე მისვლა და უკან დაბრუნება მოითხოვს არა უმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთან არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს.

– სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არა უმეტეს 90 წუთით;

– ისეთი ცვლილება, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის შეცვლით ან შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების ზუსტ შესრულებას, ამასთანავე, არ ცვლის მის ძირითად არსს.

ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებათაგან ერთდროულად ორის შეცვლა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად.

* * *

**– 10 აგვისტოდან ვიმყოფები 2006 წლის კუთვნილ შვებულებაში. ეკონომიურად მიჭირს, ამიტომ სულ მაწუხებს ერთი რამ: – ვფიქრობ, ჩემი სამსახურის ბუღალტერიამ არასწორად გამომიანგარიშა საშვებულებო ანაზღაურება.**

**თუ შეიძლება, მაცნობეთ, რომელი პერიოდის ხელფასი უნდა აელოთ საშვებულებო ანაზღაურების განსასაზღვრად (თუ შეიძლება, მიმითითეთ კანონიდან გამომდინარე საფუძველი).**

**ლალი გოჩალეიშვილი.**

– საქართველოს შრომის კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, მაგრამ თუ, მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია, საშვებულბო ანაზღაურების განსაზღვრა უნდა მოხდეს ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიურად ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

მხატვარი

# რა შეუძლია ფანქარს

**_წლების განმავლობაში მშობლიურ ქუთაისში ქმნიდა, შემდეგ კი მისი ცხოვრება და შემოქმედება მოსკოვს დაუკავშირდა, მაგრამ იმერული მოტივები, და, საერთოდ, ქართული თემები არასოდეს შემოლევია._**

**_დღეს გურამ დოლენჯაშვილი საქვეყნოდ სახელგანთქმული ხელოვანია – საქართველოს დამსახურებული მხატვარი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი. მის ნამუშევრებს მსოფლიოს მრავალ ცნობილ მუზეუმში შეხვდებით. დოლენჯაშვილის შემოქმედებაზე გრაფიკის მეტრად აღიარებული სტანისლავ ნიკირეევი (რუსეთის სახალხო მხატვარი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ი. რეპინის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი...) ყველაზე აღმატებული ეპითეტებით საუბრობს._**



რუსეთის სამხატვრო აკადემიაში პერსონალური გამოფენის გახსნაზე. მარცხნივ – აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ წერეთელი.

მეტრის გაკვირვება და აღელვება, მოგეხსენებათ, ძალიან ძნელია.

ოსტატი, ვინც ყველაზე კარგად იცის, „რა შეუძლია ფანქარს“ და ვისაც საკუთარ სახელოსნოში ოფორტის დამუშავების არაერთი ხერხი გამოუცდია, სწორედ აღელვებული და გაკვირვებული წერს: „როდესაც მხატვარმა (გურამ დოლენჯაშვილმა – ავტ.) უბრალო ფანქრით შესრულებული ნახატები ამოალაგა, გაოგნებულმა წარმოვთქვი: „არა, ეს შეუძლებელია! წარმოუდგენელია! დაუჯერებელია... იმან, რაც გურამის ნამუშევრებში დავინახე, მომცა საფუძველი, ვისაუბრო რაღაც ზეახალ მხატვრულ მანერაზე“.

ის, რაც ვაჟა-ფშაველამ ნიჭიერ მწერალზე თქვა, შეგვიძლია, მხატვარზეც გავავრცელოთ: ჭეშმარიტი მხატვარი ის არის, ვის ნახატებსაც ერთხელ ნახავ და სამუდამოდ დაგახსომდება.

შეუძლებელია, გურამ დოლენჯაშვილის ფანქრით შექმნილი იმერეთის თოვლიანი პეიზაჟები ან იმერულივე ნატურმორტები იხილო და ეს სახელი და გვარი სამუდამოდ არ დაგახსომდეს.

ცხადია, მისი „ზეახალი მხატვრული მანერაც“ დაგახსომდება.

დაგახსომდება და სხვაში აღარასოდეს აგერევა.

და განა მარტო იმერეთი? – უშგულიც, ხევსურეთიც, დაღესტანიც, ბალტიისპირეთიც, არქტიკაც, თეთრი ზღვაც...

უმეტესობა ფანქრითაა შექმნილი, ზოგიერთი კი – გუაშით და ზეთში შესრულებული.

ეს ნამუშევრები თავმოყრილია სულ ახლახან მოსკოვში გამოცემულ ალბომში, სადაც სტანისლავ ნიკირეევის და ტატიანა მორგუნოვას (ხელოვნებათმცოდნე) სტატიები სამ ენაზეა დაბეჭდილი, თანაც, ჯერ – ქართულად, შემდეგ – რუსულად და ინგლისურად!

ამ ალბომში, ნახატებთან ერთად, ფოტონამუშევრებსაც შეხვდებით, ისეთი სიუხვით, რომ მხატვარი ბოდიშსაც კი გვიხდის მათი სიმრავლის გამო.

თუმცა, საბოდიშო არაფერი აქვს.

აქ, ფოტოების და ნახატების „თანაცხოვრებას“ პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.

მოვუსმინოთ მხატვარს:

„ჩემს ბრძენ პედაგოგს ლადო გრიგოლიას ჯერ კიდევ 1963 წელს ვკითხე, რას ფიქრობდა შემოქმედებაში ფოტოს გამოყენებაზე. ასე მიპასუხა: „აღორძინების ეპოქაში რომ ფოტოგრაფია არსებულიყო, მიქელანჯელო მას მაქსიმალურად გამოიყენებდა.“

მას შემდეგ, ვიდრე ხატვას შევუდგებოდე, ვაგროვებ სხვადასხვა ფოტო თუ ვიდეომასალას, დაკვირვებით ვსწავლობ, ზედმეტს თავიდან ვიცილებ, უფრო მეტს ჩემსას ვამატებ და საბოლოოდ, ვაღწევ იმას,



სერიიდან – „იმერული ესკიზები“

რაც თავიდან ჩავიფიქრე“.

ალბომში ამის მეტყველი ნიმუშია: თუ როგორ შეიქმნა, ნატურიდან ჩანახატისა და ფოტოგრაფიის ჰარმონიული შერწყმით, მართლაც ბრწყინვალე ნახატი – „ჯადოსნური დოქი“ (სერიიდან „იმერული ნატურმორტი“).

ნახატების გვერდით შესატყვისი ფოტოების მოთავსება, ცხადია, რისკსაც გულისხმობს.

მხოლოდ ძალზე ნიჭიერი მხატვარი არ შეუშინდება ამგვარ რისკს.

ამ რისკზე სტანისლავ ნიკირეევიც მიუთითებს:

„მაგარი, მკვეთრად წვერწამახული ფანქარი საშუალებას იძლევა, წერტილოვანი მანერით, ისე ხატო, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს, თქვენს წინაშეა სხვადასხვა ტონალობით გაჯერებული ხავერდოვანი ზედაპირი. ხშირად, განცდა ისეთია, რომ ეს ზედაპირი ძალიან გაგონებს ფოტოგრაფიას. ამიტომ, მე ვუფრთხოდი მნახველის, განსაკუთრებით მხატვართა წრის რეაქციას, მათი არასასიამოვნო შეფასების მოლოდინის შიშით. არაფერია იმაზე მეტად საწყენი, გაიგონო, რომ შენი ნახატი ფოტოს ჰგავს.

გრაფიკის მეტრი, გურამ დოლენჯაშვილთან მიმართებაში, ამ თემაზე თამამად მსჯელობს, რადგან იცის, რომ ის ნამდვილი ოსტატია და მსგავსი წყენისგან დაზღვეულია:

შეუძლებელია, ვინმემ ფოტოს მიამსგავსოს მისი ფანქრით შექმნილი „იმერული ესკიზები“, ან გუაშით დახატული უშგულის კოშკები თუ დაღესტნის აულები.

სხვათა შორის, უშგულის სერიის („ზემო სვანეთი, უშგული“) ერთ-ერთ ნახატს განსაცვიფრებელი ფოტო ახლავს – მიწაზე არხეინად წამოწოლილი (ერთმანეთზე მიწყობილად) და მშვიდად მთვლემარე ოთხი ჭრელი გოჭი.

თითქოს, რა უნდა ჰქონდეს საერთო ამ ნახატს და ამ ფოტოს! – მათ მხოლოდ ფერებით თუ დააკავშირებ. ჭეშმარიტი მხატვარი ხომ ფერებს ბუნებაში ეძებს და პოულობს.

ამით მხატვარმა ყველა გზა მოგვიჭრა, ზემოხსენებულის მსგავსი „საწყენი აზრი“ გულშიაც რომ ვერ გავივლოთ.

ესეც ცნობილია: ჭეშმარიტი მხატვარი ხატავს არა ისე, როგორც ხედავს, არამედ ისე, როგორც აზროვნებს (პაბლო პიკასო).

შეგვიძლია, ასეც ვთქვათ: ჭეშმარიტი მხატვარი ისე ხედავს, როგორც აზროვნებს.

მაგალითად, ყველა ვერ დაინახავს იმას, თუ როგორ „დაახატავს“ შუადღის მზე ჩრდილში მდგარ ხარებს ზურგზე ხეთა რტოებს.

ამას ვერც ყოვლისშემძლე ფოტოგრაფია შეძლებს.

ეს მხოლოდ მხატვარს, ჭეშმარიტ მხატვარს ძალუძს! ის, ამ შემთხვევაში, მზესთან და ღმერთთან წილნაყარია.

ამით (ამითაც!) აღემატება მხატვრობა ფოტოგრაფიას.

პოლ ვალერი ამბობს: „პოეტმა ის კი არ უნდა თქვას, რომ წვიმს, არამედ უნდა შექმნას წვიმა“.

ერთ-ერთ წერილში, ვცადე იმის ჩვენება, თუ როგორ „ქმნის“ მუხრან მაჭავარიანი, არაერთ ლექსში, წვიმას.

მაგრამ რა უნდა „თქვას“ მხატვარმა, რომელიც წვიმას ხატავს?

ეს მეტისმეტად რთული კითხვაა. მაინც, გავბედავ და ჩემს შთაბეჭდილებას ვიტყვი:

პოეტი მუხრან მაჭავარიანი და მხატვარი გურამ დოლენჯაშვილი ერთნაირად „ქმნიან“ წვიმას – იმიტომ, რომ ორივე დიდი ოსტატია: პირველი – ლექსის, მეორე – გრაფიკის!

პოეტი წვიმას ასე „ქმნის“:

_„ვხედავ –_
_მეზობლის სახლის თავზე_
_გატეხილ კრამიტს,_
_ვხედავ –_
_ფოთლებზე თქარათქური_
_გაუდის წვიმას,_
_ვხედავ –_
_შარაზე ქალი გარბის სოველი_
_კაბით._
_ვხედავ –_
_ქათმები აბუზულან ქლიავის_
_ძირას“._

გურამ დოლენჯაშვილი კი წვიმას ასე ხატავს:



სერიიდან – „წვიმა“

სრულიად განსხვავებული სერიაა „ქალი სივრცეში“ – აქ მეტია განზოგადება, ფილოსოფია, სიმბოლური აზროვნება და გაოცება იმით, თუ რა შეუძლია ფანქარს.

...სტანისლავ ნიკირეევი, თავის სტატიაში, გურამ დოლენჯაშვილის მხატვრობისთვის დამახასიათებელ ერთ მეტად მნიშვნელოვან თავისებურებასაც გამოყოფს – სიჩუმის ოსტატობას.

სწორედ ეს სიჩუმე, ეს გარინდება ქმნის იმ იდუმალებას,ურომლისოდაც ნამდვილი ხელოვნება არ არსებობს.

ეს ის სიჩუმეა, „რომლის მიღმაც დიდი ვნება და ადამიანური სულის სიძლიერე იმალება“.

რა საოცარია, რომ ასეთი სიჩუმის შექმნა უბრალო, მკვეთრად წვერწამახულ ფანქარს შეუძლია...

**იოსებ ჭუმბურიძე**



სერიიდან – „ზამთარი იმერეთში“

ინფორმაცია

## ბოლო კოლონაც წავიდა...

ახალქალაქში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზიდან სომხეთის ქალაქ გიუმრში 17 აგვისტოს სამხედრო ტექნიკის ბოლო კოლონა გაემგზავრა. კოლონას 13 ერთეული მძიმე და საავტომობილო ტექნიკა გადააქვს.

## კეხვთან ფუგასი იპოვეს

ცხინვალის რეგიონში შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა ქართულ სოფელ კეხვთან ფუგასის ტიპის ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს და გააუვნებელყვეს.

შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილის ვლადიმირ ივანოვის თქმით, სამშვიდობოებმა განაღმვითი სამუშაოები კეხვთან სოფლის ადმინისტრაციის თხოვნით ჩაატარეს.

## როდის ჩაატარებენ რეფერენდუმს?

ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მურად ჯიოევის განცხადებით, შესაძლებელია ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ცხინვალის რეგიონში რეფერენდუმი წელსვე ჩატარდეს.

## სამშვიდობო ბატალიონის შექმნას აპირებენ

თბილისში, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ 17 აგვისტოს სუამ-ის წევრი ქვეყნების თავდაცვის სამინისტროებისა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბების წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა. მასში ასევე სუამ-ის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეხვედრის მსვლელობისას მხარეებმა სუამ-ის ფარგლებში მომავალი სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. საკითხი ეხებოდა სუამ-ის წევრი ქვეყნების მიერ ერთობლივი სამშვიდობო ბატალიონის შექმნას, რომელსაც გაერო-ს, ეუთო-ს, ასევე ნატო-სა და ევროკავშირის მანდატით მიმდინარე სამშვიდობო და ჰუმანიტარულ ოპერაციებში ჩართვის და ერთობლივი მონაწილეობის მიღების საშუალება ექნება.

## ფული სხდომების ჩასატარებლად

ევროკავშირმა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომების ჩასატარებლად 140 ათასი ევრო გამოყო. საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლის ტოლბენ ჰოლცეს განმარტებით, აღნიშნული თანხა შერეული საკონტროლო კომისიის სხდომების რეგულარულად ჩატარებას შეუწყობს ხელს.

## უკრაინელ ნაციონალისტთა თანადგომა

უკრაინული ნაციონალისტური ორგანიზაცია „უნა-უნსო“ მზადაა დაეხმაროს საქართველოს აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში კონტროლის დამყარებაში. „უნა-უნსოს“ ლიდერის იგორ მაზურის თქმით, თუ საქართველოს ხელისუფლება სეპარატისტულ რეგიონებზე კონტროლის დამყარებას გადაწყვეტს, უკრაინული ნაციონალისტური ორგანიზაცია მას მხარში დაუდგება.

მაზურის განმარტებით, „უნა-უნსოს“ ქართველ მეგობრებთან მჭიდრო კავშირი აქვს. „ჩვენ საქართველოს 1993 წელს ვეხმარებოდით, ქართველები კი ნარინჯისფერი რევოლუციის დროს ჩვენს გვერდით იდგნენ, ამიტომაც ჩვენ საქართველოს დავეხმარებით, რითაც შევძლებთ“, – განაცხადა მაზურმა.

„უნა-უნსოს“ ლიდერის აზრით, დღეს საქართველოს არმიას დახმარების გარეშე შეუძლია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონზე კონტროლის დამყარება, „თუმცა უკრაინის თითოეული მოქალაქე თავისუფალი ადამიანია, და ის ისე მოიქცევა, როგორც საჭიროდ მიიჩნევს“.

მედიანიუსი

სიტყვა და საუბრები

# ქვეყანაში სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტია



## გვესაუბრება ნომადი ბართაია

*1966 წელს დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ირანული ფილოლოგიის განხრით.*
*1975 წელს გამოვიდა ლექსების პირველი კრებული.*
*გამოცემული აქვს ოცამდე მხატვრულ ნაწარმოებთა და თარგმანთა კრებული. თარგმნის, ძირითადად, სპარსულ კლასიკურ ლირიკას.*
*ამჟამად თსუ პროფესორია.*

1. რას ფიქრობთ XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?
2. გამართლებულია წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?
3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსათვის?
4. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?
5. რაზე მუშაობთ ამჟამად?

● XXI საუკუნის ქართული მწერლობა ისევე უნდა ატარებდეს ერის სულიერი აღზრდის ფუნქციას, როგორც დღემდე უტარებია.
● ბიზნესის და კომერციის საგნად წიგნი არ უნდა იქცეს. სამაგიერო უამრავი რამ არსებობს.
● საქართველოსთვის არსებითი პრობლემა ქვეყანაში სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტია.
● ქართველი მწერალი უნდა ამდიდრებდეს და ამშვენებდეს ქართულ ენას.
● როგორც შემოქმედმა, ვცდილობ პოეტურად აღვიქვა ირგვლივ ყველაფერი. როგორც მეცნიერი, ვმუშაობ ქართულ-ირანულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე.

*ჩაიწერა* **თამარ შაიშმელაშვილმა**

## ნომადი ბართაია

# ბოლო რვეულიდან

ურთმანეთოდ არ შეგვიძლია,
ერთიმეორის გარეშე ვერ ვძლებთ.
უკვე ვაქციეთ ცხოვრების წესად,
მუდამ ერთმანეთს ვემებთ და
ვემებთ.

ვემებთ და ვემებთ ერთმანეთს
მუდამ,
მუდამ ერთმანეთს ვემებთ და
ვემებთ.
მენდეთ ამაში, ამაში მენდეთ,
ჩვენ ერთმანეთის ჭოვნას რომ
შევძლებთ.

სასწაულია ყოველი ესე,
არის ყოველი ეს სასწაული.
არ დავემებდეთ ერთმანეთს
თითქოს,
ერთიმეორეს ისე ჩავუვლით.

* * *

**ფერეიდანში ყოფნისას, დაბადებიდან უსინათლო ხანდაზმული ალი თავაზო (თავაზაშვილი) გვევედრა – არ მინდა, ისე მოვკვდე, ერთხელ ჩემი საქართველო არ ვნახო, გევედრებით, წამიყვანეთ საქართველოშიო.**

ეს რა მითხარი,
ეს რა გავიგე,
ეს რა მომესმა,
მვირფასო, ალი;

საქართველოსთვის,
საქართველოსთვის,
თურმე ხილული
გქონია თვალი.

ვის გაუგია
ასეთი რამე,
ვერ გამიგია
ვინა ხარ, რა ხარ,

აქ ვერა ხედავ
ვერაფერს, თორემ,
საქართველოში
ყველაფერს ნახავ.

სიტყვები შენი,
სიტყვები შენი,
მე ახლა თვალებს
ცრემლებით მივსებს.

როგორ არ გინდა
სიკვდილი თურმე,
რომ საქართველო
არ ნახო ისე.

ეს რა მითხარი,
ეს რა გავიგე,
ეს რა მომესმა,
მვირფასო, ალი;

საქართველოსთვის,
საქართველოსთვის
თურმე ხილული
გქონია თვალი.

* * *

ფერეიდანში არ ახსოვთ,
ქართველს მოეკლას ქართველი.
რანი ვყოფილვართ, რანი ვართ,
არის ყოველი ნათელი.

გასულა წელი ოთხასი
და გავა კიდევ რამდენი.
ფერეიდანში — არასდროს
ქართველს არ მოკლავს
ქართველი.

* * *

რა ბედნიერი დღე გამითენდა,
ბაზარში ვნახე მე ეს სურათი,
საოცრად თბილი და საყვარელი,
ჩამწვდომი გულის გულის
გულამდი.

ვიდექი დიდხანს გაოგნებული
და ვერ მოვწყვიტე იმ ადგილს
თვალი,
სადაც ტანჩია და შავმოსილი
ზაფრანას ჭყიდდა მოხუცი ქალი.

ბაზარში ხალხის არ იყო ტევა,
მზე აჭერდა და თანდათან დამცხა.
ზაფრანა დახლზე კი არ ეყარა,
მკლავზე ეკიდა ზაფრანის აცმა.

რა ბედნიერი დღე გამითენდა,
ბაზარში ვნახე მე ეს სურათი,
საოცრად თბილი და საყვარელი,
ჩამწვდომი გულის, გულის
გულამდი.

* * *

ვის არ შვენოდა
სიცოცხლე,
მაგრამ
ის სხვანაირად,
ლეონიძეს
შვენოდა
გოგლას.

### სურო

უნდა ყველაფერს
შემოეხვიოს

და ყველაფერი,
სამუდამოდ,
ჩაიკრას გულში.

* * *

საიდუმლოს მე შენსას
გულო ჩემო, ვერ ვხვდები.
როგორ ხდება, მითხარი,
რომ არასდროს ბერდები.

ყველაფერი ხომ ირგვლივ
ბერდება და ბერდება.
საიდუმლოს კი შენსას
კაციშვილი ვერ ხვდება.

გეუბნები ამას შენ
განა სალაპარაკოდ.
კი ბატონო, თუ გინდა
არ დაბერდე არასდროს.

### ნუთუ მართლა

ნუთუ მართლა,
ნუთუ მართლა,
ასე უცებ,
ასე ჩქარა,
შეწყდა ყეფა
სადღაც მაღლის,
ქარავანმა
ჩაიარა.

ნუთუ მართლა,
ნუთუ მართლა,
დავრჩი ასე
ობლად, სახტად,
აღარ ისმის
ხმა ქარავნის
ზარების და
ზანზალაკთა.

ნუთუ მართლა,
ნუთუ მართლა,
სულ ეს იყო
ყველაფერი,
ნუთუ მართლა,
ნუთუ მართლა,
უკვე მოვიჩრდილე ხელი.

ჩაიარა ქარავანმა,
რაღა დამრჩა,
რაღა დამრჩა.
მე მეგონა,
რომ დაიმრა,
უკვე კუდიც
აღარა ჩანს,

ირგვლივ იმვრის
არაფერი,
დროც არ გადის,
დროც არ გადის.
ქარავანი,
ერთდროულად,
გახდა სიზმარიც და ცხადიც.

ნუთუ მართლა,
ჩაიარა,
ქარავანმა
ჟამთაბრუნვის
დატვირთულმა
ოქრო-ვერცხლით,
დაბა-ატლას-აბრეშუმით.

ნუთუ მართლა,
ყველაფერი
იყო და არა იყო რა.
ნუთუ მართლა,
ქარავანმა
ყველაფერი
გაიყოლა.

ნუთუ მართლა,
ნუთუ მართლა,
ასე უცებ,
ასე ჩქარა,
შეწყდა ყეფა
სადღაც მაღლის,
ქარავანმა
ჩაიარა.

## ინფორმაცია

### ახალი სასწავლო წელი ერთ თვეში დაიწყება

თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებში სასწავლო პროცესი 18 სექტემბერს დაიწყება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, რომ საქართველოს დიდი ქალაქების საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წელი 18 სექტემბერს დაიწყება, ხოლო მაღალმთიანი რეგიონები სასწავლო პროცესს, სავარაუდოდ, 4 სექტემბრიდან განაახლებენ. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, სამინისტროს მონაცემებით, მათი ხელმძღვანელობა ავტონომიურად განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაწყების თარიღს.

განათლების მინისტრი ვარაუდობს, რომ სწავლას უმაღლესი სასწავლებლებიც 18 სექტემბერს განაახლებენ.

ინტერპრესნიუსი

### თეთრო პეპელა, მოგვშორდი ჩქარა...

„საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე თეთრი პეპლის საწინააღმდეგოდ ჩასატარებელი ღონისძიებებისთვის ქართულმა მხარემ აფხაზეთის მხარეს 800 ლიტრი პესტიციდი გადასცა“,– განაცხადეს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურში.

ამერიკული თეთრი პეპლის მეორე თაობასთან საბრძოლველ ღონისძიებებს ეროვნული სამსახურის 3 სამუშაო ჯგუფი სამეგრელოსა და გურიაში პარალელურ რეჟიმში ატარებს, ეროვნული სამსახურის რაიონული სამმართველოები, საკრებულოები და გამგეობები მოსახლეობასთან ერთად აქტიურად არიან ჩართულები.

### ნაკრძალს კი თავისი წესები აქვს...

დღეს, დაახლოებით 11 საათზე ფოთში კოლხეთის პარკის დირექტორთა საბჭოს შენობასთან 17 აგვისტოს მეთევზეთა საპროტესტო აქცია გაიმართა.

როგორც აქციის მონაწილეები აღნიშნავენ, ისინი პალიასტომის ტბაზე თევზჭერის ნებართვას ითხოვენ.

აქციის მონაწილეების განცხადებით, თუ მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი აქციების გამართვით იმუქრებიან.

აღსანიშნავია, რომ პალიასტომის ტბაზე თევზაობა კანონით აკრძალულია, ვინაიდან იგი ნაკრძალის, ანუ კოლხეთის პარკის შემადგენლობაში იმყოფება.

ჯი-ეიჩ-ენი.

### რას ერჩოდნენ ვერხვებს?

საქართველოს ეროვნულ სტადიონთან ახლოს, ცაბაძის ქუჩის ტროტუარზე 25 სამოცდაათწლოვანი ვერხვის ხე მოჭრეს.

„მთელი ცხოვრება ბუნების გადარჩენისთვის ვიბრძვი, მაგრამ მსგავსი ბარბაროსული აქტი არასოდეს მომხდარა, – განაცხადა საქართველოს მწვანეთა პარტიის ხელმძღვანელმა გია გაჩეჩილაძემ.

„მწვანეების“ ლიდერი იხსენებს, რომ 1986 წელს რუსთაველის გამზირზე ერთი დიდი ჭადრის მოჭრას ისეთი დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რომ მის სანაცვლოდ ცენტრალური ფოსტის წინ 10 ხე დარგეს.

გიორგი გაჩეჩილაძე გენერალურ პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თხოვნით მიმართავს, რათა გაირკვეს, ვინ და რა მოტივით მოჭრა ვერხვის ხეები.

მედიანიუსი

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# სააკაშვილი ომს ჩინელებისგან სწავლობს

**მთელი ამ დღეების განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი გადის საბრძოლო და ტაქტიკურ მომზადებას. იგი დილის 6 საათზე დაადგა თავს დუშეთში დაბანაკებულ რეზერვისტებს და მოულოდნელი იდეა შესთავაზა ჯარისკაცებს და ოფიცრებს – საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვიტა თანმხლებ მინისტრებთან ერთად გაერბინა 4-კილომეტრიანი კროსი.**

პრეზიდენტმა წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას. ყოველ შემთხვევაში, ოფიცრები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ იგი ნორმატივში „ჩაეტია“. რასაც ვერ ვიტყვით მინისტრებზე. მრავალმა მათგანმა აშკარად გაუცრუა იმედები თავის შეფს.

გარბენის დასრულების შემდეგ, ისე, რომ ხელქვეითებს სულის მოთქმის საშუალებაც არ მისცა, სააკაშვილმა გამართა მთავრობის სხდომა, რომელზეც განაცხადა, რომ ქვეყანას სჭირდება სულ ცოტა 100 ათასი რეზერვისტი. თუმცა, პრეზიდენტს არ დაუზუსტებია, თუ მშვიდობიანი დროში რისთვის არის საჭირო ასეთი მრისხანე ძალა. მან მხოლოდ ასეთი ბუნდოვანი ფრაზა გამოთქვა: როცა საქართველოს ემუქრებიან, ვალდებული ვართ, მოვამზადოთ რაც შეიძლება მეტი რეზერვისტი – თანაც, სულ რამდენიმე თვეში.



საკუთარი თავი სააკაშვილმა შეიძლება სრულფასოვან რეზერვისტად მიიჩნიოს. ამ დღეებში მან წარმატებით დაასრულა ხელახალი სამხედრო მომზადების კურსი სოფელ ოსიაურში დაბანაკებული – მე-13 ბატალიონის შემადგენლობაში, რომელიც განლაგებულია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის უშუალო სიახლოვეს. რბენასა და სროლაში მეცადინეობას შორის ხანმოკლე შესვენების დროს კი, კითხულობდა ძველი ჩინელი მხედართმთავრის სუნ-ძის ტრაქტატის „ომის ხელოვნების“ ინგლისურ თარგმანს.

სააკაშვილი ყველაზე მეტად სიცხემ შეაწუხა. „ჰაერის ტემპერატურა ჩემს კარავში 45 გრადუსს აღწევდა“, – განუცხადა მთავრობის წევრებს და იქვე დაავალა მათ რეზერვისტებისთვის სტაციონარული ბანაკის აშენება, რათა მომავალში სიცხემ არავინ აღარ შეაწუხოს.

მინისტრებმა, რა თქმა უნდა, გამოთქვეს მზადყოფნა და იქვე დასძინეს, რომ ასე ერთ-ორ თვეში ააშენებენ ახალ „მინი-ქალაქს“ კოდორის ხეობაში, გააფართოვებენ იქ არსებულ აეროდრომს, შექმნიან ვერტმფრენების დასაჯდომ მოედნებს. სააკაშვილმა მშენებლობის სწორედ ასეთი დამკვრელური ტემპები მოითხოვა, რათა დაანახოს სოხუმელ სეპარატისტებს, რომ ის, რისი მიღწევაც მათ ვერ შეძლეს ომის დასრულებიდან გასული 14 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობა ერთ თვეში შეძლებს.

ИЗВЕСТИЯ

**(იბეჭდება შემოკლებით)**



# ცხინვალში ვითარების სტაბილიზაციის იმედი აქვთ

**სამხრეთ ოსეთში იმედოვნებენ, რომ საქართველოს მხრიდან შერეული საკონტროლო კომისიის ახალი თანათავმჯდომარის მოსვლის შემდეგ, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებული სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება, განაცხადა 17 აგვისტოს თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრემიერმა ბორის ჩოჩიევმა.**

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეთა შეხვედრის გახსნისას, ჩოჩიევმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს მერაბ ანთაძეს მიულოცა თანათავმჯდომარის პოსტზე დანიშვნა და გამოთქვა რწმენა, რომ მისი მოსვლის შემდეგ ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვლება. „სამხრეთ ოსეთის დელეგაცია მზად არის კონსტრუქციული მუშაობისთვის. იმედი გვაქვს, რომ გამოვნახავთ თუნდაც ვითარების სტაბილიზაციის გზებს. ოსური დელეგაცია მოსკოვში ჩამოვიდა კონკრეტული წინადადებებით იმის თაობაზე, თუ როგორც შეიძლება კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გამოსწორება“, – თქვა ჩოჩიევმა.

როგორც მან აღნიშნა, კონფლიქტის ზონის მოსახლეობა ელის შედეგებს შერეული საკონტროლო კომისიის შეხვედრისგან. „დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ აქ მივაღწევთ შედეგებს“, – თქვა ჩოჩიევმა და იქვე სინანულით შენიშნა, რომ სამი თვის განმავლობაში ვერ შეძლო მუშაობის დაწყება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ერთობლივი პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა.

**„იტარ-ტასის“ საინფ. სააგენტო**
**17 აგვისტო**

# პრეზიდენტის „კოდორის სასწაული“

**ასე, 1-1,5 თვის შემდეგ კოდორის ხეობა უნდა გახდეს მთელი საქართველოს სრულფასოვანი ნაწილი. სწორედ ამდენი დრო გამოუყო ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს უწყებებს და სამსახურებს იმისთვის, რომ აფხაზეთის ეს ერთადერთი რაიონი, რომელზეც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, მთლიანად ინტეგრირებული იყოს სახელმწიფო სივრცეში, არა მარტო საკანონმდებლო, არამედ ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისითაც.**

სააკაშვილმა დაავალა შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს, რომ კოდორის ხეობაში სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა დასრულების შემდეგ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად „ჩაიბაროს“ ხეობა.

„მერაბიშვილი ჩაიბარებს კოდორს, და პასუხს აგებს იმისთვის, რომ სექტემბრის დამლევს იქ უკვე შეიქმნას ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხეობის მოსახლეობას აგრძნობინებს თავს ცივილიზებული სამყაროს ნაწილად“, – თქვა საქართველოს პრეზიდენტმა. ამ საქმის მეორე კურატორად პრეზიდენტმა დანიშნა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი. „ეს მისი დონის ამოცანაა“, – მიაჩნია სააკაშვილს.

ამოცანა მართლაც რთულია. სააკაშვილის გეგმით, ამ ძნელადმისადგომ მთიან რეგიონში, რომელიც დიდ თოვლობის გამო უკვე ოქტომბერ-ნოემბერში მოწყვეტილია დანარჩენი სამყაროსგან, უნდა შეიქმნას არა მარტო ადმინისტრაციული შენობები და საცხოვრებელი თბილისიდან იქ გადასული აფხაზეთის დევნილი მთავრობისთვის, არამედ მინი-ქალაქი კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურით, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი აეროდრომით და კოდორის ხეობის თითქმის ყოველ დასახლებულ პუნქტში ვერტმფრენის დასაჯდომი მოედნებით.

მშენებლობის და სხვა სამუშაოთა დონე ისეთი მაღალი უნდა იყოს, როგორც ეს არის ამერიკაში, გერმანიაში, ინგლისში და სხვა ქვეყნებში. ეს გახდება გაკვეთილი ყველასთვის, მათ შორის სეპარატისტების და მათი მფარველებისთვისაც, აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

სხვათა შორის, „მფარველებს“ (პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, რუსეთის მხარეს გულისხმობსძ არ უწერიათ თვალნათლივ დარწმუნდნენ კოდორში სააკაშვილის გეგმების რეალიზაციაში: კოლექტიური სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს ხეობაში შესვლა ეკრძალებათ. თავდაპირველად, კოდორის ხეობაში მონიტორინგის განხორციელებას საქართველოს მხარე უკავშირებდა ანალოგიურ შემოწმების გამართვას ხეობის ქვედა ნაწილში, რომელსაც აფხაზები აკონტროლებენ. ახლა კი თბილისი კატეგორიულად ილაშქრებს ხეობის პატრულირებაში რუსების მონაწილეობის წინაალმდეგ. „ჩვენ მზად ვართ 20 აგვისტოსთვის უზრუნველვყოთ გაეროს სამხედრო მეთვალყურეების მიერ კოდორის ხეობის მონიტორინგის გამართვა, მაგრამ ვეწინაალმდეგებით საინსპექციო ჯგუფში რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების შეყვანას“, – განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ მამუკა კუდავამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში თათბირის დასრულების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები. როგორც მან თქვა, გაეროს წარმომადგენლებს, რომლებსაც გაგზავნიან ხეობაში, საქართველოს მხარე გამოუყოფს ტრანსპორტს და ყოველივე საჭიროს, ხოლო რაც შეეხება რუსებთან დაკავშირებულ საკითხს, „იგი უკვე გადაწყვეტილია და აღარ გადაისინჯება“. „რუსმა სამშვიდობოებმა დაკარგეს ქართულ-აფხაზურ პროცესებში ობიექტური მხარის რეპუტაცია და ჩვენი სუვერენული უფლებაა განვსაზღვროთ, ვის დავრთოთ კოდორის ხეობაში შესვლის უფლება და ვის – არა“, – განმარტა მამუკა კუდავამ.



**იური სიმონიანი,**

НЕЗАВИСИМАЯ

**17 აგვისტო**



# რეფერენდუმის გამართვას პრინციპული მნიშვნელობა აქვს

**სახელმწიფოს მშენებლობის ამ ეტაპზე რეფერენდუმის გამართვას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება სამხრეთ ოსეთისთვის, განაცხადა თვითაღიარებული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა რუსეთში დიმიტრი მედოევმა, როცა გაუკეთა კომენტარი სამხრეთ ოსეთის ლიდერის ედუარდ კოკოითის განცხადებას რეფერენდუმის გამართვის შესახებ, რომელიც „უნდა გახდეს შემდგომი ნაბიჯი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გზაზე“.**

„რეფერენდუმის გამართვის უფლება დაფიქსირებულია რესპუბლიკის კონსტიტუციაში. პრეზიდენტს აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, რომ ხალხის სამსჯავროზე გაიტანოს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საკითხები“, – აღნიშნა მედოევმა და დასძინა: „ხალხის აზრის და ნება-სურვილის გამოხატულება ის ფუძემდებლური მომენტია, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მსოფლიო გაერთიანებამ. რეფერენდუმი ხალხის ნების გამოხატულების უმაღლესი ფორმაა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოს მშენებლობის ამჟამინდელ ეტაპზე მის გამართვას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება“.

შეეხო რა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის კოტე კემულარიას მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ „სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რეფერენდუმების გამართვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიებზე აღდგება საქართველოს იურისდიქცია“, – მედოევმა თქვა: „16 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოა. ხალხს უფლება აქვს გადაწყვიტოს – გამართოს თუ არა რეფერენდუმი მეზობელი სახელმწიფოს მოსაზრების გაუთვალისწინებლად. რეფერენდუმი არის ის ფაქტი, რომელსაც აუცილებლად უნდა გაუწიონ ანგარიში“.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ ოსეთში უკვე გაიმართა ორი რეფერენდუმი. 2006 წლის 15 აგვისტოს, სამხრეთ ოსეთში პასპორტიზაციის დაწყების დროს, თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა განაცხადა, რომ „შემდგომი ნაბიჯი გახდება რეფერენდუმი, რომელზეც ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობამ უნდა დაამტკიცოს 1992 წლის რეფერენდუმის შედეგები. ჩვენ ვესწრაფვით დამოუკიდებლობას და დასახული მიზნისკენ მშვიდობიანი გზით მივიწევთ“. ამავე დროს, ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან სამხრეთ ოსეთში მესამე რეფერენდუმის გამართვის ვადების შესახებ.

REGNUM

**17 აგვისტო**

# ლიბანელი სამხედროები ქვეყნის სამხრეთ ნაწილში განლაგდებიან

**ისინი დაიკავებენ პოზიციებს მდინარე ლითანის სამხრეთით, და ეს მოხდება ლიბანის მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად.**

15 ათასი ლიბანელი სამხედროს განლაგების შესახებ გადაწყვეტილება შეესაბამება გაეროს რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებს ისრაელთა ჯარების ჩანაცვლება ლიბანელებით და საერთაშორისო კონტინგენტის მიერ მათი მხარდაჭერის პირობებში.

საფრანგეთმა დაადასტურა, რომ მზად არის ჩაუდგეს სათავეში საერთაშორისო კონტინგენტს, რომელიც ლიბანის არმიასთან ერთად განლაგდება ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად იქნება განსაზღვრული სამშვიდობოთა უფლებამოსილებანი და გამოინახება საკმარისი რესურსი.



ისრაელის ძალებმა კი გადასცა კონტროლი სამხრეთ ლიბანის ზოგიერთ პოზიციებზე გაეროს ორიათასიან კონტინგენტს, რომელიც უკვე იმყოფება ამ რაიონში.

ამავე დროს, ისრაელმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ მისი ჯარების გაყვანას იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც „ჰესბოლას“ რადიკალური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი იყო, შესაძლოა დასჭირდეს რამდენიმე კვირა ან თვეებიც კი.

ლიბანის მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი „ჰესბოლას“ ორგანიზაციის წევრთა განიარაღების შესახებ, რაც გაეროს რეზოლუციის კიდევ ერთი მთავარი დებულებაა. სწორედ რეგულარული არმიის ნაწილების შეყვანამ იმ რაიონებში, რომლებსაც წინათ ვერ აკონტროლებდა ლიბანის ხელისუფლება, და მოთარეშეთა განიარაღებამ უნდა აღკვეთოს ლიბანის მხრიდან ისრაელის ტერიტორიების დაბომბვა და ისრაელის არმიის საპასუხო დარტყმები.

„ჰესბოლას“ წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ამ გადაწყვეტილებას. ეს მოწმობს იმას, რომ მოძრაობის წევრებს, რომელთაგან მრავალი ცხოვრობს სასაზღვრო რაიონებში, აქვთ იარაღის და სტრუქტურის შენარჩუნების იმედი. ყოველივე ამან კი, შესაძლოა, შეუქმნას საფრთხე დაზავებას.

ამავე დროს, გაეროს ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში და ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში მიმდინარეობს გაცხოველებული კამათი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეადგინონ საერთაშორისო კონტინგენტი. გაეროს ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ლიბანში უკვე განლაგებულ გაეროს სამშვიდობოებს კიდევ დაემატება სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული დაახლოებით 3 500 სამხედრო მოსამსახურე.

მაგრამ, ჯერჯერობით არც ერთ სახელმწიფოს არ უკისრია ფორმალური ვალდებულება ამ ამოცანის გადაჭრის მიზნით თავისი ჯარისკაცების გასაგზავნად.

ყველა ელის ინციატივას საფრანგეთის მხრიდან, რადგან ამ ქვეყნის ჯარებმა უნდა შეადგინონ ახალი საერთაშორისო რაზმის ძირითადი ბირთვი. მაგრამ პარიზის წარმომადგენლები, ლიბანის მხარესთან ერთად, ჯერ მხოლოდ განიხილავენ ისრაელის საზღვრებთან სამხედროების განლაგების გეგმებს.

# გარდაიცვალა ალფრედო სტრესნერი

**ბრაზილიაში 92 წლის ასაკში გარდაიცვალა პარაგვაის ყოფილი დიქტატორი ალფრედო სტრესნერი. მან ხელისუფლების სათავეში 34 წელიწადი დაჰყო, რის გამოც იგი გახდა არა მარტო ლათინური ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი რეკორდსმენი.**

სტრესნერმა არმიაში სამსახური დაიწყო 17 წლის ასაკში, 36 წლისა კი უკვე იყო ყველაზე ახალგაზრდა გენერალი მთელს სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე.



1954 წელს იგი სათავეში ჩაუდგა სამხედრო გადატრიალებას და ძალაუფლება ხელიდან არ გაუშვია რვა საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში, თანაც, არჩევნების დროს ყოველთვის ერთადერთი კანდიდატი იყო.

მთელი ამ დროის მანძილზე სტრესნერი სარგებლობდა შეერთებული შტატების მხარდაჭერით, რადგანაც თავგამოდებული ანტიკომუნისტი იყო. გარდა ამისა, სტრესნერი ცნობილი იყო იმითაც, რომ დიდი სიმპათიებით ეკიდებოდა ნაცისტებს (სწორად პარაგვაიში ჰპოვა თავშესაფარისი ნაცისტური რეჟიმის მრავალმა ცნობილმა ფიგურამძ და სამხრეთ აფრიკაში განხორციელებულ აპარტეიდის პოლიტიკას.

1989 წელს მომხდარი კიდევ ერთი პუტჩის შედეგად სტრესნერი მთავრობის დამხობის შემდეგ, აღმოაჩინეს ასობით საიდუმლო დოკუმენტი, რომლებიც მოწმობდნენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სტრესნერის რეჟიმი მთელი ლათინური ამერიკის მასშტაბით მემარცხენე აქტივისტების დევნის საქმეში.

სამართალქომაგთა ჯგუფების შეფასებით, თვით პარაგვაიში მის რეჟიმს ემსხვერპლა დაახლოებით 4 ათასი ოპოზიციონერი. გარდა ამისა, ათასობით ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა.

კომენტატორები აღნიშნავენ, რომ სტრესნერი შეიძლება შევადაროთ მარკესის წიგნების გმირ კარიკატურულ ლათინურამერიკელ დესპოტებს. სინამდვილეში, იგი იყო უნარიანი სტრატეგი და შეეძლო მოეპოვებინა ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილის დიდი სიმპათიები, რადგან სტრესნერმა დასახა ქვეყანაში სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის გარანტიები.

თუმცა, როგორც მიმომხილველები აცხადებენ, პარაგვაელთა უმრავლესობას მწარე მოგონებები აკავშირებს მისი მმართველობის პერიოდთან.

მთელი ამ ბოლო წლების განმავლობაში, პარაგვაის ახალი ხელისუფლება ცდილობდა მიეღწია იმისთვის, რომ გადაეცათ მათთვის სტრესნერი, რათა იგი წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე ადამიანთა უფლებათა მასობრივი დარღვევების გამო.


**საააქციო საზოგადოება „სასტუმრო უშბას“ აქციონერთა საყურადღებოდ:**

**ტარდება სააქციო საზოგადოება „სასტუმრო უშბას“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

**1. სააქციო საზოგადოება „სასტუმრო უშბას“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნა.**

**2. სხვადასხვა საკითხების განხილვა.**

**მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი № 4 (სასტუმრო „უშბას“ შენობაშიძ.**

**ჩატარების თარიღი: 2006 წლის 8 სექტემბრის დღის 12 საათზე.**

# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს აუქციონს

## შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი და/ან ამორტიზებული 2996 სატვირთო ვაგონის (შემდგომში – სარეალიზაციო ქონება) რეალიზების მიზნით

*1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები*

- **სარეალიზაციო ქონების ძირითადი განთავსების ადგილებია: თბილისი, სამტრედია, ხაშური, რუსთავი და ველი;**
- **სარეალიზაციო ქონების დახასიათება: 2996 სატვირთო ვაგონი შედგება სხვადასხვა ტიპის ვაგონებისაგან, მათ შორის:**

**– 4 ცისტერნა ქიმპროდუქტებისათვის;**
**– 174 აკატიშმზიდი;**
**– 22 ავტომობილმზიდი;**
**– 140 ავტონომიური რეფრეჟერატორული ვაგონი;**
**– 547 ბაქანი;**
**– 1 ბაქანი ფოლადის რულონების გადასაზიდი;**
**– 61 ბიტუმზიდი;**
**– 425 ცემენტმზიდი;**
**– 14 ცისტერნა ნავთობპროდუქტებისათვის;**
**– 441 დახურული ვაგონი;**
**– 63 დუმპკარი;**
**– 50 ფიტინგი;**
**– 2 ფქვილის გადასაზიდი ვაგონი;**
**– 28 ჰოპერ-დოზატორი;**
**– 48 კონტეინერმზიდი ნახევარვაგონის ბაზაზე;**
**– 37 კვების პროდუქტის გადასაზიდი ცისტერნა;**
**– 129 მინერალმზიდი;**
**– 418 ნახევარვაგონი;**
**– 315 რეფრეჟერატორული სექციის ვაგონი (მათ შორის მექანიკური 67 და სატვირთო 248ძ;**
**– 16 საქონლის გადასაყვანი ვაგონი;**
**– 29 ვაგონ-საყინულე;**
**– 7 ვაგონ-თერმოსი;**
**– 25 ხორბალმზიდი;**

- **საწყისი გასაყიდი ფასი – 11 819 253** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, დღგ-ს გარეშე.
- **„ბე“ – 200 000** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.
- **„ბიჯი“ – 50 000** აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში.
- **„მონაწილის ბილეთის“ ფასი – 100** ლარი.
- **განაცხადების მიღების ადგილი –** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-53-18, 56-33-70.
- **განაცხადების მიღების ვადა –** 2006 წლის 18 აგვისტოდან 2006 წლის 6 სექტემბერის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.
- **აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო –** 2006 წლის 7 სექტემბერს, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.
- **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები –** „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.
- **აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ –** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

***2. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი***

- სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა.

***3. აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და ნასყიდობის ხელშეკრულების დადება***

- სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს მყიდველი, მეაუქციონე, მდივანი, კომისიის დამსწრე წევრები და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ მყიდველს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება.
- აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.
- აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით და ქონების მიღება-ჩაბარების აქტი. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მყიდველი.
- ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის მყიდველის მიერ სარეალიზაციო ქონების გამოსასყიდი თანხის გადახდის დღიდან.

***4. გამოსასყიდი თანხის გადახდის ვადა***

- მყიდველი ვალდებულია, დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღებიდან არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში, შპს „საქართველოს რკინიგზის“ მომსახურე საბანკო დაწესებულებაში (საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვითძ შეიტანოს ნაღდად ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.
- თუ მყიდველი აღნიშნულ ვადაში არ გადაიხდის სარეალიზაციო ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ მიენიჭება საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება.
- საკუთრების უფლება სარეალიზაციო ქონებაზე მყიდველს გადაეცემა აღნიშნული ქონების ღირებულების სრულად დაფარვის და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან. ამავე მომენტიდან მყიდველზე გადადის პასუხისმგებლობა ნაყიდი ვაგონების მოვლა-პატრონობაზე.

***5. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები***

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზაციო ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას, საწყის გასაყიდ ფასს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს,
- „ბე“-ს და „მონაწილის ბილეთის“ ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვითძ.
- აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
- სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციისა და „მონაწილის ბილეთის“ შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

***6. განსაკუთრებული პირობები***

- **სარეალიზაციო ქონება იყიდება ერთ ლოტად.**
- მყიდველი ვალდებულია ქონებაზე საკუთრების უფლების მიღების მომენტიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში გაათავისუფლოს სარკინიგზო ლიანდაგი აუქციონზე შეძენილი ვაგონებისაგან, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ გაუტანელ ვაგონებზე მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს შპს „საქართველოს რკინიგზას“ პირგასამტეხლო შემდეგი ოდენობით: 7 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარებში, თითოეულ ოთხღერძიან ვაგონზე (დღე-ღამეშიძ, 14 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარებში, თითოეულ რვაღერძიან ვაგონზე (დღე-ღამეშიძ და 28 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარებში, თითოეულ თექვსმეტღერძიან ვაგონზე (დღე-ღამეშიძ, დღგ-ს გარეშე.
- ქონების ღირებულების სრულად დაფარვამდე მყიდველს უფლება არა აქვს განკარგოს, ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს აღნიშნული ქონება, ანდა განახორციელოს მისი შეკეთება, დემონტაჟი.
- განაცხადში მყიდველმა სავალდებულოდ უნდა აღნიშნოს, რომ მყიდველისათვის ცნობილია სარეალიზაციო ვაგონების რეალური მდგომარეობა, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

**სარეალიზაციო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“, ტელ: 565320.**

**◎ დრონი შეფობენ**

# კუბომეტრი

**იყო დრო, როდესაც კასტროს შესახებ ასეთი ანეკდოტები დადიოდა. ფიდელს საჩუქრად კუ მიართვეს. მაგრამ მან საჩუქრის მიღებაზე უარი თქვა: „მე მითხრეს, რომ კუ ას წელს ცოცხლობს. შენ ძლივს იწყებ მასთან შეჩვევას, ის კი უკვე კვდება“. ფიდელი ყოველთვის უდრეკი, თითქმის უკვდავი ჩანდა. ის 47 წელი მართავდა რკინის ხელით კუბას, ხელისუფლებაშიც მსოფლიოს ნებისმიერ ლიდერზე მეტხანს დაჰყო. მის სიცოცხლეში ამერიკაში ცხრა პრეზიდენტი გამოიცვალა (უმცროსი ჯორჯ ბუში მეათეაძ, მოწამლული ჰავანური სიგარიდან და ღორეხის ყურეში შეჭრის ჩათვლით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მისი მოშორების რამდენიმე მცდელობასაც გადაურჩა.**

ამერიკული ემბარგოს მომშთობელ ყულფსაც გაუძლო და მისი მწყალობელი საბჭოთა კავშირის დაშლასაც. ამერიკული სპეცსამსახურების იმ სასაცილო მცდელობასაც გაუძლო, როდესაც მისთვის თმის გაცვენის ნივთიერების შესხურება სცადეს (ვაშინგტონში მიაჩნდათ, რომ წვერთან ერთად კასტრო ქარიზმასაც დაკარგავდა, მერე კი კუბასაცძ.

პირველი ანეკდოტი ძველია, მეოვი დაიზიანა და მარჯვენა ხელი მოიტეხა. და პოტომაკზე კვლავ ალაპლავდნენ მისი აღსასრულის შესახებ. საერთოდ, ყოველი საჯარო გამოსვლისას, მისი არაადეკვატური საქციელის შემდეგ, უმალ ვრცელდება ხმა, მორჩა, კასტროს მზე ჩაესვენაო.

მიუხედავად ამისა, როგორც კუბაში ამბობენ, კასტრო ANGUSTIANO იყო, ანუ განცდებში იყო, იმაზე ფიქრი აწვალებდა, თუ რა მოუვა სოციაიყო. 1966 წელს ალარკონი გაეროში კუბის წარმომადგენელი, 1992 წელს კი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტროს წელიწადზე ნაკლები ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. კასტროს მითითებით იგი ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტად (სპიკერადძ აირჩიეს. ბევრმა ჩათვალა, რომ ეს წარმომადგენლობითი პოსტი ალარკონის რეალურ დაქვეითებას ნიშნავდა. მაგრამ პირიქით კი გამოვიდა. ალარკონი კვლავაც დარჩა კასტროს მრჩევლად აშშ-ს საკითხებში, იმავდროულად მან დიდი გავლენა მოიპოვა კუბის საშინაო საქმეებზე. თუმცა ალარკონი არასდროს ეწინააღმდეგება კასტროს, იგი ზომიერად იქცევა. უცხოეთში მას კარგი კავშირები აქვს. კასტროს შემდგომ მთავრობაში მას პრემიერ-მინისტრის პოსტს უწინასწარმეტყველებენ.

პერეს როკი, რომელსაც მისი გასანდრო პროგრამისტია. ყველაზე ახალგაზრდას – ანგელს „საკუთარი თავი ჯერ არ უპოვნია“.

პირველ ცოლთან მირტა დიას – ბალარტისთან კასტროს პირმშო ვაჟიშვილი ჰყავს, რომელსაც მამასავით ფიდელი ჰქვია. ის 1955 წელს დაიბადა. კასტროსთან განქორწინების შემდეგ მირტა მეორედ გათხოვდა და ამჟამად მადრიდში ცხოვრობს. ის ხშირად ჩადის კუბაში თავისი შვილის მოსანახულებლად. მისი ძმისწული, ლინკოლნ დიას-ბლარტი, აშშ-ში გადასახლდა და რესპუბლიკელი კონგრესმენი და კასტროს დაუძინებელი მტერი გახდა. უმცროსი ფიდელი, ანუ ფიდელიტო, ბირთვული ფიზიკის სპეციალისტია, განათლება სსრკ-ში აქვს მიღებული. ერთ ხანს ის კუბის ბირთვული ენერგიის კომისიას ხელმძღვანელობდა, ვიდრე მამამ „არაკომპეტენტურობისთვის“ არ გაათავისუფლა. ის წვერს ატარებს და საოცრად ჰგავს ახალგაზრდა კასტროს. ფი-



რე კი სულ ახალი. კასტროს ცხედარი მასთან გამოსამშვიდობებლად ასვენია. მისკენ ხალხის უსასრულო რიგი მიედინება. პროცესიას წინ საგარეო საქმეთა მინისტრი ფელიპე პერეს როკი მიუძღვის, რომელსაც მეგობრები ფელიპიტოს ეძახიან (ის „სულ“ 41 წლისააძ, მტრები კი ზურგს უკან – „თალიბანს“. როკი კუბოს მიუახლოვდა და გაირინდა, გაშეშებულია და ადგილიდან არ იძვრის. მის უკან მდგარი კუბის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე რიკარდო ალარკონი მოთმინებით ელის თავის რიგს. მაგრამ დრო გადის, როკი კი არც ინძრევა. ბოლოს ალარკონს მოთმინების ფიალა აევსო და როკს ჩასჩურჩულა: „ფილიპიტო, რაღას ელოდები? ხომ ხედავთ, რომ ის მკვდარია“.



როკი ჩურჩულითვე პასუხობს: „ვხედავ, მაგრამ ვერ მომიფიქრებია, როგორ ვუთხრა მას ამის შესახებ“...

თავის მე-80 წლისთავს – ის 1927 წლის 13 აგვისტოს დაიბადა – კასტრო სასიკვდილო სარეცელზე თუ არა, საავადმყოფოს საწოლზე ნამდვილად ხვდება. მაიამიში, სადაც კასტროს ასიათასობით ანტიკასტრული ემიგრანტი ცხოვრობს, ფიდელ კასტროს ავადმყოფობის ამბავს სიხარულით შეხვდნენ. მაგრამ ჯერ ადრე ხომ არ არის კასტროს დამარხვა? მხედველობაში მაქვს არა მარტო კუბელი ბელადის ფიზიკური გადარჩენა, არამედ მისი საქმისა და მემკვიდრეობის ბედიც.

ფიდელი ვაშინგტონზე. ვაშინგტონი კი – ფიდელზე. დავითისა და გოლიათის ეს დაპირისპირება ზოგჯერ აბსურდის თეატრის სახეს იღებდა. ორივე მხარე აშკარად გადამეტებულად აფასებდა პიროვნების როლს ისტორიაში, თუმცა კასტროს შემთხვევაში ეს როლი მართლაც დიდია. 2001 წლის ივნისში, როდესაც ჩვეულებისამებრ, მრავალსაათიან სიტყვას წარმოთქვამდა ფიდელმა წამით გრძნობა დაკარგა, პოტომაკზე უმალ „კასტროს ეპოქის“ აღსასრულზე აყრანტალდნენ. 2004 წელს, კვლავ მრავალსაათიანი სიტყვის შემდეგ, კასტრომ წაიბორძიკა და წაიქცა, რის შედეგადაც მარცხენა ფეხის მუხლისთა-

ლიზმს, როცა თვითონ აღარ იქნება. ამიტომაც მან ახალი კამპანია დაიწყო – „იდეების ბრძოლა“. ფიდელის გეგმების მიხედვით, ამ ბრძოლას ამჟამად კუბელების ახალგაზრდა თაობა აწარმოებს, რომელიც 1990-იანი წლებისთვის, ანუ მაშინ „მომწიფდა“, როცა სსრკ დაიშალა. დიახ, კასტრო იძულებული გახდა სადავეები მოეშვა ეკონომიკურ სფეროშიც და სოციალურშიც. მაგრამ ამ ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ შეაშინა ფიდელი და მან უკან დახევა გადაწყვიტა. ამა წლის მაისში კი აღშფოთებულმა ფიდელმა უარყო ჟურნალ „ფორბსში“ გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ მისი ქონება 900 მილიონის ტოლია და შვიდსაათიან ტელემარათონში განაცხადა: „ჩვენ უნდა გამოვააშკარავოთ სიცრუე ჩვენს შესახებ... ეს იდეოლოგიური ბრძოლაა? ყველაფერი იდეათა ბრძოლაა!“

კუბაში ლიდერის მემკვიდრეებზე ლაპარაკს ტაბუ ადევს. ამიტომაც გამოიწვია ასეთი აურზაური ფიდელის გადაწყვეტილებამ ძალაუფლება „დროებით“ რაულისთვის გადაეცა, თუმცა ვიცე-პრეზიდენტი და თავდაცვის მინისტრი რაული მისი ბუნებრივი მემკვიდრეა. მაგრამ ის ფიდელი მაინც არ არის. რაულს არ გააჩნია უფროსი ძმის ქარიზმა, მისეული ბელადის თანდაყოლილი ხასიათი. თანაც რაული 75 წლისაა, რის გამოც ის დროებით ლიდერად აღიქმება. ამიტომაც ჰავანის ხელისუფლების დერეფნებში „კოლექტიური ხელმძღვანელობის“ შესაძლებლობაზე ჩურჩულებენ. იქ მიაჩნიათ, რომ ის იძულებული იქნება ძალაუფლება ტრიუმვირატს გაუნაწილოს, რომელიც შედგება ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტის, 69 წლის ალარკონისგან; საგარეო საქმეთა მინისტრ როკასგან (41 წელიძ და კარლოს ლეჟესგან, რომელიც კუბის ეკონომიკას განაგებს (54 წელიძ.

ალარკონი აშშ-ს სპეციალისტად ითვლება, იგი 40 წელზე მეტია ამ ქვეყნით არის დაკავებული. მან ჰავაის უნივერსიტეტი მიატოვა იმისთვის, რათა კუბის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის განყოფილებას ჩასდგომოდა სათავეში. მაშინ (1962ძ ის სულ 25 წლის



რეგნოების გამო ბულტერიერს ეძახიან, კასტროსეული „იდეათა ბრძოლის“ მთავარი რუპორია. ის 21 წლის იყო, ფიდელის პირადი მდივანი რომ გახდა, და დღემდე უსაზღვროდ ერთგულია მისი. 1999 წელს კასტრომ, როცა საგარეო საქმეთა მინისტრი გახადა. იმ პოსტზე მან ახალი მეტსახელი დაიმსახურა – ფაქსი: ანუ ის მხოლოდ კასტროს აზრების ფიქსირებას ახდენს. როკი დიდად პოპულარული არ არის, თუმცა მას პატივს სცემენ. პოლიტიკური ხმების თანახმად, კასტრომ როკა რაულის ეგიდით გარდამავალი პერიოდის ხელმძღვანელობისთვის აკურთხა.

ტრიუმვირატის მესამე წევრი კარლოს ლეჟე კუბის „ეკონომიკური მეფე“ და მისი ახალი ეკონომიკური პოლიტიკის არქიტექტორია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფიდელი ეკონომიკაში მაინცდამაინც ძლიერი ვერ არის, ლეჟეს ზეგავლენა ამ სფეროში მით უფრო წონადია.

გარდა პოლიტიკური მემკვიდრეობისა, ფიდელს უბრალო მემკვიდრეობა ჰყავს. ფიდელის ცოლი – დალია სოტო დელ ვალე – დაახლოებით ორმოცი წელია მეუღლეობას უწევს მას. მათ ხუთი შვილი ჰყავთ: ალექსისი, ალექსანდრე, ალეხანდრო, ანტონიო და ანგელი. (კასტრო ალექსანდრე მაკედონელის თავგამოდებული თაყვანისმცემელიაძ. უფროსი – ანტონიო – ჰავანის ერთ-ერთ ჰოსპიტალში მუშაობს ორთოპედად. თუმცა ბეისბოლისტობას აპირებს. ალექსისი ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანოს, გაზეთ „ხუვენტუდ რებელდეს“ ფოტორეპორტიორია. ალექსანდრე კუბის ტელევიზიის კინოოპერატორია. ალე-

დელს ქალიშვილიც ჰყავს – ალინა ფერნანდესი, ფიდელისა და მაღალი საზოგადოების მშვენების, ნატა რევუელტას „სიყვარულის ნაყოფი“. 1993 წელს ალინა ფარულად გაიქცა ევროპაში, მერე კი ფლორიდაში გადავიდა. იქ მან დააფუძნა რადიო-შოუ სახელწოდებით „უბრალოდ ალინა“ და კასტროს საწინააღმდეგო გადაცემები მიჰყავს.

რაულ კასტროს, რომელსაც ცოლად ვილმა ესპინი ჰყავს და რომელსაც მასაჩუსესტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, ოთხი შვილი ჰყავს. მათგან განსაკუთრებით რაულის უფროსი ქალიშვილი მარიელა კასტრო-ესპინი გამოირჩევა. ის განათლებით სექსოლოგია და ეროვნულ ასამბლეაში ტრანსსექსუალებისა და ტრანსვესტიტების ინტერესებს ლობირებს, რომლებიც მასზე ლოცულობენ და თავის „ნათლიას“ ეძახიან.

მაგრამ ვინაიდან კუბა ჩრდილო კორეა არ არის, კასტროს არც ერთი ვაჟიშვილი არ აპირებს მამის ადგილის დაკავებას. არა გვგონია კასტროს შემდგომ კუბაში მათი მომავალი პოლიტიკურ არენაზე განვითარდეს...

მაშასე, ფიდელ კასტრო – კუბის სახელისუფლებო ვერტიკალის მწვერვალი – თავის მე-80 წლისთავს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ხვდება. პრეზიდენტმა ბუშმა „კასტროს ტირანიის აღსასრულის დასაჩქარებლად“ კუბის გათავისუფლების დამხმარე კომისია შექმნა. კუბაში უკვე აშშ-ს მომავალ პროკონსულიც კი დაინიშნა – ვინმე გალებ მაკერი, რომელიც აცხადებს, რომ ხელისუფლებაში რაულის მოსვლი და ეკონომიკური რეფორმებიც კი „მას ხელს არ აძლევს“.

მაიამიში ვილაც-ვილაცეები უკვეჩემოღნებსაც კი ალაგებენ. იქმნება მთავრობა. გაჩნდნენ კუბის პრეზიდენტობის კანდიდატები. ჰავანის კასტროს შემდგომი რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტიც კი უკვე მზადაა. ადრე ხომ არ არის?

სადღაც ჯერ კიდევ „არარეკონსტრუირებულ“ ჰავანაში საავადმყოფოს საწოლზე კომანდანტე ფიდელი წევს. მისი პალატის შესასვლელთან ერთგული მცველი ხოსე დელგადო დგას: მელოტი გოლიათი ხარის კისრითა და გულმკერდით. მისი გვერდის ავლას სიკვდილი თუ შეძლებს. ყოველივე დანარჩენი კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

**მელორ სტურუა,**
**მინეაპოლისი.**

**◎ ვარსკვლავები**

# ეს გამოჩენილი ოდრი

**მისი მთავარი ფილმის „ამელის“ შემდეგ ოდრი ტოტუს ჯიუტად ეძახიან გმირი ქალის სახელს – ამელის. ისე დაჟინებით ეძახიან, რომ გაბეზრებულია და მზად არის ვისიც გნებავთ სათამაშოდ, ოღონდ კი ამ გახევებულ სახეს თავი დააღწიოს... ოდრი ჭეშმარიტი ფრანგი გახლავთ, დიდრონი მუქი თვალებითა და არაორდინარული გარეგნობით.**

ბავშვობაში, სახელოვან ადამიანთა უმეტესობის დარად, არც დიდებაზე უფიქრია და არც დიდძალ ფულზე. სტომატოლოგი მამისა და ფილოლოგი დედის შვილს (ოთხიდან უფროსსძ, ჯერ ექიმობა სურდა, მერე პრიმატოლოგობა, მიყრუებულ ტყეში ცხოვრება და საყვარელი მაიმუნების ქცევისთვის თვალის დევნება...

ოდრის, მსახიობურის გარდა, უთვალავი ნიჭი დაჰყვა. დაამთავრა სორბონის ფილოლოგიის ფაკულტეტი, სადაც დისერტაცია დაიცვა თემაზე „ნარცისიზმი ოსკარ უაილდის შემოქმედებაში“. დადიოდა სამსახიობო კურსებზე, ბევრს კითხულობს, წერს დღიურს (თუმცა არავის უჩვენებსძ, უკრავს ფორტეპიანოსა და ჰობოიზე (ამასთან ზოგჯერ გასტროლებზეც დადის ერთ პატარა ახალგაზრდულ ორკესტრთან ერთადძ, საუცხოოდ ლაპარაკობს ინგლისურ და გერმანულ ენებზე და ცოტა რუსულიც იცის (რომელსაც სკოლაში სწავლობდაძ.

პირად ცხოვრებას გულმოდგინედ ეფარება საყოველთაო თვალთა და ყურთაგან – არაფერია ცნობილი ფრანგი მსახიობის ოჯახზე,



მეგობრებსა ან შეყვარებულებზე. ოდრის ერთადერთი საყვარელი მამაკაცი, რომელზეც ყველამ იცოდა, გახლდათ „ამელიში“ მთავარი როლის შემსრულებელი მეტიუ კასოვიცი. ის ამელის ბედი იყო სცენარის მიხედვით და ცხოვრებაშიც ოდრის ბედი გახდა, ოღონდ მცირე ხნით. ქალი სულ გადაღლებებით იყო დაკავებული და ძვირფას ადამიანთან ყოფნას იშვიათად ახერხებდა.

ოდრი განთქმულია შეურყეველი ზნეობით. ძალიან უმძიმს ლოგინის სცენის გამოსახვა და კადრში პარტნიორის კოცნაც კი. რასაკვირველია, მზად არის რეჟისორის ყველა თხოვნის შესასრულებლად, მაგრამ ეს ძალიან ძნელად გამოსდის.

**ფილმ „და ვინჩის კოდის“ შემდეგ, სადაც ოდრის ქალის მთავარი როლის თამაში მოუწია, ჰოლივუდში ახალი შესაძლებლობები გადაეშალა. მარტოხელა, თითქოს თავის თავში ჩაკეტილი პესიმისტური მსახიობი ჭკუას კარგავს ამერიკულ ქალაქებზე, განსაკუთრებით ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესზე. ამბობს, რომ იქ არაჩვეულებრივ თავისუფლებას გრძნობს: ყველა იმას აკეთებს, რაც უნდა, იცვამს, როგორც უნდა და არცვინ გაქცევს ყურადღებას და არც არც არაფერს გიშლისო...**

**ხასიათიც ცოტა მამაკაცური აქვს. ამბობს, რომ ჰგავს გმირ ქალს მატილდას სურათიდან „ხანგრძლივი ნიშნობა“, იმიტომ, რომ მასავით ძლიერი, ფიცხი და ჯიუტია.**

ფეხბურთი

# შორს ეიფორია

**მოგებას კი ველოდი, მაგრამ ასეთი ანგარიშით არაო – გულწრფელად განაცხადა „ევრო-2008“-ის შესარჩევი ციკლის სასტარტო მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა. და განა მარტო ის?**

სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნე-



ბამ „ჯვაროსანთა“ ქომაგებს საზრუნავი მოუმრავლა – ფარერელთა აქტივს ავსტრიელებთან მოგებასთან ერთად შოტლანდიელებთან (ორჯერძ და სლოვენიელებთან ფრეები ამშვენებდა. ახლა, როცა ყველაფერი კეთილად დასრულდა, ადვილია მეტოქის სისუსტეებზე საუბარი, მაგრამ წურც ჩვენ ჩავვარდებით ეიფორიაში – დაცვაში რომ პრობლემები გვაქვს, ტოფტირშიც კარგად გამოჩნდა. კი ბატონო, კალაძე, ხიზანიშვილი და ხიზანეიშვილი გვაკლდნენ, მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ მასპინძლებიც მეორე შემადგენლობით თამაშობდნენ (პირველიც გყავთო, ენამოსწრებულად უხუმრია იქაურ ტაქსისტთან ცნობილ ტელეკომენტატორ დიმა ობოლაძეს – **რედ**ძ.

რადგან ანგარიში 6:0 ყველაფერზე მეტყველებს, ზოგადი შეფასებით შემოვიფარგლოთ: ბიჭები თავს არ ზოგავენ „ტოპის“ მითითებების შესასრულებლად. მეტიც, თანდათან ეუფლებიან პრესინგის საიდუმლოებებს და, რაც მთავარია, დისციპლინასაც ეჩვევიან. ამ მხრივ საგულისხმოა დემეტრაძის მაგალითი, რომელიც კუნძულზე დაგვიანებით ჩასვლის გამო დაისაჯა და მინდორზე მხოლოდ შესვენების შემდეგ გამოჩნდა. და კიდევ – მადლობა ღმერთს, იქაურ კლიმატში მატჩი აგვისტოში მოვიცილეთ.

**დანარჩენი შედეგები: „ა“ ჯგუფი.** ბელგია – ყაზახეთი 0:0, **„ე“ ჯგუფი.** ესტონეთი – მაკედონია 0:1.

**ამხანაგური შეხვედრები:** ნორვეგია – ბრაზილია 1:1, ირლანდია – ჰოლანდია 0:4, გერმანია – შვედეთი 3:0, იტალია – ხორვატეთი 0:2, ინგლისი – საბერძნეთი 4:0, ბოსნია – საფრანგეთი 1:2, მოლდოვა – ლიტვა 3:2, ჩეხეთი – სერბეთი 1:3, რუსეთი – ლატვია 1:0, ფინეთი – ჩრდილოეთ ირლანდია 1:2, რუმინეთი – კვიპროსი 2:0, ეგვიპტე – ურუგვაი 0:2, ბელორუსი – ანდორა 3:0, ლუქსემბურგი – თურქეთი 0:1, დანია – პოლონეთი 2:0, ავსტრია – უნგრეთი 1:2, ლიხტენშტაინი – შვეიცარია 0:3, ტუნისი – მალი 0:1, მაროკო – ბურკინა ფასო 1:0, კოტ დივუარი – სენეგალი 0:1.

ალპინიზმი

# შეტევა ტრაგედიით დამთავრდა

**დიახ, ადამიანთა მსხვერპლით დამთავრდა მთასვლელთა რუსული გუნდის „კუზბასის“ მიერ მსოფლიოს მეორე უმაღლესი მწვერვალის K-2, რომლის სიმაღლეა 8611 მეტრი, დაპყრობის მეორე მცდელობა**. გუნდში 4 ქვეყნის 9 ალპინისტი იყო – უკვე მთაში მუშაობის დროს რუსებსა და ბელორუს კულბაჩენკოს შეუერთდნენ ირლანდიელი ბენონი და პოლონელი ტელერი. ჩოგორის მასივის მწვერვალამდე 200 მეტრზე ფერდობში ალპინისტები ზვავში მოხვდნენ. უგზოუკვლოდ დაიკარგა 4 მთასვლელი, საიდანაც სამი უეჭველად რუსია, ხუთკაციანი ჯგუფმა კი – მათ შორის რუსეთში ყველაზე ტიტულოვანმა მთასვლელმა სერგეი ბოგომოლოვმა, ის, რომ დაკარგეს აღჭურვილობის ნაწილი და კავშირგაბმულობის საშუალებები, საბაზო ბანაკში ჩააღწია.



ტრაგედია გამოიწვია ძალზე უნიკალურმა, ალპინიზმის ისტორიაში იშვიათმა შემთხვევამ. მოწყდა თოვლის ქუდი, როგორც ალპინისტები ეძახიან, მწვერვალის „თარო“. სწორედ მან გაიტაცა ქედზე მიმავალი ოთხეული. დანარჩენები მეწინავეებისგან მოშორებით მიდიოდნენ, რამაც ისინი გადაარჩინა.

უბედური შემთხვევა დაახლოებით შუადღისას მოხდა. ჯგუფი დილაადრიან გავიდა 7950 მეტრზე მდებარე მეოთხე ბანაკიდან. იქამდე კი ალპინისტები 6 დღე გამოდარებას უცდიდნენ.

ორბიტაზე

## უმდიდრესნი

**ამერიკულმა ჟურნალმა Sports Illustrated მოაწყო გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც რუსეთელი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი ქალია მსოფლიოში – მისი წლიური შემოსავალი 13,4 მილიონი გირვანქაა. რუსეთელი ლამაზმანი, ახლა ფლორიდაში რომ ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ 2004 წელს უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ ასეთი დიდი ტურნირი აღარ მოუგია, შემოსავლებით ჯობნის პლანეტის პირველ ჩოგანოსანს, შვეიცარიელ როჯე ფედერერს, რომლის წლიური შემოსავალი, უამრავი გამარჯვების მიუხედავად, 11,7 მილიონ გირვანქას არ აღემატება.**



ამერიკაში ყველაზე შემოსავლიან სპორტსმენთა სამეულში არიან ტაიგერ ვუდსი (გოლფიძ – 51,7 მილიონი გირვანქა, ფილ მაიკლსონი (გოლფიძ – 24,3 მილიონი, შაკილ ო'ნილი (კალათბურთიძ – 18 მილიონია.

ამერიკის გარეთ უმდიდრესია მიხაელ შუმახერი (ავტორბოლაძ – 42,3 მილიონი, ვალენტინო როსი (მოტორბოლაძ – 15,9 მილიონი, რონალდინიო (ფეხბურთიძ – 15,4 მილიონი. შემდეგ უკვე მოდის შარაპოვა.

ჩოგბურთის გარდა შარაპოვას „ჯულაბას“ავსებს რეკლამა – ფოტოკამერები, მანქანები, საათები და მობილური ტელეფონები, აგრეთვე საკუთარი პარფიუმერიიდან შემოსავალი.

## თეთრ სახლს უტევდა?



**ძალზე უსიამოვნო ისტორიაში მოხვდა ამერიკის კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ყოფილი მოთამაშე ლონი ბასტერი. მან აშშ დედაქალაქში, თეთრი სახლიდან ორ კვარტალში ატეხა სროლა.**

„შარლოტ ბობკეტსის“ ყოფილი მოთამაშე პოლიციელებმა მეგობართან ერთად შეიპყრეს. ისინი ვაშინგტონის ქუჩებში სპორტული მანქანით დაქროდნენ და სროლის ირთობდნენ თავს, რაც განსაკუთრებით სახიფათოა თეთრი სახლის შემოგარენში.

## მაინც ახალ საქმროს ეძებს

**იტალიამ ნამდვილი შოკი გადაიტანა. ერთ-ერთ მთავარ ლამაზმანს, ყველასთვის საყვარელ მსახიობ ვალერია მარინის „მუცელი მოეშალა“.**

ბავშვის მამა უნდა ყოფილიყო ყოფილი ფეხბურთის მოღვაწე – ახლო წარსულში „ფიორენტინას“ პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი. მათი რომანი ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ შეწყდა, „მე ბავშვი დავკარგე, – განაცხადა ვალერიამ, – ეს საშინელებაა. ასეთს არავის ვუსურვებ“.

გონს მოსულმა ვარსკვლავმა განაცხადა, რომ ახლა ის ეძებს მამაკაცს, რომელსაც ნაზი გრძნობები ექნება.



ეროვნული სტადიონი

# ფინიშის სუნთქვა

**კვლავ ხალხმრავლობაა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. თუმცა, სამუშაოთა რაოდენობა დღითი დღე კლებულობს. თვალს ახარებს მწვანედ მობიბინე სათამაშო მინდორი, „მოვერცხლილი“ სახურავი, ლურჯ-მწვანედ და წითელ-ყვითლად მოჭადრაკებული ტრიბუნები, რომელთა VIP-ლოჟებში ხვალ-ზეგ ინდივიდუალური სკამების დადგმა დამთავრდება.**

გუშინწინ ბოლო სარეკონსტრუქციო სამუშაოები სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავკაცმა გოჩა ძასოხოვმა დაათვალიერა. რამდენიმე შენიშვნაც მისცა მშენებლებს და, სანამ ტრადიცი-



ულ თათბირს დაიწყებდა, ინტერვიუ ვთხოვეთ. მოგვიბოდიშა – ექსკლუზივი რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ იყოსო.

– დიდხანს არ მოგიწევთ ლოდინი, – გვამხნევა ირაკლი მეძმარიაშვილმა. – 25 აგვისტოსთვის მშენებლები სიმბოლურ გასაღებს გადასცემენ სტადიონის მესვეურებს. ხუთშაბათ საღამოს ჩინეთიდან ტაბლოს მივიღებთ (ჩვენი ინტერვიუ ოთხშაბათს გაიმართა, – ავტ.ძ, ორიოდე დღეში მის ჩარჩოს მოვამზადებთ და დამონტაჟებასაც დავიწყებთ. იარუსების გამყოფ სავალ ნაწილზე უკვე დაიგო საიზოლაციო მოზაიკური სინთეთიკური მასალა, რომელიც ლამაზიცაა და ცვეთამედეგიც. მომავალ სამშაბათამდე სტადიონის ტერიტორიის მოასფალტება დამთავრდება, გარე განათებაც დამონტაჟებულია. ერთი სიტყვით, ფინიშისკენ მივდივართ...

გუშინ სტადიონზე კვლავ გრძელდებოდა სარბენი ბილიკების დაგება, რომელიც ერთი კვირის წინათ კანადურ-ფრანგული კომპანია „ფიტარ-ტარკეტის“ წარმომადგენლებმა ტექნიკური მენეჯერის – ზაზა ოსიპიდისის ხელმძღვანელობით დაიწყეს.

ზაზა თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ახალგაზრდა კაცია, რომელიც ამჟამად საბერძნეთში ცხოვრობს და გიგანტური კომპანიის კურატორია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში.

– მიხარია, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქშიც მოიწადინეს „ტარკეტთან“ თანამშრომლობა, რადგან ეს კომპანია ხარისხის გარანტია და მის ნახელავს სარაევოს ოლიმპიური სტადიონიდან დაწყებული ჰონგკონგამდე თითქმის ყველა ქვეყანაში იცნობენ, – მითხრა ზაზამ. – კომპანიის სპეციალისტებმა წინასწარ შეამოწმეს აქაური სარბიელის ზომები, ვირაჟების დახრილობა, ასფალტის საფარის ხარისხი, სანამ სარბენი ბილიკების დაგებას დავიწყებდით. მასალა – „რეზიპურ-15“ საფრანგეთიდან ჩამოვიტანეთ.



ბილიკების პირველ ფენას უკვე მოვრჩით – კაუჩუკისა და პოლიოეთანიოს წებოს ნარევია, 14 მილიმეტრის სისქის. გაშრობის შემდეგ ორპირად დაესხმება წითელი კაუჩუკისა და წებოს ნარევი წნევით საათის ისრისა და მისი საწინააღმდეგო მიმართულებით. სულ სარბენი ბილიკების სისქე 16 მილიმეტრი იქნება, რაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის სტანდარტებს შეესაბამება. ამ სარბიელზე ნებისმიერი სახის საერთაშორისო შეჯიბრების გამართვა შეიძლება. ხუთწლიანი გარანტია აქვს, თუმცა ათითხუთმეტი წლის განმავლობაშიც შეიძლება მისი ექსპლუატაცია. ვადის გასვლის შემდეგ ზედაპირზე თხელი ფენის დასხმით სარბიელი ერთ ამდენს კიდევ გაძლებს.



„ტარკეტისა“ და „დინამო-ინვესტის“ თანამშრომლობა შესაძლებელი გახდა ბატონ გოჩა ძასოხოვის, ირაკლი მეძმარიაშვილისა და კობა ახალკაცის ძალისხმევით და ეს კონტაქტები საქართველოს სამომავლოდ გამოადგება.

დამშვიდობებისას ზაზა ოსიპიდისმა ისიც მითხრა, რომ უახლოეს ხანში აპირებს, ჩვენთანაც ჩამოიტანოს ფეხბურთის მოედნებისთვის მეექვსე თაობის ხელოვნური საფარი, რომლის „ბალახის“ სიმაღლე 5-6 სანტიმეტრს აღწევს. ფეხბურთელები მასზე 10 წლის განმავლობაში ივარჯიშებენ და ითამაშებენ კიდეც. ამგვარ საფარზე უეფას ტურნირებიც გაიმართება...

ზემოაღნიშნული მომავლის საქმეა. ამჯერად ჩვენთვის ის არის მთავარი, რომ ეროვნული სტადიონი 2 სექტემბრისთვის მზად იქნება და ქართველი ფეხბურთელები, ფარერებთან მიღწეული წარმატებით გუნება-განწყობილებაამაღლებულნი, ფრანგებთან მატჩშიც გაგვახარებენ.

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: გოჩა ძასოხოვი მშენებელთა ნახელავს ათვალიერებს; ასე იგება სარბენი ბილიკები ეროვნულ სტადიონზე.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

რა ელის სამყაროს

# ჩვენი დროის აპოკალიფსი

**გავხდებით თუ არა უახლოეს მომავალში განკითხვის მოწმენი? ველოდოთ სულ მალე მეორედ მოსვლას? სამი მონოთეისტური რელიგიის – ქრისტიანობის, იუდაიზმისა და ისლამის წარმომადგენელი ზოგიერთი ფუნდამენტალისტი ამ შეკითხვაზე უკვე ახლავე დადებითად უპასუხებს.**

ისლამიდან დავიწყოთ და პირველ რიგში ირანის პრეზიდენტის, მაჰმუდ აჰმადინეჯადის ფიგურაზე შევჩერდეთ, რომელიც პრეზიდენტის სავარძლის დაკავებამდე თეირანის მერი გახლდათ და არა მარტო ხმაურიანი და საკმაოდ ჭუჭყიანი დედაქალაქის მოსახლეობაზე ზრუნავდა, არამედ მეგაპოლისს იმამ მაჰდის გამოჩენისათვის ამზადებდა.

ირანში ისლამის შიიტური „ვერსიაა“ ოფიციალური და ამ მოძღვრების თანახმად მაჰდი არის მუჰამედ წინასწარმეტყველის სიძისა და ერთ-ერთი უახლოესი თანამოღვაწის, ალის მოდგმის მეთორმეტე იმამი. ის სადღაც 873-874 წლებში „გაქრა“ და მართლმორწმუნე მაჰმადიანთა დასახსნელად და ურწმუნოთა შესარცხვენად უნდა დაბრუნდეს.

აჰმადინეჯადი ფიქრობს, რომ ეს ჟამიც დადგა. ლაპარაკია, რასაკვირველია, ჯორჯ ბუშის პოლიტიკაზე, რომელმაც ისინი გამოაცხადა „გარიყულ სახელმწიფოდ“, ლაპარაკია ირანის ბირთვული პროგრამის დახურვასა და აშშ-ის მხრიდან სამხედრო თავდასხმის მუქარაზე. აჰმადინეჯადმა 2004-ში სთქვა მაჰდის მოსვლა ორი წლის შემდეგ, ესე იგი 2006-ის მიწურულს.



სამყაროს დასასრულზე მინიშნებები, რა თქმა უნდა, ქრისტიანობაშიც გვხვდება, თუმცა თანამედროვე ქრისტიანთა უმეტესობა, კათოლიკეები იქნებიან, მართლმორწმუნენი თუ პროტესტანტები, არ ცდილობენ მომავალი მეორედ მოსვლის ზუსტი ვადების დასახელებას.

მალე მეორედ მოსვლის მომხრეთა შორის ცნობილი ტელემქადაგებელნიც არიან, პირველ ყოვლისა პათ რობერთსონი და ჯერი ფოლუელი, რომელნიც თავიანთ „ღვთისმსახურებებს“ მსხვილმასშტაბიანი საესტრადო შოუების სახეს აძლევენ.

საგულისხმოა, რომ პროტესტანტული ფუნდამენტალისტები ამჟამინდელ ტრაგიკულ ამბებს ახლო აღმოსავლეთში, სახელდობრ, ერაყში ომსა და ლიბანში „ჰესბოლაჰის“ მოძრაობის წინააღმდეგ ისრაელის ომს განიხილავენ, როგორც სწორედ იმ „ტანჯვის ჟამს“, რომელზეც მარკოზის სახარებასა და იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაშია ლაპარაკი.



პროტესტანტულ ულტრაფუნდამენტალისტთა აზრით, ეზრაელები სამყაროს აღსასრულის კარიბჭესთან წმინდა მიწაზე უნდა დაბრუნდნენ და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქრისტე მესიად უნდა აღიარონ და ქრისტიანებად მოიქცნენ.

უბრალო ამერიკელებსა და სამყაროს მალ აღსასრულისადმი იმათ დამოკიდებულებას რაც შეეხება, ერთერთი ჟურნალის გამოკითხვამ უჩვენა, რომ 36 პროცენტი იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებას „ჭეშმარიტ წინასწარმეტყველებად“ მიიჩნევს. გაზეთ „Los Angeles Times“-ის მონაცემებით, აშშ-ის მცხოვრებთა 40 პროცენტი მსოფლიოში მიმდინარე ამბებში მერმისი მეორედ მოსვლის ნიშნებს ხედავს. ყოველკვირეული „Time“-ს გამოკითხამ კი ღირსშესანიშნავი ფაქტი გამოავლინა: რესპონდენტთა ერთი მეოთხედის აზრით, ნიუ-იორკში 2001 წლის სექტემბერში „ტყუპ კოშკზე“ ტერორისტული შეტევა რაღაცდაგვარად ბიბლიაშია წანათქმული.

პასტორი ჯო ჰეგი ორგანიზაცია „ისრაელისათვის გაერთიანებული ქრისტიანების“ დამაარსებელია, ბილ მაქართნი – ორგანიზაცია „გზა იერუსალიმისკენ“-ის შემქმნელი. ეს „განკითხვის დღის დამაჩქარებლები“ ფიქრობენ, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა მაშინ შედგება, როცა ეზრაელები ბიბლიურ ხანებში მათ კუთვნილ ტერიტორიას დაიკავებენ. მაშინ სიკეთისა და ბოროტების ძალები იოანე ღვთისმეტყველის მიერ წინათქმულ ბრძოლაში ჩაებმებიან.

სამყაროს მალი აღსასრულის მომხრენი აშშ-ში ისლამურ ფუნდამენტალიზმს ანტიქრისტიანულ გამოვლინებად მიიჩნევენ, იმასთან ბრძოლა კი – რელიგიურ მოვალეობად. იმათთვის ერაყში ამერიკელთა ჯარების შეჭრა ოდენ წინმსწრები აქტია იოანეს გამოცხადებაში ნაწინასწარმეტყველები ექსტალოგიური შერკინებისა. ჯო ჰეგის აზრით, ქრისტიანული სამყარო არ უნდა შეუშინდეს ისლამურ ცივილიზაციასთან ომს – პირიქით, უნდა მიესალმოს, როგორც უცილობელ ეტაპს საერთო გადარჩენისაკენ მიმავალ გზაზე.

ახლახან კალიფორნიაში გაიმართა კონფერენცია „ბიბლიური წინასწარმეტყველებანი მომავლის ბოლო ხანებზე“, რომელზეც გახმიანდა თეზისი – მეორედ მოსვლა შეიძლება ნებისმიერ მომენტში მოხდეს, ყოველ შემთხვევაში, „უთუოდ მომდევნო 40 წლის სიგრძეზე“. ამ ფორუმზე ისლამის შესახებ ლაპარაკობდნენ, როგორც თავისებურ „ანტიქრისტეს რელიგიაზე“. ერთ-ერთმა ორატორმა, ცნობილმა ფუნდამეტალისტმა ჰარი ფრეიზერმა ეგრევე პირდაპირ მოჭრა კიდევაც: „ალაჰი და იეღოვა არ არიან ერთი და იგივე ღმერთი... ისლამი სატანური რელიგიაა: არავითარი ეჭვი არაა, რომ ისრაელზე შეტევას აპირებს“.

არსებობს აგრეთვე იუდეური მესიანიზმი, ანუ „ესქატოლოგიზმი“. ამის მომხრეთა რწმენით, რაც ახლა ხდება, უკვე წინათქმულია იუდაიზმის საღვთო წერილში და ქვეყნიერების აღსასრულს აახლოებს; თუმცა ამგვარი ტენდენციები, რამდენადაც არსებული მონაცემებით შეიძლება მსჯელობა, იუდაიზმში გაცილებით მოკრძალებულია, ვიდრე პროტესტანტული ფუნდამენტალისტთა შორის.

მერიის (მოშიახისძ მომავალი მოსვლის მქადაგებელნი უმთავრესად იმ იდეიდან გამოდიან, რომ დროთა აღსასრულს მოაახლოებს ჩვენი ერის 70 წელს რომაელთა მიერ დანგრეული იერუსალიმის ტაძრის აღდგენა. ამჟამად ტაძრის გორაზე იერუსალიმში – იმ ადგილას, სადაც მთავარი იუდეური სალოცავი იდგა, ორი ყველაზე პატივსაგები ისლამური სალოცავი მდებარეობს – მასდჯიდ ალ-აქსა („შორეული მეჩეთი“ძ და კუბათ ასსაჰრა („კლდის მეჩეთი“ძ.

**ტაძრის რეკონსტრუქცია რელიგიურ ეზრაელთა დიდი ხნის ოცნებაა, იმათიც, ვინც დიასპორაში ცხოვრობს. ტაძრის აღდგენასთან, ზოგიერთი წარმოდგენის თანახმად, დაკავშირებულია მესიის მოსვლა. ეს რეკონსტრუქცია იქნება ორი მეჩეთის დანგრევის მომასწავებელი, რასაც უეჭველია მოჰყვება შემდგომი გამწვავება ისრაელსა და ისლამურ მსოფლიოს, თანაც არა მარტო არაბულს შორის ისედაც რთული ურთიერთობებისა.**

რას არ გაიგებ

# ყოველ ადამიანში ცისფერი სისხლი ჩქეფს

**დიახ, დედამიწაზე რომელი ორფეხა სულიერიც არ უნდა აიღოთ, თურმე ამა თუ იმ მეფური არსების ნათესავი ან შთამომავალია; თუნდაც ასეთი კავშირის დადასტურება დოკუმენტურად ვერ ხერხდებოდეს. თითქმის ასპროცენტიანი ალბათობა არსებულა იმისა, რომ ყოველი ჩვენგანის გვარტომობა რომელიმე მეფისგან იწყება. „მილიონთა გენეოლოგიურ ხეში ადვილად შეიძლება თვალის გადევნება და ვინმე შუასაუკუნელ მონარქთან კავშირის დატკიცება“, – გვიამბობს მარკ ჰამფრი, გენეოლოგიის დიდი ენთუზიასტი და შეთავსებით დუბლინის საქალაქო უნივერსიტეტის ინფორმატიკის პროფესორი (ირლანდიაძ.**

ირკვევა, რომ ნებისმიერ კაცს, ვისაც ასეულობით წლის წინათ რამდენიმე შვილი ჰყავდა, დღეისათვის მილიონობით გვარის გამგრძელებელი მიეთვლება და მრავალი მათგანი საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა.

მაგალითად, ედუარდ III-ს, რომელიც XIV საუკუნეში მართავდა ინგლისს, ცხრა შვილი გაეზარდა. იმათ შთამომავალთა შორის არიან პრეზიდენტები ჯორჯ ვაშინგტონი, თომას ჯეფერსონი, ჯონ ადამსი, ზაქარია ტეილორი, ორივე რუზველტი, მწერლები ჯეინ ოსთინი, ჯორჯ ბაირონი, ალფრედ თენისონი, ელიზაბეთ ბრაუნინგი, მეცნიერი ჩარლზ დარვინი, მსახიობები ჰამფრი ბომარტი, ოდრი ჰეპბერნი, ბრუქ შილდსი. ზოგიერთი სპეციალისტის შეფასებით კი, საერთოდ, 80 პროცენტამდე ახლანდელი ინგლისის მოსახლეობისა ედუარდ III-სგან წარმოდგება.

გარდა ამისა, ჰამფრის გამოანგარიშებით, წინასწარმეტყველი მუჰამედი, ისლამის დამაარსებელი, დასავლური სამყაროს ყოველი მცხოვრების გენეოლოგიურ ხეში უნდა შედიოდეს. VI საუკუნეში დაბადებული მუჰამედის ნათესაობა ინგლისელ შუასაუკუნელ მონარქებთან ჯერ დადგენილი არაა, მაგრამ ფრიად სარწმუნოა. „დამნაშავე“ გახლავთ ფატიმა, წინასწარმეტყველის ქალიშვილი. მის ქმარს ალის შიიტი მუსულმანები მუჰამედის კანონიერ მემკვიდრედ თვლიან. ფატიმასა და ალის ვაჟი შეეძინათ, ალ ჰასანი, 670 წელს გარდაცვლილა. სამასი წლის შემდეგ მისმა მეცხრე შვილთაშვილმა იზმაილმა შტო ევროპაში გააგრძელა, სადაც სევილიის იმამი გახდა.

...აბადიდების დინასტიის უკანასკნელ ემირს, ეტყობა, ქალიშვილი ზაიდა, ნათლობაში იზაბელა, უნდა შეძენოდა. ზაიდა კასტილიისა და ლეონის მეფესთან, ალფონს VI-სთან შესაუღლებლად მოინათლა. ზაიდა და იზაბელა რომ ერთი და იგივე პირია, ამის დამაჯერებელი დადასტურებები არ ჩანს, მაგრამ თუ ასეთ ვერსიას დავუშვებთ, საბოლოოდ ეს ხაზი იზაბელას მეხუთე შვილთაშვილთან, მარია დე პადილასთან მიგვიყვანს. მარია ცოლად გაჰყვა სხვა კასტილიელ მეფეს – პედრო სასტიკს. იმათმა შვილთაშვილმა იზაბელამ დააფინანსა ქრისტეფორ კოლუმბის მოგზაურობა, ხოლო იზაბელას ქალიშვილი ხუანა ერთ-ერთი ჰაბსბურგის ცოლი გახდა, ესე იგი მედიჩის, ბურბონების და რამდენიმე სხვა იტალიელი პრინცისა და ჰერცოგის შტოს დამწყები. ასე შეეძლო წინასწარმეტყველ მუჰამედის სისხლს მთელს ევროპაში გავრცელება. ეს სავსებით მოსალოდნელია, თუმცა არა აუცილებელი.

**მუჰამედიდან 43 თაობის შემდეგ მკვლევარი გადააწყდება პრინცესა მარინა ტორპონიას. მისი შვილთაშვილია ამერიკელი მსახიობი ქალი ბრუქ შილდსი, რომელსაც, აქვე სათქმელად, დაჯერებით შეჰყავს თავის გენეოლოგიურ ხეში ეკატერინე მედიჩი, ლუკრეცია ბორჯია, კარლოს დიდი, ნიკოლო მაკიაველი და ერნანდო კორტესი – სამხრეთ ამერიკის დამპყრობი.**



შენ დალგა მითხარი

# როცა პრეზიდენტები ისვენებენ

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ეს-ეს არის დაიწყო საქმიანი დასვენება სოჭში, მისი ამერიკელი კოლეგა ჯორჯ ბუში კი ახლა დაბრუნდა შვებულებიდან. რას საქმიანობდნენ ისინი და რა საერთო აქვს ორი პრეზიდენტის არდადეგებს?**

რასაკვირველია, ბუშის ტეხასური რანჩო – კროუფორდი ვაშინგტონი როდია. ვაშინგტონში ველური ვნებებია, კროუფორდში – გარეული ინდაურები. ვაშინგტონში პოლიტიკური კალიები არიან, კროუფორდში – უბრალო კალიები, ვაშინგტონში შხამიანი დემოკრატი გველებია, კროუფორდშიც გველები შხამიანები არიან, მაგრამ ისე როდი იკბინებიან. ვაშინგტონში პენტაგონის შეფი ყველას თავს აბეზრებს ჯავშნოსნებზე ლაპარკით, კროუფორდშიც არიან ჯავშნოსნები, ანუ არმადილო. ეს უკვე ზოოლოგიაა და არა შეიარაღებისკენ რბოლა.

თვით რანჩოზეც კი ბუში რჩება ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი სუპერსახელმწიფოს თავკაცად. შემთხვევითი როდია, რომ პრეზიდენტის ვერტმფრენისთვის აგებული ანგარი იმავდროულად პრეს-ცენტრადაც გამოიყენება. ის დეკორირებულია როგორც თეთრი სახლის ბრიფინგ-რუმი: ცისფერი ფარდა, მუხის კათედრა. მასზე კი ოვალური პრეზიდენტის ბეჭედი წარწერით: „დასავლეთის თეთრი სახლი. კროუფორდი. ტეხასი“. ეს უბრალო იმიტაცია კი არა, მესიჯია: შეხედეთ, პრეზიდენტი არასოდეს ისვენებს. ის გამუდმებით ფხიზლობს და იცავს ქვეყნის ინტერესებს. ის ძალზე წააგავს სოჭში „ბოჩაროვის წყაროებს“, სადაც, როგორც ამტკიცებს კრემლი, პუტინი „მუდამ მუშაობს“.



სოჭში პრესის ყურადღება მიპყრობილია ფინია კონიზე. კროუფორდში კი ასეთი როლი ერთხელ ითამაშა ჭრიჭინამ – ანგარიში, ბუშისა და რაისის პრესკონფერენციაზე რომ შეფრინდა. როდესაც ჭრიჭინა კონდოლიზას ფეხებთან დაეშვა, რეპორტიორებმა სანაძლეოც კი დადეს: გასრეს თუ არა ის მას? არ გასრისა...



წლევანდელი ზაფხული კროუფორდში ცხელი იყო, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. ბუშმა დააფუძნა „კლუბი-100 გრადუსი“ (ფარენგეიტითძ. ამბობენ, მისი წევრი რომ გახდე, აუცილებელია, გაირბინო 3 მილი, ან ველოსიპედით უნდა გაიარო 10 მილი, ოღონდ ერთი პირობით, ჰაერის ტემპერატურა უნდა აჩვენებდეს სამციფრიან რიცხვს, როგორც მინიმუმი შუა ტეხასის აუტანელი სიცხის 100 გრადუსს. ვინც ამას გაუძლებს, ღებულობს სამხედრო სერიის მაისურს, დამშვენებულს ტეხასის ვარსკვლავით და წარწერით „პრეზიდენტის კლუბი 100 გრადუსი“ (მაისურის ფასი 19,99 დოლარიაძ. წლეულს იყო ამ წოდების 18 მაძიებელი, მათ შორის თეთრი სახლის ახალი პრეს-მდივანი ტონი სნოუ. პრეზიდენტმა პუტინმა, კროუფორდის რანჩოზე სტუმრობისას, თავაზიანი უარი თქვა ბუშის კლუბში შესვლაზე, თუმცა „მეგობარ ჯორჯს“ მოუწოდა, გამხდარიყო წევრი მისი ციმბირული კლუბისა „მინუს ორმოცი გრადუსი“ (ცელსიუსითძ.

**როდესაც ინგლისისა და ამერიკის აეროპორტები ახალი ტერორისტული შეთქმულების გახსნის გამო პანიკამ მოიცვა, კროუფორდიდან თავისი ლაინერით ვისკონსინის შტატში ჩასულმა ბუშმა გრინბეეში გამოსვლისას თქვა: ახლა ამერიკაში მეტი უსაფრთხოებაა, ვიდრე 11 სექტემბრის ტერაქტამდე?**

**ამერიკელები ფიქრობენ, ტეხასში პრეზიდენტი ხომ არ დაისიცხაო.**

МОСКОВСКИЙ МК КОМСОМОЛЕЦ

◉ ტესტებმა გვიჩვენეს

*ჟურნალმა „რიდერზ დაიჯესტ" დააჯამა 35 ქვეყანაში ჩატარებული თავაზიანობის ტესტის შედეგები. ტესტის მიზანი იყო დადგენილიყო, ჯერ კიდევ ცოცხალია თუ არა თანამედროვე მსოფლიოში ისეთი ცნებები, როგორიცაა „ზრდილობა", „თავაზიანობა", „კარგი მანერები".*



# ვინ არის ყველაზე თავაზიანი?

**უხდიან თუ არა გამყიდველები მადლობას მყიდველებს, როდესაც ისინი მინიმალური თანხის საყიდლებს ყიდულობენ? იჭერენ თუ არა ადამიანები კარს იმისთვის, რათა ის მათ უკან მიმავალ ადამიანს არ მოხვდეს? მზად არიან თუ არა ისინი შეჩერდნენ და აიღონ ქაღალდები, რომლებიც ვიღაცას შემთხვევით დაუცვივდა?**

ამ სამი კრიტერიუმით („ყიდვის ტესტი", „კარის ტესტი", „დაცვივნული ქაღალდების ტესტი") ყველაზე თავაზიანები ნიუიორკელები აღმოჩნდნენ. ევროპაში კი ლიდერები ციურიხი, ბერლინი და ზაგრები გახდნენ.

სან-პაულუში (ბრაზილია) კარგი მანერები წვრილმან თაღლითებსაც კი აღმოაჩნდათ. იმ მომენტში, როდესაც „საიდუმლო აგენტი" შავ ბაზარზე იაფფასიან მზის სათვალეს ყიდულობდა, გაისმა ყვირილი, არიქა, პოლიცია გამოჩნდაო! გამყიდველმა სასწრაფოდ აკრიფა თავისი არალიცენზირებული საქონელი, მაგრამ ვიდრე თავს უშველიდა, მაინც მოასწრო და მყიდველს თავაზიანად გადაუხადა მადლობა.

სამივე ტესტის პასუხების მიხედვით ევროპელთა შორის ყველაზე უზრდელები მოსკოვისა და ბუქარესტის მცხოვრებლები გამოდგნენ. თუმცა მოსკოველთა თავაზიანობის საშუალო მაჩვენებელი „კარის ტესტში" ევროპელებს შორის ყველაზე მაღალი გამოდგა — მოსკოველთა 6 პროცენტი ყოველთვის იჭერს თავის უკან კარს. რუსეთის დედაქალაქელთა უმრავლესობამ გამოკითხვისას ეს იმით ახსნეს, რომ ასე მოქცევა მშობლებმა ბავშვობაში ასწავლეს.

ყველაზე უარესად ზრდილობა — თავაზიანობის საქმე აზიაში ყოფილა. ტესტირების მონაწილე ცხრა ქალაქიდან რვამ თავაზიანობის რეიტინგში ბოლო 11 ხაზი დაიკავა. ბოლო ადგილზე ბომბეი (ინდოეთი), სადაც გამყიდველთა შორის თითოოროლა თუ აღმოჩნდა თავაზიანი.

რაც შეეხება ასაკს, წინააღმდეგ გავრცელებული შეხედულებისა, გაირკვა, რომ ყველაზე თავაზიანები 40 წელზე ახალგაზრდა ადამიანები ყოფილან, ხოლო 60 წელს გადაცილებულებმა უარესი შედეგები აჩვენეს.

**ჩააბარა თუ არა მსოფლიომ თავაზიანობის გამოცდა, ხომ არ ჩაიჭრა? საბოლოო ჯამში შემთხვევათა 55 პროცენტში შედეგი დადებითი იყო. ასე რომ, თავაზიანი ადამიანები ჯერჯერობით კვლავაც არსებობენ, ოღონდ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა სწავლობდნენ ზრდილობას, თავაზიანობას, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება ცივილიზებული საზოგადოების აშენება.**

◉ სასამართლო

# ინჟინერს დარაჯი შემოაკვდა

**თბილისელი 42 წლის ზურაბ წილოსანი თელავის რაიონის სოფელ აკურაში შპს „როველი XXI" ღვინის ქარხნის ინჟინერ-მშენებლად 2003 წლის ოქტომბრიდან მუშაობდა. ალბათ, დღესაც ასე იქნებოდა, ერთ საღამოს საბედისწერო შემთხვევა რომ არ მომხდარიყო.**

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 2004 წლის 4 ივნისს ის დირექტორის დავალებით მიდის ქარხნის დარაჯებთან — გოგიტა ლამაზოშვილთან და შოთა ქევხიშვილთან, რომელთაც ეზოში ელექტროგანათების გამორთვას ავალებს. ისინი უპასუხებენ: განათებას მაშინ გამოვრთავთ, როცა ჩვენი სტუმრები წავლენო. თუმცა, ასე არ მოხდა. შუაღამე გადასული იყო, როცა წილოსანი კვლავ მივიდა მათთან და დირექტორთან გაყოლა სთხოვა. დირექტორი ქარხნის ეზოში არსებული სასტუმროს მეორე სართულზე იმყოფებოდა. მასთან შესულმა დარაჯებმა საყვედურიც მიიღეს და სამსახურის დატოვების მოთხოვნაც.



სასტუმროდან გამოსული ქევხიშვილი ადმინისტრაციული შენობისაკენ გაემართა, წილოსანი და ლამაზოშვილი კი სასტუმროს წინ ეზოში ჩავიდნენ. დირექტორთან დასმენის გამო ლამაზოშვილმა მას შეაგინა და სახეში მუშტი გაარტყა. მიწაზე წაქცეულს კი ზემოდან დააჯდა და ცემა დაუწყო. თან მოკვლით ემუქრებოდა. წილოსანმა სცადა თავდასხმის მოგერიება, მაგრამ ლამაზოშვილი იდაყვით ყელზე აწვებოდა და სული ეხუთებოდა, ბოლოს თავდაცვის მიზნით მოიხსნა ქამარზე ჩამოკიდებული დასაკეცი დანა, გახსნა და ორჯერ დაარტყა. ჩხუბის მომენტში ქევხიშვილი იქვე ახლოს ტრიალებდა, ხოლო აივანზე დირექტორიც გამოვიდა. ჭრილობა დარაჯისთვის სასიკვდილო აღმოჩნდა, მას იღლიის ფოსოში არტერია გადაეჭრა.

რაიონულმა პროკურატურამ წილოსნის მიმართ საქმე „მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების" მუხლით აღძრა. თუმცა გამოძიების მასალებითვე ირკვევა, რომ დანის გამოყენება უიარაღო დარაჯის წინააღმდეგ აშკარად არ შეესაბამებოდა მოსალოდნელ საშიშროებას. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იქვე მდგომ პირებს მათი გაშველება მაშინვე შეეძლოთ და დანის გამოყენების აუცილებლობა არ არსებობდა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მსჯავრდადებულს სისხლნაჟღენთები მარჯვენა თვალთან და მარცხენა იდაყვის არეში აღენიშნებოდა, რაც მსუბუქ დაზიანებათა ხარისხს მიეკუთვნება. მას სხვა დაზიანება, მათ შორის ყელის არეში, როგორც თვითონ განმარტავს, არ ჰქონია...

უამრავი საეჭვო გარემოების მიუხედავად, თელავის რაიონულმა სასამართლომ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2006 წლის 28 აპრილს სისხლის სამართლის კოდექსი შეტანილი ცვლილებების თანახმად, მსგავსი დანაშაულისათვის სასჯელის მაქსიმალური ვადა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე შემცირდა. ამიტომ წილოსანს უზენაესმა სასამართლომ საბოლოოდ თავისუფლება მხოლოდ 3 წლით აღუკვეთა.

როგორც ჩანს, საქართველოში კანონები ზოგჯერ დაზარალებულების საწინააღმდეგოდ იცვლება. ალბათ, ასეთ ორომტრიალში საქართველოში სასამართლო კიდევ დიდხანს პურს ვერ შეჭამს.

**ლელა მანაველიშვილი**

◉ რა ვქნათ?

# მსუქანთა რაოდენობამ გამხდრებს გაასწრო

**ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორი ბარი პოკინი ამტკიცებს, რომ გასუქებისადმი მიდრეკილება ერთნაირი პრობლემაა როგორც ღარიბი, ასევე მდიდარი ქვეყნებისთვისაც. მისი გაანგარიშებით მსოფლიოში მილიარდამდე მსუქანა ცხოვრობს. ე. ი. ცამეტი ადამიანიდან ორი ჭარბწონიანობას უჩივის, მაშინ როდესაც შიმშილობის ზღვარზე მისულთა**



**რაოდენობა 800 მილიონია. ამასთან ერთად, მეცნიერის დაკვირვებით სიმსუქნემ უფრო ღარიბებს „დაარია ხელი", ვიდრე მდიდრებს, სერიოზული პრობლემები ამ მხრივ სოფლის მოსახლეობას აქვს.**

ავსტრალიაში გამართულ კონფერენციაზე პოპკინმა განაცხადა, რომ სიმსუქნეს იწვევს ადამიანის ფიზიკური უმოქმედობა და არასწორი კვება. ამის ნათელი მაგალითია ჩინეთი. მათი კვების რაციონიდან სულ უფრო და უფრო იდევნება ბოსტნეული, მის ადგილს იკავებს ცხოველური წარმოშობის საკვები, ჩინელები მეტ დროს უთმობენ ტელევიზორთან ჯდომას და ორიოდ ნაბიჯიც რომ ჰქონდეთ გასავლელი, ავტომობილს ამჯობინებენ. სწორედ ამიტომაცაა, რომ ჩინეთი „მსუქანთა" რაოდენობით პირველობას არავის უთმობს.

პოპკინი გამოსავალს კვების პროდუქტებზე ფასების რეგულირებაში ხედავს. თუ ნაკლებადცხიმოვანი და ვეგეტარიანული საკვები აიფი ეღირება, ხოლო მაღალკალორიული — ძვირი, მაშინ მსოფლიო მოსახლეობა იძულებული იქნება ისეთი საკვები მიიღოს, რომელიც სიმსუქნეს არ შეუწყობს ხელს.

პოპკინის აზრს იზიარებს მისი კოლეგა მინესოტის უნივერსიტეტიდან ბენჟამინ სინაუერი. მან ერთმანეთს შეუდარა იაპონელთა და ამერიკელთა ცხოვრების წესი, აღმოაჩინა, რომ იაპონელები კვებაზე თავიანთი შემოსავლის 25 პროცენტს ხარჯავენ, მაშინ, როცა ამერიკელები — 14 პროცენტს. სინაუერი თვლის, რომ ფასების რეგულირება პროდუქტებზე პოლიტიკურად გამართლებული არ არის, სამაგიეროდ, მისი აზრით, საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ფიზიკურ ვარჯიშებს. იაპონელები უფრო მეტად სიარულს ამჯობინებენ, ამერიკელები პირიქით — უპირატესობას ტრანსპორტს ანიჭებენ, ამასთან ერთად, ამერიკელები მიუხედავად იმისა, რომ კვებაზე ნაკლებს ხარჯავენ, უფრო ცხიმიან საკვებს ეტანებიან. შედეგიც სახეზეა — ამერიკაში მეტი გარგანტუა ცხოვრობს, ვიდრე ამომავალი მზის ქვეყანაში.

◉ ინფორმაცია

# თევზი თავიდან ყროლდება

**ფინანსური პოლიციის თბილისის მთავარმა სამმართველომ გამოავლინა დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელსაც ბოლო 6 წლის განმავლობაში რუსეთიდან საქართველოში შემოჰქონდა სხვადასხვა სახეობის თევზისა და თევზის პროდუქტები და თბილისის სხვადასხვა საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელთა აქტიური ხელშეწყობით მალავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ბიუჯეტის კუთვნილ გადასახადებს.**

ამ ეტაპზე დადგენილია 1 მილიონ ლარზე მეტი.

ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელს ლაშა დოლბაძეს თავისი ოჯახის წევრების სახელზე რეგისტრირებული ინდმეწარმეების „ეთერ გოგუას" „კარლო დოლბაძის" „ქეთევან დოლბაძის" და „რაიფ მარშანიას" სახელით განხორციელებული აქვს ყოველწლიურად მილიონ კილოგრამზე მეტი თევზის პროდუქტების იმპორტი, რაც რუსეთიდან იმპორტირებული თევზის პროდუქტების 60 პროცენტს შეადგენს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ოთხივე იმპორტიორს ფუნქციონირების დღიდან დღემდე თბილისის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელთა ხელშეწყობით გადახდილი აქვს მხოლოდ 390 ლარი, არ აქვთ ჩაბარებული საშემოსავლო გადასახადის წლიური და სხვა გადასახადის დეკლარაციები. არც ერთი მეწარმე საგადასახადო ინსპექციას არ შეუმოწმებია და არც დასმულა მათი შემოწმების საკითხი. მიმდინარეობს გამოძიება. დაკავებულია ლაშა დოლბაძე და შესაბამისად დადგება თბილისის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი.

**მედიანიუსი**

**განცხადება**

**სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებლის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ**

**2006 წლის 11 სექტემბერს 17 საათზე ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. № 84-ში შედგება სს „ელმავალმშენებლის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ახალი წევრის არჩევის შესახებ.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით საალრიცხვო თარიღად განისაზღვრა 2006 წლის 10 აგვისტო.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

— ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2006 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაზე თავისი მონაწილეობის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორთან — „ეროვნული რეესტრი" შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 74, მე-9 სართული. ტელ.: 29-20-03, 29-91-30.**

დღის წესრიგის საკითხის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „ელმავალმშენებლის" დირექციაში ან სამეთვალყურეო საბჭოში.

**სს „ელმავალმშენებლის" გენერალური დირექტორი;**
**სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭო.**

შვილები ელგუჯა, ნუკრი გუგუშვილები, რძლები ქეთევან ჩადუნელი, ირმა ბალაშვილი, შვილიშვილები სერგო, მაია, ელგუჯა, გოჩა გუგუშვილები, შვილთაშვილი ნიკუშა გუგუშვილი, მულიშვილები, მაზლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ ღუტიძე-გუგუშვილი

პანაშვიდი 18, 19 VIII, 17 სთ. გამოსვენება 20 VIII, 15 სთ., მისამართი: თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დეპოს ქ. (ყოფილი ოქტომბრისძ №19.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნუკრი გუგუშვილს დედის

მარიამ გუგუშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასურსათო უსაფრთხოების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დეპარტამენტის უფროსის ნუკრი გუგუშვილის დედა

მარიამ გუგუშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სტიქია**

# ხანძარი „დაამუხრუჭეს"

**სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, ადიგენის რაიონის ტყის მასივში გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს საავიაციო დაჯგუფებების ჩამოსვლა აღარ გახდა საჭირო. ამჟამად ტყეში ხანძარი თითქმის ლოკალიზებულია. ქართულმა მხარემ სპეციალური ნოტით მადლობა გადაუხადა რუსეთს, ხანძრის ჩასაქრობად მზადყოფნის გამო.**

ოფიციალურ თბილისს დახმარებისთვის რუსეთისთვის პირდაპირ არ მიუმართავს. თუმცა, რეაგირებისთვის მიმართა ნატოსთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მოქმედ კატასტროფებსა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ევროატლანტიკურ ცენტრს.

**მედიანიუსი**



**ინფორმაცია**

## თბილისში პაპანაქება და სიძვირე ერთმანეთს ეჯიბრებიან

**თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 11 აგვისტოდან 17 აგვისტომდე 100,01 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100,17 პროცენტი იყო. ეს ინდექსი ასახავს 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას. წინა კვირასთან შედარებით ფასების საერთო დონე 0,01 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის სასურსათო საქონელზე – 0,02 პროცენტით და არასასურსათო საქონელზე 0,01 პროცენტით; ამასთან, მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა.**

**მედიანიუსი**

**კადრი**



ჯემალ კასრაძის ფოტო

**ანეკდოტები**

– რა არის გულუბრყვილობა?

– იმის ვარაუდი, რომ მისატანებლის უქონლობის გამო რუსები სმას მიატოვებენ.

* * *

– მამაო, მითხარით, სწორად ვცხოვრობ?

– სწორად, შვილო ჩემო, მაგრამ სულ ტყუილად.

* * *

ცუდია ბევრი ანეკდოტის ცოდნა. როდესაც გინდა ვინმეს მოუყვე, ვერ იხსენებ, ხოლო როდესაც სხვა მოგიყვება, არ გეცინება.



* * *

ცუდია უფროსი, რომელსაც არ სურს მონათმფლობელობა.

* * *

– ექიმო, უკვე არ შემიძლია ასეთი მკაცრი დიეტის დაცვა. წუხელ ისე აუტანლად მომშივდა, რომ ქმარს კინაღამ ყური მოვაჭამე.

– ეს არც ისე დიდი უბედურება იქნებოდა – სულ 120 კალორიაა.

**ლარის კურსი**

**18 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3232 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7580 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2390 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0656 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9838 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4416 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5155 ლარი. |

**დარია თუ ავდარია**

## ამინდი 18 აგვისტოს



**დასავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +31⁰ – +39⁰, ღამით +15⁰ – +29⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +32⁰ – +39⁰, ღამით +26⁰ – +28⁰.

**თბილისში –** მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +29⁰, დღისით +41⁰.

**ბათუმი** – ღ. +21⁰, დ. +35⁰; **სოხუმი** – ღ. +26⁰, დ. +39⁰; **ქუთაისი** – ღ. +27⁰, დ. +40⁰, **ოზურგეთი** – ღ. +26⁰, დ. +39⁰, **ზესტაფონი** – ღ. +28⁰, დ. +39⁰; **რუსთავი** – ღ. +29⁰, დ. +41⁰, **ფოთი** – ღ. +26⁰, დ. +39⁰; **მესტია** – ღ. +14⁰, დ. +21⁰; **სტეფანწმინდა** – ღ. +15⁰, დ. +20⁰; **თელავი** – ღ. +28⁰, დ. +39⁰; **გორი** – ღ. +26⁰, დ. +38⁰; **ახალციხე** – ღ. +16⁰ დ. +26⁰; **ბორჯომი** – ღ. +23⁰, დ. +37⁰; **ცხინვალი** – ღ. +19⁰, დ. +33⁰; **სამტრედია** – ღ. +27⁰, დ. +39⁰; **ზუგდიდი** – ღ. +29⁰, დ. +38⁰; **ჭიათურა** – ღ. +23⁰, დ. +35⁰.

**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

**ყველაფერი ყველაფერზე**

# სახლები ხეებივით ამოდიან



**მომავალში ადამიანებს შეეძლებათ თავად „მცენარესავით მოიყვანონ" თავიანთი სახლი და სრულიადაც არ დასჭირდეთ სამშენებლო კომპანიებთან ხელშეკრულების დადება. მშენებლის პროფესია, როგორც ასეთი, აღარ იარსებებს, – ასე მიაჩნია ცნობილ არქიტექტორს მიტჩელ ჯოაჩიმსა და მის თანამოაზრეებს.**

მათ ერთად შეიმუშავეს ახალი ფიტოსახლის მოდელი, რომელსაც სრულიადაც არ სჭირდება გამწვანება, რადგან თავად იქნება დამოუკიდებელი, ერთიანი ცოცხალი ეკოსისტემა. სახლის საძირკვლად მოიაზრება მცენარეები, რომლებიც ხეთა ვარჯისაგან წაგრძელდებიან. ასეთი სახლების „გაზრდას" რამდენიმე წელიწადი დასჭირდება.

ფიტოარქიტექტორების აზრით, სახლის შიდა ფასადი ლიანები იქნება, ღრეჩოები კი სპეციალურად მასზე დამყნობილი მცენარეებით ამოივსება. შიდა კედლები თიხისაგან გაილესება, ხოლო სახურავი და კარფანჯრები დამზადდება სოიის ექსტრაქტისაგან გაკეთებული სპეციალური პლასტმასით.

სახლის სახურავზე ჩამონადენი წყალი ხელს შეუწყობს კედლების ზრდასაც და „მწვანე სასახლეში" მცხოვრები ადამიანებისათვის სასმელადაც გამოდგება გაფილტრული სახით.

არქიტექტორები ეკოლოგიურად სუფთა სახლის შექმნის იდეას უკვე რამდენიმე წელია ამუშავებენ. თავიანთ სპეციალურ საიტზე რამდენიმე პროექტიც განათავსეს.

ანალიტიკოსები მიტჩელისა და მისი მეგობრების იდეას ფანტაზიორობას უწოდებენ და განუხორციელებლად მიიჩნევენ. „თანამედროვე პირობებში ამგვარი რამ წარმოუდგენელია", – აცხადებენ ისინი.

# ჰოლანდიური „ჯადოსნური" საწოლი

**ჰოლანდიელმა დიზაინერმა იანიაპ რუისენაარსმა მფრინავი საწოლი შექმნა. პირველი უცნაური საწოლი მინიმალიზმის სტილშია შექმნილი. იგი სწორკუთხა ლეიბს ჰგავს და იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზეა მოთავსებული. ჰაერში საწოლს მაგნიტური ველი აჩერებს, რომელიც საწოლის ძირსა და იატაკზე განლაგებული მძლავრი მაგნიტების საშუალებით წარმოიქმნება. მაგნიტური ველიდან, საწოლი რომ არ „გაფრინდეს", იგი წვრილი ლითონის მავთულებითაა დამაგრებული.**

დიზაინერი ამ უცნაური საწოლის შექმნაზე ექვსი წელი მუშაობდა. „ამგვარი საწოლის შექმნის იდეა 1968 წელს გამიჩნდა, როდესაც ვნახე სტენლი კუბრიკის ფილმი „კოსმოსური ოდისეა 2001", სადაც მისტიკური კვარცხლბეკი ჰაერში ლივლივებდა. მივხვდი, რომ შესაძლებელია ისეთი ნივთების შექმნა, რომლებიც გრავიტაციის კანონებს დაარღვევდნენ. ჩემს მიერ შექმნილ საწოლზე შეუძლიათ პირსინგით გატაცებულ ადამიანებსაც ეძინოთ. მათი სხეულში ჩამაგრებული ლითონები მაგნიტურ ველს არ დაექვემდებარებიან. სამაგიეროდ საშიშია საწოლსა და იატაკს შორის შესვლა", – ამბობს რუისენაარი.



საწოლი საკმაოდ ძვირი ღირს. მისი ფასი 1,2 მლნ. ევროა. ასე რომ, ჰაერში უცნაური სიზმრების მხილველებმა ჯიბეზე უნდა გაიკრან ხელი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე"
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, სულაც არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.